საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№36 (317)
7 - 13 ოქტომბერი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

საქართველოს საგარეო ვალი 14.1 მლრდ დოლარს შეადგენს 2

# პუტინის სირიული კატა ჰაჯიმე



«ვლადიმერ პუტინის სიტყვის შემდეგ უკვე ყველასთვის ნათელი შეიქნა, რომ ერთპოლუსიან მსოფლიოში აშშ-ის დაუსჯელი პარპაში დასრულდა... 30 სექტემბერს რუსეთის ავიაციამ პირველად და ისეთი ძალით დაარტყა «ისლამურ სახელმწიფოს», რომ ტერორისტების ფეხქვეშ მიწა ადუღდა...»

## «ახლა მაინც თუ ხვდებით, რა ჩაიდინეთ?!» 5

## «თუ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დაკვეთებს შევასრულებთ, დამოუკიდებლობა არასდროს გვეღირსება» 8



9 «ისლამური სახელმწიფოს» წარმომადგენლები და ამერიკისა და ბრიტანეთის სპეცსამსახურების თანამშრომლები ერთი კვირის განმავლობაში იკრიბებოდნენ თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში და თათბირობდნენ»

6 «საქართველოს ხელისუფლება მზად არის, ნატოში მიღების ფუჭი დაპირებების სანაცვლოდ დახოცოს ქვეყნის ახალგაზრდობა»



კურტ ვოლკერი: არ ვფიქრობ, რომ ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის ან უკრაინისთვის მაპის მინიჭებას ვინმე ელოდება 2

3 სოროსი ევროპას მოუწოდებს, ყოველწლიურად მილიონი მიგრანტი მიიღოს

«ნიკა გვარამია არის თავისუფალი მედიის წინააღმდეგ ხმალამოღებული მებრძოლი» 10

12 ნიკურაძემ «ისლამური სახელმწიფოს» ბუდეს გადაუფრინა

16 ნაც-ნობი სიტუაცია და ნაც-ადი მეთოდებით თვალში ნაც-რის შეყრის მცდელობა

17 ამერიკული დემოკრატიის «ბოტასი» სააკაშვილს უჭერს

22 მესამე რაიხი და პოლონეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ეუთოს გენმდივანი: უნდა შენარჩუნდეს პოლიტიკური პროცესი ჟენევის ფორმატის სახით



**გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ეუთოს გენერალურ მდივანს — ლამბერტო ზანიერის შეხვდა.** შეხვედრაზე ისაუბრეს რეგიონსა და საქართველოში არსებულ უსაფრთხოებაზე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებაზე, რუსეთის მიერ გადადგმულ აგრესიულ ნაბიჯებსა და მის თანმდევ უარყოფით შედეგებზე. აღინიშნა ეუთოსა და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის მნიშვნელობა კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ხაზი გაესვა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მნიშვნელობას და ამ მიმართულებით არსებულ დღის წესრიგს. „ჩვენ განვიხილეთ რეგიონსა და საქართველოში არსებული ვითარება, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომდინარე ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი და მასთან დაკავშირებული უარყოფითი მოვლენები. მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს და შენარჩუნდეს პოლიტიკური პროცესი, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების სახით“, — განაცხადა ლამბერტო ზანიერმა.



## საქართველოს საგარეო ვალი 14.1 მლრდ დოლარს შეადგენს

**საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 14.1 მლრდ აშშ დოლარი (31.8 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 90.9 პროცენტია.**

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2015 წლის მეორე კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 437.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა **5.9 მლრდ აშშ დოლარი** (13.3 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს **38.1 პროცენტია**, რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 4.3 მლრდ აშშ დოლარი (9.6 მლრდ ლარი; მშპ-ს 27.3 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალდებულებები — 233.0 მლნ აშშ დოლარი (524.0 მლნ ლარი; მშპ-ს 1.5 პროცენტი), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები, შესაბამისად — 837.7 მლნ აშშ დოლარი (1.9 მლრდ ლარი; მშპ-ს 5.4 პროცენტი) და 605.5 მლნ აშშ დოლარი (1.4 მლრდ ლარი; მშპ-ს 3.9 პროცენტი). კერძო საგარეო ვალმა კი შეადგინა **8.2 მლრდ აშშ დოლარი** (18.5 მლრდ ლარი; **მშპ-ს 52.8 პროცენტი**), აქედან, საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 2.8 მლრდ აშშ დოლარი (6.3 მლრდ ლარი; მშპ-ს 17.9 პროცენტი), კერძო საწარმოების საგარეო ვალმა — 2.5 მლრდ აშშ დოლარი (5.7 მლრდ ლარი; მშპ-ს 16.3 პროცენტი) და კომპანიათაშორისო ვალმა — 2.9 მლრდ აშშ დოლარი (6.5 მლრდ ლარი; მშპ-ს 18.6 პროცენტი).

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა, 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 9.1 მლრდ აშშ დოლარი (20.5 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 58.6 პროცენტია. აქედან სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 3.4 მლრდ აშშ დოლარია (7.7 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 21.9 პროცენტია. 2015 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი 1.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.



## ვინ გეგმავს ტერაქტს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ?

**„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი ირაკლი ბათიაშვილის თქმით, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ტერაქტი მზადდება.**

**„მივიღე ინფორმაცია, რომ ყოფილი ხელისუფლების გარკვეულ წრეში, რომელიც ახლა საქართველოდან გადახვეწილია და ემიგრაციაში იმყოფება, სერიოზული მზადება მიდის, რათა ბიძინა ივანიშვილზე ტერაქტი განახორციელონ და მისი ფიზიკური ლიკვიდაცია მოახდინონ“,** — განაცხადა ბათიაშვილმა.

მას, ასევე, მიაწოდეს ინფორმაცია, რომ საქართველოში ჩამოსული იყო პროფესიონალების ჯგუფი ტერორისტული აქტის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად. **„ბუნებრივია, არ გამაჩნია იმის შესაძლებლობა, რომ მსგავსი ტიპის ინფორმაცია გადავამოწმო და მის 100 %-იან სანდოობაში დავრწმუნდე, მაგრამ, რადგან ეს ინფორმაცია კომპეტენტურმა და სანდო წყარომ მომაწოდა, ჩემს მოქალაქეობრივ ვალდებულებად ჩავთვალე, გამოვსულიყავი და ამის შესახებ მეთქვა“,** — განაცხადა ბათიაშვილმა გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

როგორც ბათიაშვილმა აღნიშნა, ის უკვე დაჰკითხა უშიშროების საგამოძიებო ორგანოებმა. **„მიცემულ ჩვენებაზე დეტალურად ვერ ვისაუბრებ, რადგან ამის უფლება არ მაქვს“,** — განაცხადა ბათიაშვილმა.



## კურტ ვოლკერი: არ ვფიქრობ, რომ ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის ან უკრაინისთვის მაპის მინიჭებას ვინმე ელოდება

**„ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან საუბრისას ნატოში შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა და მაკკეინის ინსტიტუტის დირექტორმა კურტ ვოლკერმა განაცხადა, რომ ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის ან უკრაინისთვის მაპის მინიჭებას არავინ უნდა ელოდოს.**

„რაც შეეხება საქართველოს ან უკრაინას, არ ვფიქრობ, რომ ამ სამიტზე მათთვის მაპის მინიჭებას ვინმე ელოდება. თუმცა, ნატო-საქართველოსა და ნატო-უკრაინის კომისიების საშუალებით პარტნიორობა გაგრძელდება, რაც ისეთ საკითხებს მოიცავს, როგორიც არის უსაფრთხოების სექტორი, წვრთნების ყოველწლიური ეროვნული გეგმა. საქართველოს ადგილას ვეცდებოდი, ნატოსთვის მაქსიმალურად მოვმზადებულიყავი, რათა ნატოსა თუ ევროკავშირში გაფართოების შემთხვევაში ვითარების შეცვლისთვის საქართველო მზად იყოს“, — განაცხადა ვოლკერმა.

## ნიკოლოზ მჟავანაძე: «ქართული ოცნების» ხელშია ისეთი მასალები, რომელთა გამოქვეყნებაც მსოფლიოს შეძრავს

**„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცდება იმის მტკიცებას, რომ ციხის სკანდალური კადრები დადგმული იყო.**



„ნაცმოძრაობა“ მეორე შეტევას იწყებს, იმის მტკიცებას, რომ ციხის სკანდალური კადრები დადგმული იყო. მოვუწოდებ ხელისუფლებას, გაასაჯაროონ ის ფარული ჩანაწერები, რომლებშიც მსგავსი სცენებია, და ვნახავთ, რომ ადგილი ჰქონდა სისტემურ დანაშაულს. ციხის კადრები არათუ დადგმული იყო, არამედ ეს იყო „ნაცმოძრაობის“ ბუნებრივი მდგომარეობა და ამას აკეთებდა რეგულარულად. მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ დაუშვა უდიდესი შეცდომა, როცა კადრების დიდი ნაწილი გაანადგურა, ჩვენ მათ მოვუწოდებდით, ეს არ გაეკეთებინათ, მაგრამ მაშინ მოხდა ძალების ლუსტრაცია... სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ახლა მაინც მოხდეს იმ კადრების გასაჯაროება, მით უფრო, რომ „ქართულ ოცნებას“ სდებენ ბრალს, რომ ციხის კადრები დადგმული იყოო. მერე ვნახოთ, რას იტყვიან. შეიძლება, რომ 181-საათიანი უკანონო თვალთვალის გზით მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი აუდიო და ვიდეოჩანაწერები, ძალადობა და შანტაჟი დადგა?! ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მხოლოდ ოპონენტებს კი არ უღებდა ფარულად, არამედ საკუთარი გუნდის წევრებსაც. აი, ეს კადრები უნდა გაასაჯაროონ და მერე ხალხი მიხვდება, ვინ რატომ უჭერს ასე თავგამოდებით მხარს „ნაცმოძრაობას“... დღეს შექმნილია ძალიან მძიმე სურათი, რაღაც კომპრომატს ჩაიგდებს ხელში „ნაცმოძრაობა“ და ურტყამს „ქართულ ოცნებას“, „ქართული ოცნება“ კი მოკუნტულია და ხმას ვერ იღებს. არადა, მათ ხელშია ისეთი მასალები, რომელთა გამოქვეყნებაც მსოფლიოს შეძრავს და „ნაცმოძრაობას“, როგორც სისტემური დანაშაულის ავტორ პარტიას, გაასამართლებენ. ზოგჯერ ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ მაზოხისტი ხომ არ არის, რატომ იტანს ამხელა დარტყმას, როცა საპასუხო დარტყმით შეუძლია, ოპონენტი მიწასთან გაასწოროს და გაანადგუროს“, — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ გაზეთ „კვირის ქრონიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.



## დევნილთა მინისტრის მოადგილეს ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ

**არასამთავრობო ორგანიზაცია „აპრიორის“ წევრები დევნილთა მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილს ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ.**

არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებმა წარმოადგინეს ვიდეომასალა, რომელშიც ზუგდიდის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ნათესავი ნიაზ ღადუა ამბობს, როგორ გადასცა ქრთამად 21 500 ლარი მამუკა ცოტნიაშვილს.

არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები აპირებენ, რომ მასალები ქრთამის აღების შესახებ პროკურატურას გაუგზავნონ.

## აუდიტის სამსახურმა სასჯელაღსრულების სამინისტროს შემოწმების მასალები პროკურატურას გადაუგზავნა

**„ვინაიდან სასჯელაღსრულების სამინისტროს შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევები დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, შესაბამისი მასალები დღეს პროკურატურას გავუგზავნეთ“, — განაცხადეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.**

მათივე ინფორმაციით, მასალები მოიცავს როგორც უწყების თანამშრომლებზე 2013-2014 წლებში გაცემულ პრემიებთან დაკავშირებულ ფაქტებს, ისე კვებითი მომსახურების შესყიდვის მიზნით ჩატარებული ტენდერების შესახებ ინფორმაციას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, სასჯელაღსრულების სამინისტროში 2013-2014 წლებში მიღებული გადაწყვეტილებები თანამშრომლებზე პრემიების გაცემის შესახებ ხშირად დაუსაბუთებელია. ასევე, აღნიშნულ პერიოდში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კვებითი მომსახურების შესყიდვის მიზნით 14 ტენდერი ჩატარდა და ყველა ტენდერში შპს G.M.M.-მ გაიმარჯვა.



## ამერიკელები მხარს პუტინს უჭერენ

**ამერიკული გაზეთის — New York Daily News-ის მკითხველების დიდი უმრავლესობა (96%) თვლის, რომ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უფრო დამაჯერებლად გამოვიდა, ვიდრე აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა.** უკვე რამდენიმე დღეა, გაზეთი გამოკითხვას აწარმოებს. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პუტინს მხარს უჭერს 34 ათასი რესპონდენტი — გამოკითხულთა 96 პროცენტი, ობამას კი — 1,5 ათასზე ცოტა მეტი. გაზეთმა გამოკითხვას დაურთო სტატიები, რომლებშიც მოყვანილია ამონარიდები ორი ქვეყნის ლიდერების გამოსვლებიდან, რომლებშიც ისინი, ასე თუ ისე, ერთმანეთს უპირისპირდებიან და ერთმანეთის პოზიციებს აკრიტიკებენ. ეს არის ომი სირიაში, მოვლენები უკრაინაში, რუსეთისთვის ყირიმის მიერთება და ადამიანის უფლებები.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

STRATFOR GLOBAL INTELLIGENCE

# «რუსები სირიაში კარგი მოჭადრაკეებივით მოქმედებენ»

**ამერიკული კვლევითი ცენტრის — Stratfor-ის ანალიტიკოსები თვლიან, რომ სირიაში რუსეთის მოქმედება მკაფიოდ წარმოაჩენს რუსეთის უნარს, იყოს გლობალური ლიდერი, რომელსაც შეუძლია მიზნების დასახვა და მათ მისაღწევად პასუხისმგებლობის დაკისრება.**



ამერიკელი ექსპერტების აზრით, რუსეთი ისახავს მიზნების ფართო სპექტრს, რომელთა მიღწევაც სურს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

„სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის მხარდაჭერა დიდი სტრატეგიის ერთ-ერთი ელემენტია. სირიის ლიდერის მხარდაჭერა მოამზადებს ნიადაგს მომავალი მოლაპარაკებებისთვის. კიდევ ერთი ამოცანაა რეგიონში ინტერესების სფეროს გაფართოება, ამასთანავე, გაღრმავდება რუსეთისა და ირანის თანამშრომლობა სირიის საკითხზე.

რუსეთიც ცდილობს გლობალური ლიდერის პოზიციის დაკავებას, იყოს საერთაშორისო აქტორი, რომელიც პასუხს აგებს საკუთარი თავის წინაშე და ქედს არ მოუხრის აშშ-ს. **ავიადარტყმებმა მკაფიოდ წარმოაჩინა, ხოლო აშშ-ის რეაქციამ დაადასტურა, რომ რუსეთმა ცალმხრივი მოქმედებით განზე გასწია აშშ, მისი არაბი მოკავშირეები და ნატო.**

რუსეთმა მკაფიოდ დაგვანახვა, რომ აშშ-ისგან განსხვავებით, შესწევს უნარი, იყოს გლობალური ლიდერი. რუსები კარგი მოჭადრაკეებივით მოქმედებენ და თვალყურს ადევნებენ არამხოლოდ ერთ საჭადრაკო დაფას. რუსეთის მოქმედება სირიაში დაკავშირებულია რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირებასთან უკრაინაში“, — წერენ Stratfor-ის ანალიტიკოსები.

**«რუსეთიც ცდილობს გლობალური ლიდერის პოზიციის დაკავებას, იყოს საერთაშორისო აქტორი, რომელიც პასუხს აგებს საკუთარი თავის წინაშე და ქედს არ მოუხრის აშშ-ს. ავიადარტყმებმა მკაფიოდ წარმოაჩინა, ხოლო აშშ-ის რეაქციამ დაადასტურა, რომ რუსეთმა ცალმხრივი მოქმედებით განზე გასწია აშშ, მისი არაბი მოკავშირეები და ნატო»**




# ამერიკელმა ექსპერტმა აშშ-ის ხელისუფლებას სირიის საკითხზე გაჩუმება ურჩია

**„ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებთან ბრძოლის ამერიკული ოპერაცია ჩაფლავდა, ამიტომ ვაშინგტონმა ენას კბილი უნდა დააჭიროს და სირიაში რუსეთის ოპერაციის გაკრიტიკებას თავი დაანებოს“, — განაცხადა გადამდგარმა პოლკოვნიკმა, სამხედრო ექსპერტმა ჯეკ ჯეიკობსმა CNBC-ის ეთერში.**

„მითი იმის შესახებ, რომ აშშ „ისლამურ სახელმწიფოს ებრძვის, გაცამტვერდა. ჩვენ არაფერს ვაკეთებთ, განვახორციელეთ ავიადარტყმები, მაგრამ წარმატებას ვერ მივაღწიეთ. „ისლამური სახელმწიფო“ კვლავინდებურად ძლიერია ან უფრო ძლიერი, ვიდრე უწინ იყო. სამხედრო გამოცდილების მქონე ნებისმიერმა ადამიანმა იცის, რომ ჩვენი მოქმედებები რეგიონში ჩაფლავდა. ჩვენ წუმპეში აღმოვჩნდით, რადგან არაფერი შეგვიძლია, ჩვენი სტრატეგიაც კი არ გვაქვს. ამ სიტუაციაში ამერიკის ინტერესებისთვის სჯობს, „ხმა ჩაიკმინდოს“, — განაცხადა ამერიკელმა ექსპერტმა.



დონალდ ტრამპი:

# მომწონს, პუტინი «ისლამურ სახელმწიფოს» რომ ბომბავს

**„ვითარება ახლო აღმოსავლეთში გაცილებით სტაბილური იქნებოდა, ერაყისა და ლიბიის პრეზიდენტები — სადამ ჰუსეინი და მუამარ კადაფი რომ არ დაემხოთ“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა, მილიარდერმა დონალდ ტრამპმა ტელეარხ NBC-ის ეთერში.**

„შეხედეთ ლიბიას, შეხედეთ, რა ჩავიდინეთ, იქ ქაოსია. ავიღოთ ერაყი და სადამ ჰუსეინი. ნახეთ, იქ რა ჩავიდინეთ, იქაც ქაოსია. მსგავსი რამ მოხდება სირიაშიც, თუკი პრეზიდენტ ბაშარ ასადის რეჟიმი დაემხობა. აშშ ასადის წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ არც კი იცის რეალურად, ვის უჭერს მხარს. ხომ შეიძლება, რომ ეს ადამიანები ასადზე უფრო ცუდები აღმოჩნდნენ?! დარწმუნებული ვარ, სწორედ ერაყის კატასტროფის შედეგად წარმოიქმნა „ისლამური სახელმწიფო“. მე მხარს ვუჭერ სირიაში რუსეთის სამხედრო ოპერაციას „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. მომწონს, რომ პუტინი ბომბავს „ისლამურ სახელმწიფოს“. მას სურს, თავიდან მოიშოროს „ისლამური სახელწიფო“, რადგან არსებობს ამ ტერორისტული ორგანიზაციის რუსეთშიც შეღწევის საფრთხე.



Time:

# აშშ-ის არმიამ გამარჯვების უნარი დაკარგა

**„ბოლო ოცი წელიწადია, აშშ მარცხს მარცხზე განიცდის და ამაში უდიდესი წვლილი აშშ-ის სამხედრო სარდლობას მიუძღვის“, — წერს ამერიკული გამოცემა Time-ი.**

აშშ მილიარდობით დოლარს ხარჯავს ერაყისა და ავღანეთის სამთავრობო არმიების მხარდასაჭერად, მაგრამ ისინი გამუდმებით მარცხდებიან „ბოევიკებთან“ ბრძოლებში. **მას შემდეგ, რაც ამერიკელების დიდძალი ფული დაიხარჯა აშშ-ის მოწინააღმდეგეების გასანადგურებლად, ქალაქები სახელმწიფოებისა, რომლებიც აშშ-ის მოკავშირეებად ითვლებიან, კვლავ მტრის ხელში რატომ არის?** — სვამს კითხვას ამერიკული გამოცემა და იქვე პასუხობს: „ომს აქვს ორი ძირითადი შემადგენელი — იარაღი და ნებისყოფა. აშშ-ს შეუძლია, დახარჯოს მილიარდები შეიარაღებაზე და მოამზადოს მეგობარი ქვეყნების არმიები, მაგრამ, თუ მათ არ აქვთ ბრძოლის სურვილი, იარაღის მიწოდება ვერაფერს უშველით. ავღანეთს, ისევე როგორც ერაყს, ჰყავს ამერიკელების მიერ ხელდასხმული სუსტი ცენტრალური ხელისუფლება, რის გამოც ამ ქვეყნების არმიები საკმარისად არ არიან მომზადებულნი და დაბალი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევიან, თუმცა ნებისყოფის უქონლობით მხოლოდ ამერიკის მოკავშირეები როდი გამოირჩევიან, პასუხისმგებლობა აშშ-ის არმიასაც ეკისრება.

სამხედროები სპარსეთის ყურეში ომს აშშ-ის ბოლო გამარჯვებად თვლიან. იმ ომში 1991 წელს მკაფიო ამოცანა იყო დასახული — სადამ ჰუსეინის ჯარის გაძევება ქუვეითიდან, რაც აშშ-მა და მათმა მოკავშირეებმა ერთ თვეში შეძლეს. ერაყის მეორე სამხედრო კამპანიაში, აგრეთვე, ავღანეთის ომებში ასეთი კონკრეტული მიზანი დასახული არ იყო. ამის გამო ეს ომები იმაზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე მათ „არქიტექტორებს“ ჰქონდათ დაგეგმილი. ომების გაჭიანურებამ კი საზოგადოების უარყოფითი განწყობა გამოიწვია.

თავისი მოქმედებების გამო **აშშ სუსტი სახელმწიფოს შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან თავდაპირველი ფერადოვანი გეგმები სულაც არ ჰგავს იმას, რაც სინამდვილეში მივიღეთ“**, — წერს „თაიმის“ მიმომხილველი მარკ ტომპსონი.



# სოროსი ევროპას მოუწოდებს, ყოველწლიურად მილიონი მიგრანტი მიიღოს

**„ფერადი რევოლუციების“ სულისჩამდგმელი, მილიარდერი ჯორჯ სოროსი ევროპისგან მოითხოვს, „პასუხისმგებლობა დაიკისროს“ მუსლიმანთა მასობრივ შემოტევაზე“, — წერს გამოცემა Prisonlanet.com.**

ვებგვერდ Project Syndicate-ზე, აგრეთვე, პროპაგანდისტული ფორუმის — Open Society-ის ფურცლებზე სოროსი წერს, რომ ევროკავშირი ვალდებულია, ყოველწლიურად მიიღოს მილიონი მუსლიმანი მიგრანტი და პირველ ორ წელიწადში თითოეულს დაახარჯოს 16 ათასი დოლარი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების მისაღებად, ჯამში კი, 17 მლრდ დოლარი.

სოროსის აზრით, მუსლიმან მიგრანტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი. მათგან ბევრი ამჟამად გერმანიასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ირჩევს, სადაც უკეთესი სოციალური პირობებია.

„ევროსტატის“ მონაცემებით, მიგრანტთა 60% ახალგაზრდა მამაკაცია, 26% — ბავშვი და 18% — ქალი.

**ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**უცვლელი მხოლოდ საქართველოს ძველი და ახალი ხელისუფლების პროდასავლური პოზიციაა. დასკვნები არ კეთდება, დამოკიდებულებები არ იცვლება. სულელისა და საკუთარი შეცდომების არ იყოს, იმას მაინც ხომ უნდა ხვდებოდე, რომ რუსეთს მანამდე უნდა დაელაპარაკო, ვიდრე იგი „ისლამურ სახელმწიფოს“ დაამარცხებს(!), თუ, რა თქმა უნდა, შენი ეროვნული ინტერესი გამთლიანებული საქართველოა და არა დასავლეთის ცვლადი პოზიციების უცვლელი ერთგულება.**

**ერთი კვირის წინათ ვწერდი: „თუ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ფართო კოალიცია არ შედგება, რუსეთი პარტნიორებთან ერთად მაინც ეცდება ვითარების შეცვლას ახლო აღმოსავლეთში და, რაკი სამხედრო (თუნდაც მხოლოდ საჰაერო დარტყმების) მონაწილეობის უფლება დაიბევა, სრულიად რეალურია, რომ ამ დაპირისპირებაში „ისლამური სახელმწიფოს“ შევიწროებას შეძლებს. ამ შემთხვევაში აშშ იძულებული შეიქნება, თავადაც ითანამშრომლოს, რათა „დაფნის გვირგვინი“ რუსეთს არ დაუტოვოს. ეს დაახლოებით ისევეა, როგორც უსასრულოდ გაჭიანურებული „მეორე ფრონტის“ გახსნა იყო მეორე მსოფლიო ომში“.**

# ბანალური ისტორია ნავთის სუნით



ორიოდე დღის წინათ ამერიკელები ზუსტად ასე მოიქცნენ: რუსეთის საჰაერო-კოსმოსური ძალების წარმატებით განხორციელებული ავიადარტყმების კვალდაკვალ პრეზიდენტმა ობამამ „მნიშვნელოვანი ფრონტი“ („მეორე ფრონტი“ ცუდ ასოციაციას აღძრავს და, ალბათ, ამიტომ) გახსნა სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთში. პენტაგონის ინფორმაციით, უკვე 6 ავიადარტყმა განხორციელდა. The New York Times წერს, რომ აშშ და მისი მოკავშირეები ამ მოქმედებებს იმ ადგილიდან მოშორებით ახორციელებენ, რომელ ტერიტორიაზეც რუსეთი ატარებს თავის სამხედრო კამპანიას. **რუსმა სამხედროებმა 20 ავიადარტყმა განახორციელეს და რამდენიმე ასეული მებრძოლი გაანადგურეს. „ჯებჰათ ან-ნუსრას“ და „ჯეიშ ალ-იარმუკის“ დაახლოებით სამი ათასი მებრძოლი სირიიდან გაიქცა და იორდანიას შეაფარა თავი, ნაწილი ტყვედ ჩაბარდა სირიის არმიას.**

ერთი კვირის წინათ რუსეთის პრეზიდენტის მიერ შეთავაზებულ ფართო კოალიციის იდეას ობამამ ნაგვიანევი და იძულებითი „მეორე ფრონტით“ უპასუხა. **ლტოლვილებით შეწუხებული ევროპა გაოცებულია პოზიციების ასეთი სწრაფი ცვლით. ბრიტანელი ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართ დასავლეთის პოლიტიკით უკმაყოფილოთა რაოდენობა იზრდება, მატულობს კრიტიკა აშშ-ის, როგორც იმ ალიანსის ლიდერის, მიმართ, რომელიც ხალიფატის განადგურების მიზნით შეიქმნა.**

Financial Times წერდა, რომ ქურთი გენერალ-მაიორი ეისა ზავირი გაოცებას ვერ მალავს, რადგან „ისლამური სახელმწიფოს“ მომარაგების არხები თვალსაჩინოა და მათზე დარტყმა პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ მას ხელ-ფეხი აქვს შებოჭილი: „ჩვენ ველაპარაკეთ აქ მყოფი ამერიკული, ბრიტანული და ფრანგული კონტინგენტების წარმომადგენლებს, რომლებიც თვითონაც კარგად ხედავენ ამას საკუთარი თვითმფრინავებიდან. თუ რატომ არაფერს აკეთებენ, ამაზე პასუხი არ აქვთ“.

60 ქვეყნის კოალიციის წარუმატებლობა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. სამხედრო წრეების გარდა, დაზვერვამაც გადახედა „ისლამური სახელმწიფოს“ მდგრადობისა და მასთან ბრძოლის საკუთარ შეფასებას. **ბოლო წლების განმავლობაში 6 ათას 800 ავიადარტყმის შედეგად ხალიფატისთვის „წართმეულ“ ტერიტორიას არანაირი სტრატეგიული ფასეულობა არ აქვს, სამაგიეროდ, ტიკრიტის აღებას მშვიდობიანი მოსახლეობის მრავალრიცხოვნი მსხვერპლი მოჰყვა, ხოლო ისლამისტებმა 400 განადგურებული სატრანსპორტო საშუალების სანაცვლოდ 2 ათასი ერთეული ამერიკული სამხედრო ტექნიკა ჩაიგდეს ხელში.**

ფრანგული პარტია „ეროვნული ფრონტის“ ლიდერმა **მარინ ლე პენმა** განაცხადა, რომ საფრანგეთს დიდი ხნის წინათ უნდა გაეკეთებინა ის, რასაც ახლა რუსეთი აკეთებს: „ჩვენ არჩევანი არ გვაქვს, მოცემულ მომენტში პოლიტიკა რეალობიდან გამომდინარე უნდა ავაგოთ. რეალობა კი ისაა, რომ დღეს სწორედ ბაშარ ასადი მართავს სირიას და არმიას. და თუ ჩვენ მართლაც გვინდა „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურება, სხვა ხერხი არ არსებობს, გარდა ბაშარ ასადთან ერთად დიდ კოალიციაში გაერთიანებისა... საფრანგეთს იგივე უნდა გაეკეთებინა, რასაც ახლა რუსეთი აკეთებს, ჩვენ კი, დიპლომატიის თვალსაზრისით, სულელურ მდგომარეობაში ვართ; აშშ-ს დავყვებით მაშინაც კი, როცა ის თვალსაზრისს იცვლის“.

**ბაშარ ასადმა** ირანის ტელევიზიასთან ინტერვიუში განაცხადა: „სახელმწიფოთა უმრავლესობა ტერორიზმის საფრთხეს გრძნობს და ჩვენ ვხედავთ, რომ სრულიად განსხვავებულმა ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს რუსეთის, სირიის, ერაყისა და ირანის კოალიციას, ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ კოალიციას წარმატების დიდი შანსი აქვს“.

ასადმა ისიც აღნიშნა, რომ **აშშ-ის ხელმძღვანელობით კოალიციის შექმნის შემდეგ „ისლამური სახელმწიფოს“ საზღვრები გაფართოვდა, მებრძოლთა რაოდენობა კი გაიზარდა.** შეერთებული შტატების დაჟინება – გადადგეს ასადი, ერთ-ერთი შეუთანხმებელი მომენტი იყო კრემლსა და თეთრ სახლს შორის. რუსეთის პრეზიდენტი იმ აზრზე რჩება, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხება მხოლოდ ლეგიტიმური ხელისუფალის პირობებშია შესაძლებელი და ამ ვითარებაში ასადის გადადგომა სირიას ისეთივე ქაოსში ჩაძირავს, როგორშიც ლიბია და ერაყი აღმოჩნდნენ.

და, აი, ასადმა აღმოსავლური სვლა გააკეთა: „სირიელი ხალხის ნებისმიერი გადაწყვეტილება ქვეყნის მომავალზე სავალდებულო იქნება სირიის ხელისუფლებისა და პირადად ჩემთვის, როგორც ოფიციალური პირისთვის. სირიის ხელისუფლება მხარს უჭერს ნებისმიერ პოლიტიკურ ზომებს ტერორიზმთან ბრძოლის პარალელურად... **თუ ჩემი გადადგომა სირიის კრიზისის დაძლევას უშველის, მზად ვარ, გადავდგე“.**

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას: აშშ-ის დაჟინება ასადის გადადგომაზე იმ მოტივით, რომ მან „ხელი შეუწყო“ თავისი ქვეყნის მოქალაქეების გაჟლეტას, უკვე ისე ხშირად გამოყენებული სქემაა, რომ არანაირ ნდობას აღარ იწვევს, განსაკუთრებით იმ ციფრების ფონზე, რომლებიც ამერიკულ სამხედრო ინტერვენციებს უკავშირდება ბოლო ოცი წლის განმავლობაში. **საუდის არაბეთზე, ამერიკის სტრატეგიულ მოკავშირეზე, ნურაფერს ვიტყვით, სადაც ახლახან 17 წლის ახალგაზრდას მიტინგზე მხოლოდ დასწრებისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ეს იქ ჩვეულებრივი მოვლენაა.**

ნურც იმაზე ვილაპარაკებთ, რაც ამ დღეებში მოხდა: **ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა ავღანეთში, კუნდუსში, „შეცდომით“ დაბომბეს... ჰოსპიტალი. ამ „შეცდომას“ 22 ადამიანის – ექიმებისა და პაციენტების სიცოცხლე შეეწირა. დაჭრილია რამდენიმე ათეული ადამიანი, მათ შორის — 17 ექიმი.** ასეთი „შეცდომები“ ადრეც არაერთხელ მომხდარა, მაგრამ ამჯერად რეზონანსი იმან გამოიწვია, რომ ამ ჰოსპიტალში საერთაშორისო ორგანიზაცია „ექიმები საზღვრების გარეშე“ მუშაობს. **ეს ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ ჰოსპიტლის კოორდინატები ავღანელ და ამერიკელ სამხედროებს გადაცემული ჰქონდათ და აუხსნელია, როგორ შეიძლებოდა მისი „შეცდომით“ დაბომბვა.**

ამ ისტორიას განსაკუთრებულ მომხიბლველობას სძენს ის, რომ **რუსული თვითმფრინავები ჯერ აფრენილი არ იყვნენ, როცა ამერიკულმა მედიამ დაიწყო ინფორმაციის გავრცელება, თითქოს ისინი სირიაში მშვიდობიან მოქალაქეებს ბომბავენ. ორიოდე დღეში კი გაირკვა, რომ მათ მიერ გავრცელებული ფოტოები რუსეთის ავიადარტყმების დაწყებამდე გაცილებით ადრე იყო გადაღებული.** ასე მოხდა კოსოვოშიც, როცა დასავლური მედია „საკონცენტრაციო ბანაკებში“ გამომწყვდეული ალბანელების ფოტოებს ამრავლებდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ფოტოები სულ სხვაგან და სხვა დროს იყო გადაღებული, მაგრამ მათ პროპაგანდისტული ფუნქცია უკვე შეასრულეს და გაალბანელებული კოსოვო „გააპატიოსნეს“.

რა უჯდება ამერიკული სამხედრო ინტერვენციები ერაყელებს, ავღანელებსა და სირიელებს, კარგად არის ცნობილი, მაგრამ რა უჯდება ისინი თვით შეერთებულ შტატებს წმინდა მატერიალური თვალსაზრისით? **აშშ-ის კონგრესის კვლევითი სამსახურის ინფორმაციით, ამერიკის ხელისუფლებამ ერაყსა და ავღანეთში ტერორიზმის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში 1,6 ტრილიონი დოლარი დახარჯა. 2001 წლის 11 სექტემბრიდან 2014 წლის სექტემბრამდე კონგრესმა 815 მილიარდი დოლარი ერაყის და 686 მილიარდი ავღანეთის ომებისთვის გამოყო, კიდევ 81 მილიარდი – სხვა ხარჯებისთვის, 27 მილიარდი კი აშშ-ის ტერიტორიის საჰაერო პატრულირების პროგრამისთვის.**

აშშ სირიაში ოპოზიციის 5 ათას 500 მებრძოლის გაწვრთნას გეგმავდა. კონგრესის საკომიტეტო მოსმენებზე **აშშ-ის ცენტრალური სარდლობის ხელმძღვანელი, გენერალი ლოიდ ოსტინი იძულებული შეიქნა, ელიარებინა, რომ 50 „ზომიერი“ მეამბოხიდან, რომლებიც ამერიკელებმა გაწვრთნეს, „ისლამურ სახელმწიფოს“, ფაქტობრივად, 4-5 მათგანი ებრძვის. მანამდე აშშ-მა 60 მებრძოლი გაწვრთნა, რაც 40 მილიონი დოლარი დაუჯდა, თუმცა ისინი ტერორისტებთან ბრძოლის პირველივე დღეს დაიღუპნენ. პენტაგონმა უკვე აღიარა, რომ სირიელ მეამბოხეთა მომზადების პროგრამამ არ გაამართლა. ნახევარი მილიარდი დოლარი შავ ხვრელში გაქრა.**

პენტაგონის წარმომადგენლის — **სტივ უორენის** ინფორმაციით, ერაყისა და სირიის დაბომბვებზე პენტაგონმა 2,1 მილიარდი დოლარი დახარჯა. **სულ კი ერაყის სამხედრო ოპერაციაზე აშშ-მა 4 ტრილიონი დოლარი დახარჯა.** თავდაპირველად თავდაცვის სამინისტრო პოტენციურ ხარჯს 50-80 მილიარდად აფასებდა. თეთრი სახლის ეკონომიკური მრჩეველი **ლოურენს ლინდსი**, რომელიც ამ ხარჯს 200 მილიარდამდე ვარაუდობდა, სამსახურიდან გაათავისუფლეს. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე **ლოურენს კორბი** აცხადებს, რომ ერაყში ამერიკის პირდაპირი დანახარჯები 800 მილიარდ დოლარს შეადგენს, ხოლო არაპირდაპირი ხარჯების შეფასება მეტად რთულია. ამ „არაპირდაპირ ხარჯებში“ შედის ომის დაფინანსებისთვის აღებული კრედიტის პროცენტები, ქუვეითში, ყატარსა და ბაჰრეინში სამხედრო ბაზების შენახვა, ერაყში ამერიკის საკუთრების დაცვა და ერაყელი სამხედროების სწავლება. ერაყისა და ავღანეთის ომების ვეტერანთა ორგანიზაციის დირექტორის — **პოლ რიკჰოფის** ინფორმაციით, 2 მილიონი „ერაყელი“ ვეტერანის მხოლოდ სამედიცინო მომსახურებას დაახლოებით ტრილიონი დოლარი დასჭირდება.

**მერყეობა, პოზიციების ცვლა და უკანდახევა უკვე ნორმად იქცა დასავლურ პოლიტიკაში. არავისთვის არის საიდუმლო, რომ ამერიკელები თალიბებთან თანამშრომლობდნენ. თავის დროზე ასევე თანამშრომლობდნენ „ალ ქაიდასთან“, მუამარ კადაფისთან, სადამ ჰუსეინთან და სხვებთან. სხვათა შორის, ასადთანაც მეგობრობდნენ, ვიდრე უეცრად მკვეთრად შეიცვლიდნენ პოზიციას.**

მაინც რამ გამოიწვია საერო და ცივილიზებული ასადის „ჯალათად“ გამოცხადება?

**2010 წლის ბოლოს სირიის ტერიტორიულ წყლებში ნორვეგიულმა კომპანია ANSIC-მა ნავთობის 14 ახალი საბადო აღმოაჩინა, საერთო ჯამში, 37 მილიარდი ტონის მარაგით. საუდის არაბეთის მარაგი 36 მილიარდი ტონაა, ერაყის – 15,7 მილიარდი, ქუვეითის – 14,28 მილიარდი, გაერთიანებული ემირატების – 14 მილიარდი ტონა. იმის გათვალისწინებით, რომ სირია ნავთობს 1974 წლიდან მოიპოვებს, ეს ახალი მარაგი სრულიად ცვლის ნავთობის ბალანსს ახლო აღმოსავლეთში. ნავთობის რაოდენობის გარდა, ეს ახალი საბადოები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი მიწის ზედაპირიდან მხოლოდ 250 მეტრის სიღრმეზეა და, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, მისი მოპოვება მსოფლიოში ყველაზე იაფი დაჯდება. ახალი საბადოები 2010 წელს აღმოაჩინეს, 2011 წელს კი სირიაში სამოქალაქო ომმა იფეთქა.**

ბანალური ისტორიაა.

ისეთივე ბანალური, როგორიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე პოზიციებისა და პრიორიტეტების ცვლა ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან. **უცვლელი მხოლოდ საქართველოს ძველი და ახალი ხელისუფლებების პროდასავლური პოზიციაა. დასკვნები არ კეთდება, დამოკიდებულებები არ იცვლება. სულელისა და საკუთარი შეცდომების არ იყოს, იმას მაინც ხომ უნდა ხვდებოდე, რომ რუსეთს მანამდე უნდა დაელაპარაკო, ვიდრე იგი „ისლამურ სახელმწიფოს“ დაამარცხებს(!), თუ, რა თქმა უნდა, შენი ეროვნული ინტერესი გამთლიანებული საქართველოა და არა დასავლეთის ცვლადი პოზიციების უცვლელი ერთგულება.**

რუსეთის ფედერაცია „ისლამური სახელმწიფოს“ სახით ქრისტიანული კულტურის მტრებს ეომება, ანუ რუსები ჩვენი, ქართველების, საქმესაც აკეთებენ.

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პუტინის სირიული კატა ჰაჯიმე

## ახლა მაინც თუ ხვდებით, რა ჩაიდინეთ?!

**„საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ — გახსოვთ, ალბათ, „ნაცბანდის“ ეს ცინიკური ლოზუნგი, რომლითაც 2012 წლის არჩევნების წინ კიდევ ერთხელ სცადეს ხალხის მოტყუება. როგორც იტყვიან, ხავსს ეჭიდებოდნენ, მაგრამ ქართველმა ხალხმა ხავსის ნაცვლად ის შეაჩეჩა ხელში, რასაც იმსახურებდნენ — ბეჭდური სიტყვა არ არის და ამიტომ ვერ გამოვიყენებ, თუმცა გამგები გაიგებს, რაც იგულისხმება ამ ჩემი „მოკრძალების“ მიღმა...**

ჰოდა, შეაჩეჩა და მიშას მშობლიურ ენაზე „გნა ელი, ტოო“ მიაყოლა. „ნაცებმაც“ „გნაცი“ ქნეს, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, „შააყოლეს“ ხელისუფლებიდან, თუმცა ამერიკელთა ზღვარგადასული მხარდაჭერის გამო პოლიტიკაში მაინც დარჩნენ და ნაცსექტის ბელადი — უკრაინიდან, აქ დარჩენილი „მთავარი ოპოზიციური ძალა“ კი პარლამენტიდან დღესაც დაგვცინიან და ნერვებს გვიშლიან ქართველ ხალხს...

ვლადიმერ პუტინმაც ნაწილობრივ გაიზიარა „ნაცების“ ლოზუნგი. ნაწილობრივ, რადგან ლაპარაკითაც ილაპარაკა გაეროში და მეორე დღესვე ლაპარაკს საქმე მოაყოლა — **30 სექტემბერს რუსეთის ავიაციამ პირველად და ისეთი ძალით დაარტყა „ისლამურ სახელმწიფოს“, რომ ტერორისტების ფეხქვეშ მიწა აღუღდა...**

მაგრამ დავუბრუნდეთ გაეროს ისტორიულ სესიას, რომელსაც ისტორიული არა მხოლოდ იმის გამო შეიძლება ვუწოდოთ, რომ სტალინის ძალისხმევით შექმნილი გაეროს დაარსებიდან საიუბილეო, 70 წელი შეუსრულდა, არამედ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ **ვლადიმერ პუტინის სიტყვის შემდეგ უკვე ყველასთვის ნათელი შეიქნა: ერთპოლუსიან მსოფლიოში აშშ-ის დაუსჯელი პარპაში დასრულდა!**

ჯერ აშშ-ის პრეზიდენტი (აგრეთვე, მსოფლიოს ლგბტ სექტის ბელადი) **ობამა** ავიდა გაეროს ტრიბუნაზე, იმ გაეროსი, რომელიც ამერიკელთა მეოხებით, სალაყბო ორგანოდ იქცა, რომლის რეზოლუციები ძია სემს არაერთხელ უხმარია, როგორც ტუალეტის ქაღალდი.

ჰოდა, ავიდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარი აქცენტი უკრაინაზე — დონბასში რუსეთის რეგულარული არმიის ყოფნასა (რაც, დოკუმენტურად, აშშ-ის მძლავრმა სპეცსამსახურებმა დღემდე ვერ დაამტკიცეს) და რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიაზე გააკეთა; იმ ყირიმისა, რეფერენდუმსაც თავი რომ დავანებოთ, რომლის ძალითაც ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთის ფედერაციის სუბიექტი გახდა, და რომელიც, თუ არ ჩავთვლით ნიკიტა ხრუშჩოვის ვოლუნტარისტულ გადაწყვეტილებას გასული საუკუნის 50-იან წლებში, ეკატერინე დიდიდან მოყოლებული, ყოველთვის რუსეთის განუყოფელი ნაწილი იყო და მალოროსიად იწოდებდა. და ის ამჯერად თუნდაც უხეში ძალით ყოფილიყო ანექსირებული, ამით მხოლოდ ისტორიული სამართლიანობა აღდგებოდა და აღდგა კიდეც!..

**რაც შეეხება ვლადიმერ პუტინს, რომელიც 10 წელიწადია, გაეროში არ გამოსულა (სალაყბოში სატლიკინოდ სად ეცალა, როცა დაჩოქილი რუსეთი ჰყავდა ფეხზე წამოსაყენებელი), მისი სიტყვა, როგორც ყოველთვის, პირდაპირი, ყოველგვარი დიპლომატიური მანჭვა-გრეხისგან თავისუფალი, უბრალო, ყველასთვის გასაგები ენით გამოირჩეოდა.**

მან მოკლედ მიმოიხილა აშშ-ის ბოლო, განსაკუთრებით ერაყის ავანტიურიდან მოყოლებული საგარეო პოლიტიკა „არაბული გაზაფხულების“ ჩათვლით, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი დიდი მიგრაცია გამოიწვია და ლამის წალეკა დავარცხნილ-მაძღარი ევროპა.

რუსეთის პრეზიდენტის სიტყვის პათოსის ზუსტად გადმოსაცემად მისი ერთი ფრაზა რუსულად უნდა მოვიყვანო:

— ხოტ პონიმაეტე ტეპერ, ჩევო ვი ნატვორილი? — მოკლედ მიმართა მან ამერიკელებს, მე კი ვრცლად შეგახსენებთ, „ჩევო ანი ნატვარილი“:

**ერაყში,** მართალია, მასობრივი განადგურების იარაღი ვერ უპოვეს სადამ ჰუსეინს, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, ალბათ, ბევრი რომ არ ელაპარაკა, სასწრაფოდ ჩამოახრჩეს. ამის შემდეგ ერაყში ქაოსმა და ანარქიამ დაისადგურა, რომელიც ახლო აღმოსავლეთს მოედო და უკვე „ისლამური სახელმწიფოს“ სახით წალეკვით ემუქრება ცივილიზაციას და, პირველ რიგში, ქრისტიანულ კულტურას...

**ეგვიპტეში** ჰოსნი მუბარაქი დააპატიმრეს, რამაც ხელისუფლებაში „მუსლიმთა საძმოს“ მოსვლა გახადა შესაძლებელი, პარტიისა, რომელიც ჰოსნი მუბარაქის მიერ აკრძალული იყო. საბოლოოდ, ეგვიპტის სამხედრო ძალების სარდალმა, გენერალმა ალ-სისიმ ქვეყნის კონსტიტუცია დროებით შეჩერებულად გამოაცხადა და პრეზიდენტი მორსი და „მუსლიმთა საძმოს“ ელიტა გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

ეგვიპტის სასამართლომ კი უკვე სამუდამო პატიმრობა მისჯილი ეგვიპტის ეროვნული გმირი, მოხუცი ჰოსნი მუბარაქი უდანაშაულოდ სცნო...

**ტუნისიდან** პრეზიდენტი ბენ ალი გააქციეს და ერთ დროს ელიტური ტურიზმის ქვეყანაში, ისტორიულ კართაგენში, ისეთი „დემოკრატია დამყარდა“, რომ ისლამისტი ტერორისტების შიშით ბევრი ველარ ბედავს დასასვენებლად ჩასვლას, დასვენება გასვენებად რომ არ ექცეს...

**ლიბიაში** ხომ საერთოდ, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, ამერიკელებმა მუამარ კადაფი გამძვინვარებულ ბრბოს მიუგდეს საჯიჯგნად. დაჯიჯგნეს კიდეც და დღეს ისეთი ქაოსი და სიღატაკე სუფევს ერთ დროს ეკონომიკურად მძლავრ და პოლიტიკურად სტაბილურ ლიბიაში, რომ კადაფის გამგლეჯი ლიბია კადაფისდროინდელ უზრუნველ ცხოვრებას მისტირის...

**ე.წ. არაბული გაზაფხულების ჩარჩოებში ერთადერთს სირიის პრეზიდენტ ასადს ვერაფერი მოუხერხეს ამერიკელებმა, რადგან სწორედ სირიაში გამოაჩინა პირველად კბილები რუსულმა დათვმა, თორემ მანამდე სსრკ-ის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია გასული საუკუნის 90-იანებიდან მოყოლებული უკანა თათებზე შემდგარ ალიკაპიან ცირკის დათვს უფრო ჰგავდა, ვიდრე ტაიგის ბატონ-პატრონ მრისხანე მეფეს!**

მოკლედ და ფიგურალურად თუ ვიტყვით, პუტინმა ობამას სირიაში კაი ჩიტი დააჭერინა! ვისაც ობამასთვის ჩიტის დაჭერინება არ მოგწონთ, შეგახსენებთ, რომ ჩიტს საბასეული ლექსიკონით „სირი“ ჰქვია. ჰოდა, ახლა თავად მოთარქმნეთ, რა დააჭერინეს სირიაში ობამას ხელში.

ვლადიმერ პუტინმა თქვა თავისი სათქმელი და გაეროს ტრიბუნიდან პირდაპირ მოსკოვს მიაშურა, სადაც მეორე დღესვე რუსეთის დუმამ ერთსულოვანი თანხმობა მისცა არმიის რუსეთის საზღვრებს მიღმა მოქმედებებზე და იმავე საღამოს რუსეთის ავიაციამ პირველად დაარტყა „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებს.

სწორედ ამ თემას განიხილავდა იმ დღეების პოლიტიკური სატელევიზიო თოქშოუები, სადაც ცნობილმა რუსმა პატრიოტმა **ალექსანდრე პროხანოვმა** ვლადიმერ პუტინს მოუწოდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსულ თვითმფრინავს ჩამოაგდებენ და პილოტები ტყვედ ჩაუვარდებათ (რაც ადვილი შესაძლებელია) სადისტ ისლამისტებს, ხელისუფლებამ მშვიდად არ უნდა უყუროს, წითელ ბალდახინიან ტყვეებს საჯაროდ როგორ მოაჭრიან თავებს. მართლაც, არა მგონია, რუსეთი ამერიკასავით ფარჩაკულად მოიქცეს — **როდესაც თავებს აყრევინებდნენ აშშ მოქალაქეებს, თეთრი სახლი მათ ჭირისუფლებს სამძიმრის დეპეშებს უგზავნიდა...**

იმედია, კრემლი ასე არ და ვერ მოიქცევა. ძრწოდეთ, ისლამისტებო! თუ მსგავსი რამ გაუბედეთ რუსეთს, აი, მაშინ გეტირებათ დედა, დედაბუდიანად დაგადუღებთ რუსული ავიაცია!

რუსეთის ავიაკოსმოსური ძალების მთავარი შტაბის უფროსის მოადგილე ანდრეი კარტაპოლოვმა განაცხადა, რომ, დაზვერვის მონაცემებით, „ისლამური სახელმწიფოს“ ჯარში პანიკამ დაისადგურა. 600-მდე მოხალისემ „ხალისი“ დაკარგა და დეზერტირებმა გაქცევა დაიწყეს, რის გამოც, — ამბობს გენერალი, — ავიადარტყმებს უფრო გავაძლიერებთო.

გენერალმა დასძინა, რომ მათ გააფრთხილეს დასავლელი „პარტნიორები“, რუსეთის ავიაციის სამოქმედო არეალიდან გაიყვანონ ე.წ. სამხედრო კონსულტანტები და გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად შეწყვიტონ ფრენები რუსეთის ავიაციის პარალელურად.

დაინგრა კიდევ ერთი ზღაპარი, რომ რუსეთის დაჟანგული ტექნიკა ვერც ისვრის და ვერც გადაადგილდება. **რუსეთის ავიაციის ძველი მოდერნიზირებული თუ უახლესი თვითმფრინავების უზუსტეს დარტყმებს უილაჯო აღშფოთებით ადევნებს თვალს პედერასტიზაციის რელსებზე შემდგარი ნატო (წაიკითხე — აშშ). მათ საინფორმაციო ომი გააჩაღეს დასავლურ მედიაში, რომ თითქოს რუსები, „ისლამურ სახელმწიფოს“ კი არა, ასადის „ზომიერ ოპოზიციას“ ურტყამენ და აჩვენეს რუსთა ავიადარტყმების შედეგად დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობა.**

იქნებ ასეც არის(?), მაგრამ რა გაეწყობა, როგორც იტყვიან, ომი ომია და უზუსტესი ტექნიკის პირობებშიც კი, სამწუხაროდ, მშვიდობიანი მოსახლეობაც ზარალდება, მაგრამ **ამერიკელთა შნირი „ნაცების“ არ იყოს, რომლებიც დღეს ბედავენ და მორალს გვიკითხავენ, ვინ ლაპარაკობს ჰუმანიზმზე და რა მორალური უფლებით?!**

**ჰიროსიმა-ნაგასაკის ატომური გენოციდი, ვიეტნამი, სადაც ნაპალმის ბომბებით პირისაგან მიწისა აღგავეს სოფლები თუ ქალაქები, მართლმადიდებელი(!) სერბეთის (ერაყ-ლიბიაზე და ა.შ. უკვე ვთქვით) მუხანათური დაბომბვები ძირითადად — ღამით, რათა მსხვერპლი რაც შეიძლება მეტი ყოფილიყო და ა.შ. — ამერიკელთა მუხანათობების ჩამოთვლა, ლამის უსასრულოდ შეიძლება.**

ვიეტნამი ვახსენეთ და ვიეტნამის „პლენში“, უკაცრავად და, უკანალიდან „შეურაცხყოფილმა“ ჯონ მაკკეინმა პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთის ავიაციამ ამერიკელთა მიერ ასადის წინააღმდეგ გაწვრთნილ აჯანყებულებს დაარტყაო.

არც ეს არის გამორიცხული, რადგან ამერიკელთა მიერ შეიარაღებული ე.წ. ზომიერი ოპოზიცია, ძირითადად, „ისლამურ სახელმწიფოს“ კი არა, სირიის რეგულარულ არმიას ებრძვის, რომელიც მიწაზე რუსეთის ავიაციის ერთადერთი მოკავშირეა.

ზემოთ ჩამოთვლილი არაბული ქვეყნების ლიდერები, რა თქმა უნდა, დიქტატორები თუ არა, სულ ცოტა, ავტორიტარი მმართველები იყვნენ და არიან. სხვანაირად ვერავინ შეძლებს ისლამური სამყაროს მართვას, რადგან მუსლიმებისთვის დემოკრატია იქ მთავრდება, სადაც შარიათი და ყურანი იწყება...

ავტორიტარული თურქეთი, აზერბაიჯანი ისლამურ სამყაროში ე.წ. სვეტსკი ქვეყნებად ითვლებიან. „სვეტსკებად“ ითვლებოდნენ ზემოთ ჩამოთვლილი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიც (ლიბია-სირია მანამდე, სანამ „არაბული გაზაფხულების“ ამერიკულმა დემოკრატიზაციამ დაამხო რეჟიმები და დაანგრია მათი სახელმწიფოებრიობა).

ქალმა ქუჩაში უჩადროდ რომ იაროს და საარჩევნო უფლებით ისარგებლოს — ეს თითქმის მაქსიმალური დემოკრატიაა ისლამისთვის. და ის არ უნდათ გაიგონ ამერიკელებს, რომ ისლამური და მართლმადიდებელი ქვეყნებიც არასოდეს მიიღებენ, უკაცრავად და, ტრაკშიშველა, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დემოკრატიას.

**იანკები, მათთვის ჩვეული ორმაგი სტანდარტის გამო, საუდის არაბეთზე, ყატარის დიქტატორულ რეჟიმებზე სიტყვას არ ძრავენ, რადგან ისინი ძაღლიშვილები კი არიან, მაგრამ აშშ-ის ძაღლიშვილები არიან და, რაც აშშ-ის მოკავშირე ისლამურ სახელმწიფოებს დემოკრატიად ეთვლება, არ ეპატიება სხვებს, ვინც აშშ-ის დიქტატს არ ემორჩილება.**

ამიტომაც შეაჩერა ევროსაბჭოსთან ურთიერთობები მოძმე აზერბაიჯანმა, დასავლეთს ზედმეტად რომ არ ჩაეყო ცხვირი ოფიციალური ბაქოს საშინაო პოლიტიკაში. ბრავო, ილჰამ ალიევ!

მოკლედ, რუსეთის ფედერაცია „ისლამური სახელმწიფოს“ სახით ქრისტიანული კულტურის მტრებს ეომება, ანუ რუსები ჩვენი, ქართველების, საქმესაც აკეთებენ, ამიტომაც ვამბობ:

რუსეთი — მესიის მახვილი!

**დავით მხეიძე**



**ვლადიმერ პუტინის სიტყვის შემდეგ უკვე ყველასთვის ნათელი შეიქნა, რომ ერთპოლუსიან მსოფლიოში აშშ-ის დაუსჯელი პარპაში დასრულდა!**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველო მზად არის, დახოცოს ახალგაზრდობა, ოღონდ სადმე მიგვიღონ. ვფიქრობ, გაერო უფრო სალად შეაფასებს ვითარებას. ჩვენხელა ქვეყნიდან 1000 კაცის წასვლა არ შეიძლება, შესაძლებელია, წაიყვანონ ექიმები. არ შეიძლება, გაერომ გააკეთოს იგივე, რასაც ამერიკა და ნატო აკეთებს. ამერიკას არ აინტერესებს, რამდენია საქართველოს მოსახლეობა, ის, უბრალოდ, გენოციდს გვიწყობს, როდესაც ამ პატარა ქვეყნიდან 1000-კაციანი სამხედრო კონტინგენტი სასაკლაოზე მიჰყავს.



ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# საქართველოს ხელისუფლება მზად არის, ნატოში მიღების ფუჭი დაპირებების სანაცვლოდ დახოცოს ქვეყნის ახალგაზრდობა

**გასულ კვირას საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილი იყო გაეროს 70-ე საიუბილეო გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც 28 სექტემბერს გაიხსნა. საქართველოდან ორი დელეგაცია ჩავიდა პრემიერისა და პრეზიდენტის მეთაურობით. პრემიერ ღარიბაშვილის გამოსვლას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან. რა მოხდა ყველაზე მნიშვნელოვანი გაეროში, რას ჩაეყარა საფუძველი და ადეკვატური იყო თუ არა საქართველოს წარმომადგენლის გამოსვლა, — ამ საკითხებზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო ჰამლეტ, გაამართლა ხალხის მოლოდინი გაეროს 70-ე საიუბილეო სესიაზე წასულმა საქართველოს ორმა დელეგაციამ პრემიერისა და პრეზიდენტის ხელმძღვანელობით? როგორ შეაფასებთ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლას?**

— საქართველოს მოსახლეობას არ უნდა ჰქონოდა რაიმე მნიშვნელოვანისა და ახლის მოლოდინი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლისგან. რაც უნდა თქვას გაეროში ღარიბაშვილმა, ულიმღამოა. **საქართველოს პრემიერი არც უგო ჩავესია (ვენესუელის ყოფილი პრეზიდენტი — ე.ნ.), არც ნიკიტა ხრუშჩოვი (სსრკ-ის ყოფილი ლიდერი — ე.ნ.) და არც აჰმადინეჯადი (ირანის ყოფილი პრეზიდენტი — ე.ნ.). ღარიბაშვილს რა უნდა ექნა, როდესაც ამერიკის არც ერთი პრეზიდენტის გამოსვლა არ ყოფილა საინტერესო არც ერთ სამიტზე.**

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ დღეებში საქართველოში მოხდა, იყო ის, რომ საბოლოოდ დადგინდა ქართველი პოლიტიკოსების დონე. ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა ვერ გაარკვიეს, სად და როდის გამოდიოდა სიტყვით პრემიერი ღარიბაშვილი. მათ ოთხი დღით ადრე ატეხეს ერთი ამბავი. არადა, საიუბილეო სხდომა დაწყებულიც არ იყო. **ქვეყანას, რომლის პოლიტიკოსებმაც პოლიტიკის ანბანი არ იციან, დიდი პოლიტიკის კეთება არ უნდა მოსთხოვო.**

ღარიბაშვილი 1 ოქტომბერს გამოვიდა. მან თქვა ის, რაც უნდა ეთქვა და რაც არასოდეს შესრულდება. პრემიერმა ისაუბრა 90 ათასი ადამიანის დასაქმებაზე და, რაც მთავრია, განაცხადა, რომ რუსეთი აგრესორია და შეეცადა, მეზობელი ქვეყანა ჩაეწიხლა.

70-ე საიუბილეო სესიას 193 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა. ყველა მათგანის გამოსვლა პროტოკოლურია. ასე რომ, ღარიბაშვილის გამოსვლაში ახალი და საინტერესო რა უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ ყველაფერში საინტერესო იყო მისი მინისტრის, თეა წულუკიანის, შეფასება: „ევროპამ მაღალ დონეზე შეაფასა პრემიერმინისტრის გამოსვლა". **ნეტა, რას ნიშნავს წულუკიანისთვის ევროპა და რა იგულისხმა მან? წულუკიანი ამ შეფასებამ შთაბეჭდილება დამიტოვა, რომ სრულიად ევროპის მოსახლეობა გულისფანცქალით ელოდა ღარიბაშვილის გამოსვლას, მერე შვებით ამოისუნთქა და დადებითად შესაფასა. ეს ტრაგედიაა!**

**საქართველოს ყველა ხელისუფლებას, ზომის, წონის, განათლების მიუხედავად, სურვილი აქვს, მოწინავე ქვეყნების რიგში იდგეს. ასე იყო ბედკრული სააკაშვილიც... დღემდე ვერავინ გაიგო, რომ ამ პატარა ქვეყნის ადგილი დიდების გვერდით არ არის.**

ეს თავიდანვე უნდა ეთქვათ ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ მატრაკვეცობის დრო არ არის და რეალურად შევხედოთ ყველაფერს. ნაბიჯებიც ასეთი უნდა გადაედგათ.

ღარიბაშვილის გამოსვლა პროტოკოლური იყო, — ასე ჩათვალა დამსწრე საზოგადოებამ, რუსეთმა კი, რომელიც 1992 წლის შედეგ რეაგირებას არ ახდენს საქართველოს წარმომადგენლების გამოსვლაზე, ამჯერადაც დუმილი არჩია. **რუსეთის აზრი მნიშვნელოვანია. აუცილებელია, წერტილი დაესვას იმ მაზოხიზმს, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება მიმართავს.**

ქვეყნის პირველი პირი ამბობს, რუსეთი აგრესორიაო. არადა, აგრესორი თვითონ ხარ — ეს დასკვნა ასახულია კომიისიის ოფიციალურ დოკუმენტებში, კომისიისა, რომელსაც ტალიავინი ხელმძღვანელობდა. რუსეთს ეს იმ მაღალი ტრიბუნიდან უნდა ეთქვა, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლა დასაწყისში იყო, ხოლო ღარიბაშვილის — ბოლოსკენ.

**— ამ შეხვედრაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ მოხდა: პრემიერმა განაცხადა, რომ ქართველი ჯარისკაცები გაეროს მისიაშიც მიიღებენ მონაწილეობას — „ცისფერჩაფხუტიანთა" რიგებში. მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ამ მისიის შესრულება?**

**«გაეროს ერთკვირიანი შეხვედრები, ნორმანდიული ოთხეულის შეხვედრის ჩათვლით, იყო რუსეთის დიპლომატიისა და პოლიტიკის ტრიუმფი. რა მოხდა ერთ კვირაში? ვლადიმერ პუტინმა თავისი გამოსვლით ყველას დაანახვა, რომ მსოფლიო ერთპოლუსიანი აღარ არის, რომ დასასრულისკენ მიდის ამერიკის ჰეგემონია»**

— ხელისუფლებისგან აღარაფერი მიკვირს. 25 წლის განმავლობაში დახურულ კარს ვურტყამთ თავს. **აქედან ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — საქართველოს ხელისუფლება მზად არის, ნატოში მიღების ფუჭი დაპირებების სანაცვლოდ დახოცოს ქვეყნის ახალგაზრდობა.** ვფიქრობ, გაერო უფრო სალად შეაფასებს ვითარებას. ჩვენი ზომის ქვეყნიდან 1000 კაცის წასვლა არ შეიძლება, შესაძლებელია, წაიყვანონ ექიმები. **არ შეიძლება, გაერომ გააკეთოს იგივე, რასაც ამერიკა და ნატო აკეთებს. ამერიკას არ აინტერესებს, რამდენია საქართველოს მოსახლეობა, ის, უბრალოდ, გენოციდს გვიწყობს, როდესაც ამ პატარა ქვეყნიდან 1000-კაციანი სამხედრო კონტინგენტი სასაკლაოზე მიჰყავს.**

**ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა იყო — ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის.**

მოკლედ ვიტყვი ორი დელეგაციის წასვლაზეც. გარდა იმისა, რომ თავი გავიშაყირეთ, უცოდინარობაც გამოვამჟღავნეთ, რადგან გაეროს იმ დარბაზში დელეგაციის სამი წევრი მერხთან ზის და მათ უკან კიდევ სამი ადგილია, ასე რომ, პრეზიდენტი ძალიან დაბალი დონისაა, თუ იფიქრა, რომ მისი ადგილი იქ იქნებოდა. პრეზიდენტი, პრემიერი და მათი თანმხლებნი იქ არ დაეტეოდნენ. მარგველაშვილის ამერიკაში ვიზიტი ღიმილის კი არა, ხითხითის სურვილს გიჩენს, თუმცა ხითხითის განწყობაზე არ დაგაყენებს ვიზიტზე დახარჯული ფული.

**— ბატონო ჰამლეტ, გაეროს თავყრილობაზე რა მოხდა ყველაზე მნიშვნელოვანი და ვინ მიიქცია უდიდესი ყურადღება?**

— გაეროს ყოველთვის აინტერესებს, რას იტყვის პირველი სახელმწიფოს მეთაური. ბარაკ ობამას გამოსვლა იყო გამომწვევი, გამაღიზიანებელი. დაწიხლა რუსეთი, გააკრიტიკა ირანი და ჩინეთი. დიპლომატიაში წერტილ-მძიმესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. **ის, რაც ობამამ რუსეთს აკადრა, ყველაფერი ტყუილია, თუმცა ამ ტყუილით საზოგადოების დაჯერებას ცდილობდა.** მან ასევე თქვა, რომ სანქციებმა, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ ამოქმედდა, ეს ქვეყანა დააჩოქა, რომ რუსეთიდან ინტელექტუალები გარბიან. თავისი გამოსვლა კი ასე დაასრულა — „მსურს, ვიხილო ძლიერი რუსეთი!", რაც კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო.

**ალბათ, არ მომლანდება და ბევრი დამეთანხმება, რომ ერთ-ერთი, ასე ვთქვათ, სეფესიტყვა რუსეთის პრეზიდენტმა წარმოთქვა. ის 22 წუთში ჩაეტია და რევერანსების გარეშე, პირდაპირ თქვა ყველაფერი. პუტინი იყო კორექტული, არ დაუსახელებია არავის სახელი და გვარი, ბოლოს კი იკითხა — რა გააკეთეთ?**

მსოფლიოს ყურადღება მიმართული იყო სწორედ პუტინის გამოსვლისკენ, არავინ იცოდა, რას იტყოდა. რუსეთის პრეზიდენტის გაეროში გამოსვლა მიუნხენში გამოსვლაზე მწვავე იყო. პუტინმა სწორედ მიუნხენში ამხილა ამერიკა, რასაც ვერავინ ბედავდა.

**გაეროს ერთკვირიანი შეხვედრები, ნორმანდიული ოთხეულის შეხვედრის ჩათვლით, იყო რუსეთის დიპლომატიისა და პოლიტიკის ტრიუმფი.**

რა მოხდა ერთ კვირაში? **ვლადიმერ პუტინმა თავისი გამოსვლით ყველას დაანახვა, რომ მსოფლიო ერთპოლუსიანი აღარ არის, რომ დასასრულისკენ მიდის ამერიკის ჰეგემონია.** პუტინმა მოახერხა, რომ ობამა ყველაფერში დაეთანხმებინა. დათანხმება არც სჭირდებოდა, რადგან გადაწყვეტილება „ისლამური სახელმწიფოს" დაბომბვაზე უკვე მიღებული ჰქონდა. პუტინის ამ საქციელმა ისე დააბნია ამერიკის ადმინისტრაცია, რომ დღის განმავლობაში განცხადება სამჯერ შეცვალეს. ამერიკა შოკში ჩავარდა და ამ მიზეზით შეცდომას შეცდომაზე უშვებს. აქვეყნებენ ინფორმციას, რომ რუსულმა ბომბდამშენებმა მშვიდობიანი მოსახლეობა დაბომბეს, საავადმყოფოები გაანადგურეს და ა.შ., თუმცა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, მთავარია, რომ ერთ კვირაში მსოფლიოში ვითარება შეიცვალა.

საბჭოთა კავშირი და ამერიკა უაღრესად მძიმე ვითარებაშიც კი ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. რაღაც დონეზე შეხვედრები ყოველთვის მიმდინარეობდა. საბჭოთა კავშირის ელჩი ამერიკაში 25 წლის განმავლობაში იყო ანატოლი დობრინინი, რომელსაც „ცივი ომის" დროსაც კი არ შექმნია პრობლემა, შეხვედრები გაემართა უმაღლეს დონეზე. მას შედეგ, რაც უკრაინის კრიზისი დაიწყო, ამერიკასა და რუსეთს შორის ყველანაირი ურთიერთობა გაწყდა. რუსეთს არ ჰქონდა შესაძლებლობა, ამერიკაში დეპარტამენტის უფროს დალაპარაკებოდა. იგივე გააკეთა რუსეთმაც ამერიკის ელჩთან. ურთიერთობები გაიყინა...

რუსებმა ყირიმის ნაპირებთან ამერიკული გემი შეამჩნიეს, რუსულმა თვითმფრინავმა, რომელიც ახლა მონაწილეობს სირიის დაბომბვაში, ამერიკულ გემს გადაუფრინა და ყველა რადარი გაუთიშა. ამის შემდეგ 24-ჯერ იმიტირებულად დაბომბა, ამერიკელებმა ჩაისვარეს და თავი კონსტანცას (რუმინეთის პორტს — ე.ნ.) შეაფარეს. ამერიკული გემის ეკიპაჟის ნახევარი შემადგენლობა გადადგა, ზოგი სამკურნალო გახდა. ამერიკა მიხვდა, რომ არც ისე ძლიერია, როგორც თავი მოაქვს.

**თავისი ქმედებებით ამერიკამ საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთი მსოფლიოში სუპერსახელმწიფოდ დააბრუნა. ერთი კვირის განმავლობაში სწორედ ეს მოხდა.**

**— ის, რაც მოხდა ამ ერთ კვირაში, მსოფლიომ გააცნობიერა, მათ შორის, უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომაც. საქართველოს ხელისუფლება თუ მიხვდა, რაც მოხდა?**

— საქართველოს ხელისუფლება ამას ვერასდროს მიხვდება. მათი მიზანი ვიღაცის უკანა ნაწილის ლოკვაა და წლების განმავლობაში ასე იქცეოდნენ, საქართველო ამ „შესაშურ" პროცესში უკვე 25 წელიწადია ჩართულია. ეს ტრადიციულად გრძელდება და ივანიშვილ-ღარიბაშვილიც მშვენივრად ახერხებენ. მხოლოდ ივანიშვილის განცხადება რად ღირს: „ჩვენ მივდივართ ევროკავშირისკენ, ამაზე მშვენიერი მსოფლიოს არაფერი შეუქმნია". ჩვენი ხელისუფლების ცოდნის დონე დაბალია, მაგრამ ამას თავი დავანებოთ, დიდი რისკის წინაშე დგებიან — ხელისუფლების დაკარგვის ეშინიათ.

**ამერიკამ საქართველოში ყველაფერი გააკეთა, რაც გასაკეთებელი იყო: ოპოზიცია მისია, ხელისუფლებაც, ჟურნალისტებიც, არასამთავრობოებიც. საზოგადოების ნაწილი პროამერიკულია. ხელისუფლებამ იცის, ამერიკის წინააღმდეგ რამეს იტყვის და შეცვლიან.**

ვინმეს საქართველოზე ერთი წუთითაც რომ ეფიქრა, რაც გვჭირს, დაგვემართებოდა? საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იფიქროს საგარეო და საშინაო კურსის ასოთხმოცი გრადუსით შემობრუნებაზე. დღევანდელი რუსეთი სულ სხვაა, ხელწამოსაკრავი არ არის. საქართველოს არ აქვს იმის საშუალება, რუსეთს წიხლი ამოარტყას. ფეხზე რომ ვდგავართ, რუსეთის გულისხმიერების დამსახურებაა.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„არ ვურჩევ ნიკა რურუას სირაქლემის პოზაში ყოფნას. „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში ქვეყანას პოლიტპატიმრები ჰყავდა. პოლიტპატიმრები იყვნენ „ჯაშუშობაში“ დადანაშაულებული ჟურნალისტები, „ენვერის“ საქმის ხალხი, „მუხროვანის“ საქმეზე დაკავებულები, იგორ გიორგაძის მხარდამჭერებად მიჩნეულები. ესენი ხომ პოლიტპატიმრები იყვნენ?“

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნიკა რურუა:

# დარწმუნებული ვარ, ის (სულხან მოლაშვილი, — რედ.) ნაწამები არ იყო!



მათიას იორში:

# ის (სულხან მოლაშვილი, — რედ.) არათუ ნაწამებია, მოთავსებულია ისეთ საკანში, რომელიც წამებაზე მეტია

**„ამ საქმეს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ პოლიტპატიმარი ეს კაცი ვერ იქნებოდა იმიტომ, რომ ის არ იყო პოლიტიკოსი. ის ჩინოვნიკურ დანაშაულში, რამდენადაც ვიცი, ქრთამის საკითხზე იყო დაკავებული. დიდი პიარკამპანია აგორდა — წამება, ის, ეს... რაც მე ტყუილი მგონია. მე არ მინახავს მისი წამების კადრები და დარწმუნებული ვარ, ის ნაწამები არ იყო. ეს მითია და ასე იოლად ნუ იჯერებთ. შეიძლება პროცედურული ნორმები დაირღვა და დიდი შანსია, მან პროცესი ამიტომ მოიგო.**
**რომელი პოლიტიკური პატიმარი ის იყო?! პოლიტიკური რწმენისთვის იჯდა მოლაშვილი?“**
**— ეს სიტყვები „ნაციონალების“ ერთ-ერთ ლიდერს — ნიკა რურუას ეკუთვნის.**
**სულხან მოლაშვილმა კი რამდენიმე ადამიანთან ერთად „სამართლიანობის აღდგენის კომისია“ ჩამოაყალიბა. „კომისია აუცილებლად შეისწავლის საპატიმროებში პატიმართა მოკვდინების მიზეზებსა და შედეგებს. ცალკე გამოძიების თემა უნდა იყოს, რომელმა ექიმმა, რომელმა ექსპერტმა, რომელმა პათანატომმა რა ჩაიდინა და ვისი დავალებით. დიახ, საპატიმროებში გვამები სპეციალურად ფუჭდებოდა პედოფილი, სამუდამო პატიმრობამისჯილი და „ქათმების“ კამერებიდან მოწვეული პატიმრების მიერ. გვამებს აცლიდნენ ორგანოებს: გულს, ფილტვს, თირკმელს, ტვინს; ავსებდნენ აგურებით, ფიცრებით, ჩვრებით. ამაზე პასუხისმგებელი დღემდე არავინ მინახავს. საჭიროა ზუსტი ანალიზი, ამა თუ იმ კონკრეტული პატიმარის გარდაცვალებაზე შედგენილი დასკვნა რამდენად შეესაბამება სიმართლეს“, — განაცხადა სულხან მოლაშვილმა კომისიის დამფუძნებელ შეკრებაზე. შევეცდებით, საზოგადოებასაც და ნიკოლოზ რურუას გავახსენოთ კონტროლის პალატის ყოფილი უფროსის — სულხან მოლაშვილის 1365-დღიანი წამების დეტალები.**

შემთხვევაში, თურმე შესაძლებელი იყო მისი შეწყალება ან სხვა ფორმით დანაშაულის შემცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ის პრობლემებს თავიდან ვერ აიცილებდა“. მოლაშვილის წამებაც აქედან დაიწყო.

**ერთ-ერთი, ვინც სულხან მოლაშვილი საპატიმროში მოინახულა, იყო ადვოკატი, ადამიანის უფლებათა დამცველი ნანა კაკაბაძე. სწორედ მან გამოიტანა საპყრობილიდან პატიმარ მოლაშვილის წამების ამსახველი ფოტოები და საერთაშორისო ორგანიზაციებს გადასცა.**

**— ქალბატონო ნანა, ნიკა რურუამ რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ სულხან მოლაშვილი არც პოლიტპატიმარი იყო და არც ნაწამები... რა** აღენიშნებოდა წამების კვალი. მეორე დღესვე ექსპერტ **მაია ნიკოლეიშვილს** ვთხოვე, მისულიყო, გადაეღო ფოტოები და დასკვნაც გამოეტანა. მან დაადასტურა, რომ მოლაშვილი ნაწამები იყო. ორი დღის შემდეგ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის ხელმძღვანელ **მათიას იორშს** შევხვდი და მოვუყევი სულხან მოლაშვილის წამების შესახებ. ვთხოვე, მოენახულებინა. სულხან მოლაშვილი იმავე ღამეს №7 საპყრობილეში გადაიყვანეს და სარდაფში დაამწყვდიეს. **მათიას იორში მოგვიანებით მართლაც წავიდა მოლაშვილის სანახავად, ეს იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც სააკაშვილი შეხვედრებს მართავდა არასამთავრობოებთან. მან სასწრაფოდ** ევროსასამართლოში თავს რით იმართლებთო... **ვინც საქართველოში ევროსაბჭოს სახელით მუშაობდა, ყველამ იცოდა სულხან მოლაშვილის წამების შესახებ, მაგრამ არავის არაფერი გაუკეთებია.**

ნიკა რურუაც სწორედ ამით არის შეგულიანებული, თუმცა გადაცემაში, სადაც მან სულხანზე ასე ილაპარაკა, მომეჩვენა, რომ პასუხს თავს არიდებდა. თქვა, საქმეს არ ვიცნობო, არადა, მოლაშვილის საქმეს სრულიად საქართველო იცნობს, თანაც, თუ რურუამ საქმე არ იცის, მაშ, როგორ ამბობს, რომ სულხან მოლაშვილი არც პოლიტპატიმარია და არც ნაწამები? ე.ი. ყველაფერი კარგად იცის. ნიკა რურუა ამაზე ინფორმირებულია.

და, თუ არ იცის, ვეტყვი,

**— ქალბატონო ნანა, თუ შეგიძლიათ, ნაწამები პატიმრების სახელები გაიხსენოთ?**

— მე **436 ნაწამების სია გადავეცი ტერი დევისს — ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს. ეს იყო 2003 წლის დეკემბრიდან 2004 წლის მაისამდე მოძიებული და აღმოჩენილი შემთხვევები. ტერი დევისი „ვარდების რევოლუციიდან“ ექვს თვეში ჩამოვიდა.** სია იყო სახელებით, გვარებით, ფაქტებით გაჯერებული, ერთი დეტალიც კი საეჭვო არ იყო. ტერი დევისმა სააკაშვილს ეს სია პირადად გადასცა, მაგრამ სააკაშვილმა განუცხადა, ამ ორგანიზაციას არ ვენდობიო.

ამის შედეგ აქცია გავმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, იმხანად მინის-

## «ვინც საქართველოში ევროსაბჭოს სახელით მუშაობდა, ყველამ იცოდა სულხან მოლაშვილის წამების შესახებ, მაგრამ არავის არაფერი გაუკეთებია!»

2014 წლის 30 სექტემბერს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ სულხან მოლაშვილის საქმეზე 10-წლიანი მსჯელობა დაასრულა და 23 ოქტომბერს გადაწყვეტილება ოფიციალურად გამოაქვეყნა. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობა აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იმ მუხლების დარღვევას, რომლებიც გულისხმობს: წამებას, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისა და მისი გაგრძელების პროცედურების დარღვევას, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას, ადამიანის დისკრიმინაციას პოლიტიკური ნიშნით და ადვოკატის მომსახურების, საქმის მასალების გაცნობისა და მოწმეთა დაკითხვის შეზღუდვას. ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლების პირობებში, მას შემდეგ, რაც დამთავრდა ევროსასამართლოში სახელმწიფოსა და დაცვის მხარეს შორის კომუნიკაცია, 2011 წლის იანვარში სახელმწიფომ გაუგზავნა წერილი ევროსასამართლოს, სადაც ის ყველა აღნიშნული მუხლის დარღვევას აღიარებდა, იღებდა ვალდებულებას, დაეწყო გამოძიება და სულხან მოლაშვილისთვის 20 ათასი ევროს ოდენობის კომპენსაცია გადაეხადა.

კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს, სულხან მოლაშვილს სს კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით ახალი ბრალი წაუყენეს. ამის მიზეზად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია იმ გახმაურებულ შემთხვევას ასახელებს, როდესაც მოლაშვილმა ციხის საავადმყოფოს ექიმი ჯურხა ფილაური თითქოს ფიზიკურად შეურაცხყო.

კონტროლის პალატის ყოფილი უფროსი 2004 წლის 24 აპრილს დააპატიმრეს.

მოლაშვილის დაპატიმრება არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვისაც ცნობილი თემაა. ეს საკითხი არაერთხელ მოხვდა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშში.

ადვოკატი შავგულიძე მას შემდეგ, რაც პატიმარ მოლაშვილს შეხვდა, ყვებოდა: „პატიმარმა განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში მასთან ინტენსიურად შედიოდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლები და ევროპის სასამართლოში შეტანილ სარჩელებზე უარის თქმას სთხოვდნენ.

სარჩელზე უარის თქმის







**პასუხს გასცემთ რურუას? თქვენ იყავით კონტროლის პალატის ყოფილი უფროსის ადვოკატი და პირველი, ვინც მისი წამების შესახებ ევროსასამართლოში ისაუბრა.**

— ნიკა რურუას რა პასუხს გავცემ? ის ხომ იმ გუნდის წარმომადგენელია, რომელიც ხალხს აწამებდა და სიკვდილის პირას მიჰყავდა ადამიანები მხოლოდ განსხვავებული თვალსაზრისის გამო. ასეთი ფაქტები ძალიან ხშირი იყო. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი არის სულხან მოლაშვილი.

სულხან მოლაშვილი დაპატიმრებიდან ძალიან მალე მოვინახულე საპყრობილეში. მას

**გაგზავნა საპყრობილეში თინა ხიდაშელი და ელენე თევდორაძე, რათა მოლაშვილი სხვა საკანში გადაეყვანათ. მაგრამ მათიას იორშმა დაასწრო და მათზე ადრე მივიდა. კარი რომ შეაღო, სულხანი წაიქცა, — დღის სინათლემ თვალი მოსჭრა.**

საპყრობილიდან გამოსულმა იორშმა განაცხადა: „ის არა თუ ნაწამებია, მოთავსებულია ისეთ საკანში, რომელიც წამებაზე მეტია“. სულხან მოლაშვილის საკანში არ იყო ელექტროგაყვანილობა, წყალი, ფართობით კი ზუსტად ორი კვადრატული მეტრი იყო. იორშმა ელენე თევდორაძეს ჰკითხა, — რომ სულხან მოლაშვილი „ნაციონალების“ მსხვერპლი იყო. მოლაშვილი დღემდე მკურნალობს საფრანგეთში, მაგრამ ფეხზე ჯერ კიდევ ვერ დადგა.

**არ ვურჩევ ნიკა რურუას სირაქლემის პოზაში ყოფნას. „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში ქვეყანას პოლიტიპატიმრები ჰყავდა. პოლიტპატიმრები იყვნენ „ჯაშუშობაში“ დადანაშაულებული ჟურნალისტები, „ენვერის“ საქმის ხალხი, „მუხროვანის“ საქმეზე დაკავებულები, იგორ გიორგაძის მხარდამჭერებად მიჩნეულები. ესენი ხომ პოლიტპატიმრები იყვნენ?**

ტრი გიორგი ბარამიძე იყო და სია მას გადავეცით. იქ ჩვენთან ერთად ეკა ბესელიაც იმყოფებოდა. ეს სია ევროკავშირშიც, გაეროშიც და ყველა საელჩოში იდო, ყველგან ვგზავნიდით, სადაც ხელი მიგვიწვდებოდა. ის, რომ ვინმემ არ იცოდა, რა ხდებოდა საქართველოში, ტყუილია.

**436 ნაწამები ადამიანის სიას ძალიან მალე სულხან მოლაშვილიც დაემატა.**

ჩვენმა ორგანიზაციამ, იმის გამო, რომ ყურადღებას არავინ აქცევდა, ქვეყანაში რა ხდებოდა, გადაწყვიტა, წამების საწინააღმდეგო კლიპები დაგვემზადებინა და ტელევიზიებით გადაგვეცა, მაგრამ კლიპები აკრძალეს. ახლა კი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები სიტყვის თავისუფლებაზე საუბრობენ.

ასე რომ, **წამება და ღირსების შემლახველი მოპყრობა ხელისუფლებაში „ნაციონალების“ მოსვლის პირველი თვეებიდან დაიწყო და ეს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისათვის იყო ცნობილი, მაგრამ არ მახსოვს, ერთი ფაქტი მაინც გამოეძიებინოთ ან თუნდაც დაინტერესებულიყვნენ.**

მოამზადა **ეკა ნასყიდაშვილმა**

სხვა საქართველო სად არის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დოზირებულად იდგმება ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობის დასაბალანსებლად. აბაშიძე-კარასინის ფორმატმა მნიშვნელოვნად დააბალანსა ეკონომიკური საკითხები და ქართულმა პროდუქტმა ფეხი მოიკიდა რუსულ ბაზარზე. მართალია, ახლა ბევრი გაიძახის, რუსული ბაზარი არამყარი და დროებითიაო, მაგრამ კარგად დავინახეთ, რომ ევროპამ რუსეთთან ემბარგოს გამო მნიშვნელოვანი ეკონომიკური დარტყმა მიიღო და ამით ისევ ევროპამ იზარალა და არა რუსეთმა“.**



ტრისტან წითელაშვილი:

# თუ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დაკვეთებს შევასრულებთ, დამოუკიდებლობა არასდროს გველირსება

**მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერით საქართველომ 24 წლის წინათ ნანატრი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ წლების შემდეგ მაინც აქტუალურია კითხვა — არის კი დღეს ქვეყანა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისუფალი გარე ძალების ჩარევისგან? რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდა საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და როგორ განვლო თავისუფლების 24 წელი 1990-იანი წლებიდან დღემდე? — ამ საკითხებსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ჩვენს რუბრიკაში ისაუბრებენ. რუბრიკის სტუმარია სამხედრო ექსპერტი, გენერალი ტრისტან წითელაშვილი.**

**— უკვე 24 წელია, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ გამართლდა საზოგადოების მოლოდინი — არის დღეს დამოუკიდებელი ჩვენი ქვეყანა?**

— 1989 წლიდან ვმონაწილეობდი პროცესებში და, სადაც ჩემი ხალხი იდგა, მეც იქ ვიდექი, მაგრამ სულ სხვა მოლოდინი გვქონდა და დღეს სულ სხვა სიტუაციაში აღმოვჩნდით. ეს ყველაფერი კი ჩვენმა არასწორმა ქმედებებმა განაპირობა. მეზობელ ქვეყანასთან — რუსეთთან, თავიდანვე არასწორი პოლიტიკური კურსი ავირჩიეთ. როდესაც რუსეთის ხელისუფლება გარკვეული სახის თანამშრომლობას გვთავაზობდა, საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებაში არსებული ე.წ. ეროვნული ძალები რუსეთთან ყოველგვარი თანამშრომლობის კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ. არადა, **სწორედ რუსეთისთვის ზურგის შექცევამ, რადიკალურმა განცხადებებმა და არასწორმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომი და განაპირობა ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა...**

რაც შეეხება დამოუკიდებლობას, ცხადია, დამოუკიდებლობა მხოლოდ ფურცელზე არ უნდა იყოს აღნიშნული. როდესაც ქვეყნის ტერიტორიის 20% უცხო ქვეყნის — რუსეთის — ჯარს აქვს დაკავებული, ბუნებრივია, სრულ დამოუკიდებლობაზე საუბარი ზედმეტია. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბრალია.

**— ანუ, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის პირობებში, ფიქრობთ, რომ საქართველო შეძლებდა სრულიად დამოუკიდებელი ყოფილიყო?**

— მე, როგორც სამხედრო სპეციალისტი, ვამბობ, რომ, ვიდრე ომი დაიწყებოდა და რუსეთი გვთავაზობდა თანამეგობრობაში შესვლას, მაშინ უნდა გადაგვედგა ეს ნაბიჯი და კონფლიქტურ რეგიონებს არ მივიღებდით. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, წინააღმდეგობა წარმოიშვა პარლამენტში, როცა **ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი თანამეგობრობაში შესვლის წინააღმდეგი გამოვიდა. თუმცა, როდესაც არა მხოლოდ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით, დავთანხმდით თანამეგობრობის წევრობას. ამას ხომ სჯობდა, თავიდანვე გონივრული პოზიციებით გვეხელმძღვანელა?**

როდესაც ვამბობდით, რომ უნდა გავმხდარიყავით ნატოს წევრი ქვეყანა და საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ბაზები განლაგებულიყო, ბუნებრივია, ამან რუსეთს დისკომფორტი შეუქმნა, რადგან ეს მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, და ჩვენ წინააღმდეგ განეწყო.

ჩვენ ნორმალური ურთიერთობა უნდა გვქონდეს რუსეთთან და დავიწყოთ სამაჩაბლოს და აფხაზეთის საკითხების მოგვარება.

**«საქართველოს პრეზიდენტი ჩადის ამერიკაში და იქიდან გვიღიმის ამერიკული ღიმილით. არადა, ჩვენ საქმე გვინდა და არა ღიმილი, რათა ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ რუსეთთან ურთიერთობა. ყველას ყელში ამოუვიდა ეს ამერიკული ღიმილი»**

— **დღევანდელი საგარეო კურსის პირობებში ვითარების გამოსწორება შესაძლებელია? მართალია, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ აღარ არის ისეთი დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან, მაგრამ ქვეყნის საგარეო პრიორიტეტები არ შეცვლილა.**

— წინა და ამჟამინდელი ხელისუფლების ქმედებები რომ შევადაროთ, დიდ განსხვავებას დავინახავთ. **დოზირებულად იდგმება ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობის დასაბალანსებლად. აბაშიძე-კარასინის ფორმატმა მნიშვნელოვნად დააბალანსა ეკონომიკური საკითხები და ქართულმა პროდუქტმა ფეხი მოიკიდა რუსულ ბაზარზე. მართალია, ახლა ბევრი გაიძახის, რუსული ბაზარი არამყარი და დროებითიაო, მაგრამ კარგად დავინახეთ, რომ ევროპამ რუსეთთან ემბარგოს გამო, მნიშვნელოვანი ეკონომიკური დარტყმა მიიღო და ამით ისევ ევროპამ იზარალა და არა რუსეთმა.**

მართალია, იმ პერიოდმა უკვე ჩაიარა, როდესაც მიხეილ სააკაშვილი თავისი მოულოდნელი განცხადებებითა და რიტორიკით სისულელეებს აკეთებდა, მაგრამ **ქვეყანაში დღესაც არის რამდენიმე პოლიტიკური პარტია, რომლებიც იმავეს ქადაგებენ, რასაც სააკაშვილი. მათ კარგად იციან, რომ საქართველო ნატოს წევრი ვერასდროს გახდება, მაგრამ ვალდებულები არიან, ასე ილაპარაკონ, რათა ასეთი განცხადებების წყალობით საკმაოდ დიდი ფინანსება მიიღონ. სწორედ დასავლეთი აცოცხლებს ამ პარტიებს. ვგულისხმობ ირაკლი ალასანიას „თავისუფალ დემოკრატებს“, რესპუბლიკელებს და კიდევ რამდენიმე პატარა პარტიას, რომლებიც დასავლეთის ფინანსური მხარდაჭერით სულდგმულობენ.**

დღეს ოფიციალური ხელისუფლებას სურს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება. ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანას ისეთი პოლიტიკური კურსი უნდა ჰქონდეს, რომელიც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური სიძლიერისა და კეთილდღეობისთვის არის საჭირო და მუდამ არ გავიძახოდეთ, — აი, ნატოში შევალთ, ხვალ ნატოს კარს გაგვიღებენ, ზეგ ნატოს ჯარი შემოვა საქართველოშიო და მთელი ცხოვრება პრობლემების წინაშე ვიდგეთ, პრობლემებისა, რომლებიც არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც ანგრევს ქვეყანას. ნახეთ, როგორი საზოგადოებრივი განწყობაა ქვეყანაში, შეხედეთ, ქუჩაში რა მდგომარეობაშია ხალხი... ეს ყველაფერი ამ გაუთავებელმა რიტორიკამ და არარეალურმა განცხადებებმა გამოიწვია.

**«ნახეთ, როგორი საზოგადოებრივი განწყობაა ქვეყანაში, შეხედეთ, ქუჩაში რა მდგომარეობაშია ხალხი... ეს ყველაფერი ამ გაუთავებელმა რიტორიკამ და არარეალურმა განცხადებებმა გამოიწვია»**

**— რა უნდა გაკეთდეს, საქართველო რეალურად დამოუკიდებელი ქვეყანა რომ გახდეს?**

— საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს აქტიურობა და დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთის ხელისუფლებასთან. რა არის ამაში ცუდი? მივიდეთ და დაველაპარაკოთ არა იარაღითა და ლანძღვა-გინებით, არამედ გონივრული პოლიტიკით.

**— რუსეთის ხელისუფლების თანხმობის მიუხედავად, რატომ ვერ შედგა ეს მოლაპარაკება აქამდე?**

— იმიტომ, რომ ხელისუფლებაში არიან პროდასავლური კურსის გამტარებელი პარტიები, ხოლო პრეზიდენტი, რომლის პრეროგატივაცაა ამ საკითხის გადაწყვეტა, პირიქით იქცევა — ლომჯარია-გიგაურის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და „თავისუფალ ზონასთან“, ამ მასონურ ორგანიზაციებთან ერთად, კულუარებში წყვეტს სახელმწიფოებრივ საკითხებს. საქართველოს პრეზიდენტი ჩადის ამერიკაში და იქიდან გვიღიმის ამერიკული ღიმილით. არადა, **ჩვენ საქმე გვინდა და არა ღიმილი, რათა ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ რუსეთთან ურთიერთობა. ყველას ყელში ამოუვიდა ეს ამერიკული ღიმილი.** უნდა გამოვიდეს და უთხრას საზოგადოებას: გვინდა, ამ მიმართულებით ვიაროთ და გვიჭერთ თუ არა მხარსო. როგორც მთავარსარდალს, მას აქვს ბერკეტები, რომლებიც უნდა გამოიყენოს, მაგრამ ასე არ იქცევა, რადგან დასავლეთისა და რესპუბლიკელების გავლენის ქვეშ იმყოფება. ეს ცოტა ართულებს და ახანგრძლივებს ამ ვითარებას, მაგრამ ყველაფერი მოგვარდება.

**— არსებული ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს თუ დარჩა შანსი, იქცეს სუვერენულ სახელმწიფოდ?**

— რა თქმა უნდა, საქართველოს აქვს ეს შანსი. რუსეთის მთავარი პრობლემა არის ის, რომ მისმა რომელიმე მეზობელმა ქვეყანამ თავის ტერიტორიაზე არ განათავსოს სხვა ქვეყნის შეიარაღება, რომელიც მას პრობლემებს შეუქმნის, ამიტომ ჩვენ უნდა დავაყენოთ სამხედრო ნეიტრალიტეტის საკითხი. ამას ვამბობ, როგორც სამხედრო სპეციალისტი. ეს არის ერთადერთი გამოსავალი. რუსეთი უნდა დავარწმუნოთ, რომ ჩვენგან საფრთხე არ ემუქრება. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია, აღვადგინოთ სუვერენიტეტი და დავიწყოთ სახელმწიფოს მშენებლობა, რომლის შანსიც გვაქვს გონივრული და ეროვნული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში. თუ ასე მოვიქცევით, მერწმუნეთ, მართლაც გავხდებით სუვერენული სახელმწიფო და სასურველ შედეგსაც მივაღწევთ. ხოლო, **თუ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დაკვეთებს შევასრულებთ, დამოუკიდებლობა არასდროს გველირსება. ერთადერთი გამოსავალი სამხედრო ნეიტრალიტეტის გამოცხადება და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობაა.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

მსოფლიო



## კოლეჯზე თავდასხმას 10 ადამიანი ემსხვერპლა

**ორეგონის შტატის (აშშ) ქალაქ როზბურგში ერთ-ერთ კოლეჯში ატეხილი სროლის შედეგად, სულ ცოტა, 10 ადამიანი დაიღუპა და 7 დაიჭრა.**

დაჭრილი სტუდენტებიდან ერთ-ერთის მამა ამბობს, რომ ბოროტმოქმედი სასწავლო ოთახში შეიჭრა, ქრისტიან მოსწავლეებს ადგომა უბრძანა და მათ ცეცხლი გაუხსნა. ბოროტმოქმედი სამართალდამცველებმა გააუვნებლეს. პოლიციის ინფორმაციით, ის 26 წლის კრის ჰარპერ მერსერია. მას ჯავშანჟილეტი ეცვა და კარგად იყო შეიარაღებული.

კოლეჯ Umpqua Community -ში 3000 სტუდენტი სწავლობს.



„ვთანამშრომლობდი ევროკავშირის ანტიტერორისტულ საგამოძიებო სტრუქტურებთან და ვიცი, ყველა ის ორგანიზაცია, რომლებიც მათი კონტროლიდან გავიდა და დამოუკიდებლად მუშაობა სცადა, გაანადგურეს. თვითონ ქმნიან ამ ორგანიზაციებს, შემდეგ თვითონვე ანადგურებენ და გაიძახიან, ტერორიზმს ვებრძვითო“.

გოგელაურის საქვეყნებოდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მურაზ ნაგიევი:

# «ისლამური სახელმწიფოს» წარმომადგენლები და ამერიკისა და ბრიტანეთის სპეცსამსახურების თანამშრომლები ერთი კვირის განმავლობაში იკრიბებოდნენ თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში და თათბირობდნენ

„მსოფლიო ხალხთა ქრისტიანულ-მუსლიმანური მეგობრობის“ ხელმძღვანელი მურაზ ნაგიევი სოციალურ ქსელში შემაშფოთებელ ინფორმაციას ავრცელებს და მოსალოდნელ საფრთხეზე საუბრობს. „ბევრის თქმა არ შემიძლია და არც მაინტერესებს ეს თემა, მაგრამ მხოლოდ ერთს ვიტყვი და განზე გავდგები... ყველამ თავს უშველეთ და დატოვეთ საქართველო! სულ მალე თავდასხმები განხორციელდება სალოცავებზე, სამხედრო ობიექტებსა და შსს-ს ნებისმიერ დაწესებულებაზე. ეს არ არის ინტრიგა და არც ხუმრობა. ეს არის რეალობა და დიდი ხნის წინათ შემუშავებული გეგმა, რომელიც, სამწუხაროდ, უხუცესთა ბრძანებით გააქტიურდა“, — წერს მურაზ ნაგიევი.

„საქართველო და მსოფლიო“ მურაზ ნაგიევს დაუკავშირდა.



**— „ეს არის რეალობა და დიდი ხნის წინათ შემუშავებული გეგმა“, — წერთ თქვენ. რა გეგმაზე საუბრობთ და ვინ შეიმუშავა იგი?**

— მათთვის ომის წარმოება ც ბიზნესია. „ისლამური სახელმწიფო“ რა მიზნით შეიქმნა? გგონიათ, მართლა მათ წინააღმდეგ იბრძვიან ეს საერთაშორისო ორგანიზაციები? „ისლამური სახელმწიფოს“ უკან ბრიტანელები, ებრაელები და ამერიკელები დგანან. სწორედ ისინი აწარმოებენ ომს ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად, რათა ქვეყანა გაანადგურონ, ხალხი გააქციონ, ინფრასტრუქტურა მოიშალოს და ტერიტორია მათ დარჩეთ. შემდეგ ამ ტერიტორიაზე ტერორიზმთან ბრძოლის სახელით შევლენ. **და, თუ რომელიმე ქვეყანა არ დაემორჩილება და მათი კონტროლიდან გასვლას შეეცდება, არეულობას მოაწყობენ. „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერიც მათი წარმომადგენელია.**

**— ეს ქვეყნები ხომ ებრძვიან „ისლამურ სახელმწიფოს“ და გმობენ ტერორიზმს?! რის საფუძველზე ამბობთ, რომ ისინი ტერორისტებს ხელს უწყობენ?**

— დიახ, ისინი გამოდიან და საუბრობენ, რომ საერთაშორისო ტერორიზმს ებრძვიან. **ამ ზაფხულს, ივნისში, მე და ჩემმა მეგობარმა თბილისში საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ვნახეთ. „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლები და ამერიკისა და ბრიტანეთის სპეცსამსახურების თანამშრომლები ერთი კვირის განმავლობაში იკრიბებოდნენ თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში და თათბირობდნენ.** სპეციალურად შეარჩიეს ისეთი სასტუმრო, რომლის გარშემო ვიდეოთვალი არ არის და ცოტა მიყრუებული ადგილია. მართალია, სასტუმროში ვერ შევაღწიეთ, მაგრამ ფოტოები გადავუღეთ.

ელემენტარულია: თუ ტერორისტებს ებრძვიან, მაშინ თურქეთსაც დაეხმარონ, ასეთი ქაოსი რომ არ იყოს ქვეყანაში. ერთ მუჭა ქურთებს ვინ აფინანსებს, ამხელა თურქეთს რომ უპირისპირდებიან? ეს არის საინტერესო.

ჩვენი ქვეყნიდან დავიწყოთ. როგორც კი საქართველომ ევროპული კურსის შესახებ განაცხადა, ქაოსი დაიწყო ქვეყანაში. როცა საქართველოს კარგი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან, აზერბაიჯანთან და კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან, ქვეყანაში არანაირი ქაოსი არ იყო. რუსეთი მტრად გამოვაცხადეთ და, **„ისლამური სახელმწიფოს“ შემოჭრის შემთხვევაში, არც რუსეთი დაგვეხმარება და არც ამერიკა, სრულიად მარტო აღმოვჩნდებით.**

**მე ვთანამშრომლობდი ევროკავშირის ანტიტერორისტულ საგამოძიებო სტრუქტურებთან და ვიცი, ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც მათი კონტროლიდან გავიდა და დამოუკიდებლად მუშაობა სცადა, გაანადგურეს.** თვითონ ქმნიან ამ ორგანიზაციებს, შემდეგ თვითონვე ანადგურებენ და გაიძახიან, ტერორიზმს ვებრძვითო. მათ სამი დიდი ქვეყნის — რუსეთის, თურქეთისა და ირანის — განადგურება სურთ. თუ ამას მიაღწევენ, თავიანთ გეგმას, რომელიც ზემოთ ვახსენე, შესრულებულად ჩათვლიან.

**ამდენი ხანია, ებრძვიან ერთ პატარა დაჯგუფებას, რომელიც, სერიოზული სპეცოპერაციის ჩატარების შემთხვევაში, ერთ-ორ თვეში შეიძლებოდა გაენადგურებინათ, მაგრამ ვერ ახერხებენ, რადგან მათ უკან ძლიერი ქვეყნები დგანან.**

**— ფოტოები ახსენეთ. გადაეცით ეს ფოტოები უშიშროების სამსახურს?**

— რა თქმა უნდა, არა. იქ არ არიან პროფესიონალები და იმიტომ; პირიქით — ჩვენს ორგანიზაციას ებრძვიან, ამ საქმეში თვითონ რომ გამოჩნდნენ ლიდერებად და ყველაფერი კონტროლზე აიყვანონ. გვსურს, დამოუკიდებლად ვიმუშაოთ, რადგან ნორმალურ კადრებს ვერ ვხედავ.

თავდაპირველად, როდესაც ახალი ხელისუფლება დაინტერესდა ჩემით, მეც დავეხმარე. იმხანად ეს პროცესი უკვე დაწყებული იყო. არასამთავრობო ორგანიზაცია ვერ შეძლებდა მათ შეჩერებას. ჩვენ გვქონდა სია იმ ადამიანებისა, რომლებიც წასასვლელად ემზადებოდნენ, გადავეცით კიდეც ხელისუფლებას, მაგრამ რეაგირება არ მოჰყოლია. 300 კაცი წავიდა საქართველოდან და შეუერთდა „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებს. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობდნენ, რა ვიცოდით, სირიაში თუ მიდიოდნენო. არადა, სპეცსამსახურების საქმეც ეგაა, უნდა იცოდნენ და სიტუაციას აკონტროლებდნენ. მე თუ მქონდა ინფორმაცია, მათ არ უნდა ჰქონოდათ?! სხედან დეპარტამენტებში და აზრზე არ არიან, ვინ სად მიდის ან მოდის. საზღვარზე ამას ვერ გააკონტროლებ, თუ წინასწარ არ გაქვს ინფორმაცია. ტერორისტები, როგორც დევნილები, ისე შედიან ევროპის ქვეყნებში და ჩვენ როგორ გავაკონტროლებთ ამ პროცესს?!

**დაზუსტებით ვიცოდით, რომ ამას წინათ ავლანეთში ჩვენს ჯარზე თავდასხმა იგეგმებოდა, ყველა გავაფრთხილეთ, ყველაფერს ვაკონტროლებთო, — ამბობდნენ, მაგრამ თავდასხმა მაინც მოხდა. ჩვენი ინფორმაცია სასაცილოდ არ ჰყოფნის ხელისუფლებას, ყურადღებას არ აქცევს.**

**— ჩვენ რატომ გვემუქრება საფრთხე? ვის უშლის საქართველო ხელს, ვისთვის არის ის საფრთხე?**

— არ მინდა, ხალხი პანიკაში ჩავარდეს ჩემ მიერ გავრცელებული ინფორმაციის გამო, მაგრამ დიდი ხანია, თვალს ვადევნებ მოვლენებს და დასკვნებიც გამომაქვს. საქართველო ყოველთვის საფრთხის ქვეშ იმყოფება. ახლა, უბრალოდ, საკუთარი მიზნებისთვის სჭირდებათ საქართველოს ტერიტორია, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ იქნება და ქაოსი მოსალოდნელია, თუ ხელისუფლებამ დროულად არ მოაგვარა ურთიერთობები ყველა ქვეყანასთან, არ მოაწესრიგა რელიგიური და პოლიტიკური საკითხები. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო სისტემაც ჩამოიშლება და ეროვნული და რელიგიური დაპირისპირების საფრთხის წინაშეც აღმოვჩნდებით.

გარკვეულ ძალებს მესამე მსოფლიო ომის დაწყება სურდათ, მაგრამ რამდენიმეჯერ შეჩერდა ეს პროცესი. მესამე მსოფლიო ომი, ფაქტობრივად, უკვე მიმდინარეობს, ოღონდ სირიაში. ეს პროცესი დიდი ხნის წინათ დაიწყო. სირიის შემდეგ კი საქართველო შეიძლება აღმოჩნდეს საფრთხეში. ჩვენი ქვეყნის საზღვრები ხომ, ფაქტობრივად, ღიაა.

**— გამოსავალს ხედავთ? წერთ, რომ ქვეყანა დავტოვოთ, მაგრამ ეს ხომ არ არის გამოსავალი?**

— **მე ვიგულისხმე უდანაშაულო ადამიანები — ქალები, ბავშვები. მათ თავს უნდა უშველონ, რადგან, აქ არეულობა რომ დაიწყება, ისევ მოსახლეობა დაიჩაგრება, თორემ ეს პოლიტიკოსები გადავლენ ევროპაში და თავს უშველიან.** „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლები დაუფარავად ამბობენ, რომ მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, ქრისტიანია თუ მუსლიმანი, ყველას თავებს მოაჭრიან, ვინც მათ წინააღმდეგ წასვლას გაბედავს.

მინდა, ვთქვა, რომ ჩვენ ჩვენი ქვეყნის პატრიოტები ვართ და ყველა ქვეყანასთან კარგი ურთიერთობა გვსურს. გვინდა, ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში ბედნიერად ვიცხოვროთ. მე თვითონ მუსლიმანი ვარ და ქრისტიანებთან უპრობლემოდ ვმეგობრობ. ძალადობას კი ყველა რელიგია გმობს.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

> «სპეციალურად შეარჩიეს ისეთი სასტუმრო, რომლის გარშემო ვიდეოთვალი არ არის და ცოტა მიყრუებული ადგილია. მართალია, სასტუმროში ვერ შევაღწიეთ, მაგრამ ფოტოები გადავუღეთ»

მოკლედ



## დონალდ ტრამპი: ნებისმიერი კონფლიქტის მხარეები, რომლებიც იარაღს აშშ-ისგან იღებენ, მას ყოველთვის ამერიკელების წინააღმდეგ მიმართავენ

**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა, მილიარდერმა დონალდ ტრამპმა CNN-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ჩვენ ყოველთვის ვაწვდით იარაღს, გამოვყოფთ მილიარდობით დოლარს იარაღის შესაძენად, ისინი კი მას მუდამ ჩვენ წინააღმდეგ მომართავენ. ჩვენ ვერაფერს ვაკონტროლებთ, ამიტომ არ ვიცით, ვის უნდა დავუჭიროთ მხარი. ისიც კი არ ვიცით, ვის ვუჭერთ მხარს“.** მილიარდერმა განაცხადა, რომ აშშ არ უნდა ეცადოს, ითამაშოს „პოლიციის როლი მთელი მსოფლიოსთვის“.



პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ეს ტელევიზია მას შემდეგ, რაც ეროსი კიწმარიშვილს წაართვეს, გამოსახსნელია. ქიბარ ხალვაშმაც „რუსთავი 2“ ძალადობრივი მეთოდით ჩაიგდო ხელში. მაშინ ხმა არავის ამოუღია. მერე ხალვაშსაც წაართვეს და საბოლოოდ „ნაციონალების“ პროკურორი დანიშნეს ხელმძღვანელად, ამიტომ დღევანდელ ხელისუფლებას სპეცდანიშნულების რაზმის შეყვანა არ სჭირდება, მაგრამ ასეთი მეთოდებით მედიასთან ბრძოლა არ შეიძლება. ხალხი ბრმა არ არის, ყველამ იცის, ვის რა მოტივაცია აქვს“.



გიორგი ახვლედიანი:

# ნიკა გვარამია არის თავისუფალი მედიის წინააღმდეგ ხმალამოღებული მებრძოლი

**„რუსთავი 2“-ის ყოფილი მფლობელი, ამჟამად უცხოეთში მყოფი ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში, უკვე რამდენიმე თვეა, საკუთრების დასაბრუნებლად იბრძვის. მან საწადელს თითქმის მიაღწია და 1 ოქტომბერს უკვე თბილისის საქალაქო სასამართლომ შპს ტელეკომპანია „საქართველოს“ წილებიც დააყადაღა, რომელიც, თავის მხრივ, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში 51%-იან წილს ფლობდა, თუმცა მანამდეც უკვე დაყადაღებული იყო „რუსთავი 2“-ის წილებიც და ქონებაც.**

ამ ამბავს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. „რუსთავი 2“-ის თანამშრომლები ქუჩაში გამოვიდნენ, ტრაფარეტები დაიკავეს ხელში და მათხოვრობასაც შეუდგნენ.

„სულ ტყუილად ჰგონიათ, რომ მოსამართლესა და სასამართლოზე ზეწოლა არ იქნება. არავინ მოგცემთ შესაძლებლობას, რომ საქართველოში დამარხოთ დემოკრატია თქვენი უთავმოყვარეო გადაწყვეტილებით. იქნება ყველანაირი ზეწოლა კანონის ფარგლებში. რომელიღაც მოსამართლის, გაყიდული მოსამართლის პატივი და ღირსება აბსოლუტურად მეორეხარისხოვანია ჩემთვის და მიმაჩნია, რომ მას არავითარი პატივი და ღირსება არ აქვს. ყველა გზას გამოვიყენებთ იმისთვის, რომ ეს მოსამართლე ჩამოვაშოროთ საქმის განხილვას“, — განაცხადა არხის ხელმძღვანელმა ნიკა გვარამიამ.

არადა, 2007 წელს ტელეიმედის დარბევას ბატონი გვარამია, რომელიც დღეს მოსამართლეებს ემუქრება და „თავისუფალი აზრის“ ჩახშობას აპროტესტებს, ასე აფასებდა — „არკადი პატარკაციშვილი მართავს „იმედის“ ტელევიზიას და ამ პროცესებს, ბუნებრივია, ამ მიზეზით ტელევიზიას ყადაღა დაედო. გამოძიება მუშაობს სხვადასხვა ვერსიაზე და დასტურდება, რომ „იმედი“ არ იყო მიუკერძოებელი გამშუქებელი იმ მოვლენებისა, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარეობდა“.

„რუსთავი 2“-ის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე „იმედის“ ყოფილ ჟურნალისტს — გიორგი ახვლედიანს ვესაუბრეთ.

**— ბატონო გიორგი, „რუსთავი 2“-ის ქონება დააყადაღეს. არხის ხელმძღვანელი ნიკოლოზ გვარამია და „ნაციონალები“ აღშფოთებას ვერ მალავენ. თქვენ „იმედის“ დარბევის მომსწრე ხართ. იქნებ გაავლოთ პარალელები „იმედის“ დარბევასა და „რუსთავი 2“-ის ქონების დაყადაღებას შორის? იქნებ გაიხსენოთ, ვინ რას ამბობდა მაშინ?**

— ვითარება ძალიან ცუდია. პასუხისმგებლობა გადანაწილებულია როგორც დღევანდელ, ისე ყოფილ ხელისუფლებაზე. დღევანდელი ხელისუფლება თავისი ქმედებებით სულ უფრო ემსგავსება „ნაციონალურ მოძრაობას“, ხოლო „ნაცები“ რისი გამკეთებლები და ჩამდენები იყვნენ ძალაუფლების შესანარჩუნებლად, კარგად დავინახეთ და ვიცით. რაც დღეს ხდება, თავისუფალ მედიაზე ზეწოლაა, მაგრამ ამ ყველაფერს აქვს მეორე მხარეც.

ნიკა გვარამიას პრესკონფერენციას რომ ვუყურებდი, დეჟავიუ მქონდა, ოღონდ არა „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, არამედ „ოქტომბრიდან ოქტომბრამდე“. ნიკა გვარამია არის თავისუფალი მედიის წინააღმდეგ ხმალამოღებული მებრძოლი, რომელიც თავის დროზე ლეგენდებს თხზავდა, საშინელ ჭორებს იგონებდა არა მხოლოდ იმჟამინდელი ოპოზიციის, არამედ „იმედის“ ჟურნალისტების წინააღმდეგაც. გვარამია იმხანად პროკურორის მოადგილე იყო და, შესაბამისად, „იმედის“ წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლაც მას ევალებოდა. სწორედ ამიტომ ვამბობ, დეჟავიუ მქონდა, მას რომ ვუსმენდი-მეთქი. 2007-ში ნიკა გვარამია იყო ავტორი ფილმისა „ნოემბრიდან ნოემბრამდე“. მან იმჟამინდელი ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი და ჟურნალისტები არაადამიანურ ქმედებებში დაადანაშაულა, ახლა კი თავისუფალი მედიის აპოლოგეტად გამოვიდა და ისევ პოლიტიკოსებს ადანაშაულებს.

დროა, დასრულდეს იმაზე საუბარი, ვინ იყვნენ „ნაციონალები“. სამი წელი საკმარისი დრო იყო, ყველაფერი გამოსწორებულიყო. ეს დრო საკმარისია, რომ ხელისუფლებამ თავისი თავი წარმოაჩინოს და დაგვანახვოს, წინამორბედზე უკეთესი რომ არის. ეს ამ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა და ამის კლასიკური მაგალითი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები იყო.

**— ხელისუფლების წარმომადგენელი რომ გისმენდეთ, აუცილებლად გეტყოდათ, რომ „რუსთავის 2“-თან დავა ყოფილ მეპატრონეს აქვს და ხელისუფლება არაფერში ერევა...**

— ამით მანიპულირებს ხელისუფლება, მაგრამ ამას როგორი სამართლებრივი დავა ჰქვია, ნათელია, ქვეტექსტი ყველამ იცის. ხელისუფლებას პრობლემები აქვს და ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობს. ასე იქცეოდნენ „ნაცებიც“.

თუმცა სხვაობა „იმედის“ დარბევასა და „რუსთავი 2“-ის დაყადაღებას შორის ძალიან დიდია, მოტივაცია კი — ერთი.

„იმედთან“ არც სამართლებრივად და არც იურიდიულად სადავო არაფერი იყო. ტელევიზია ბადრი პატარკაციშვილის დაარსებული და მისი საკუთრება იყო. ამ ადამიანს ვერავინ შეედავებოდა. მოძალადე რეჟიმმა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ერქვა, ნიკა გვარამიას ხელმძღვანელობით, ვერ მოახერხა „იმედის“ განადგურება, დანგრევა, ჟურნალისტების გადაბირება... ჩვენ, ყველანი, მედგრად ვიდექით, ამიტომ გვარამიას ერთი გზა დარჩა — სპეცნაზით შემოვარდნა და ჟურნალისტების დაჩოქება.

ამჟამინდელ ხელისუფლებას ლავირების მეტი საშუალება აქვს „რუსთავი 2“-ის მიმართ, უფრო მშვიდობიანად შეუძლია პრობლემის მოგვარება, მოდავეები ჰყავს. ეს ტელევიზია მას შემდეგ, რაც ეროსი კიწმარიშვილს წაართვეს, გამოსახსნელია. ქიბარ ხალვაშმაც „რუსთავი 2“ ძალადობრივი მეთოდით ჩაიგდო ხელში. მაშინ ხმა არავის ამოუღია. მერე ხალვაშსაც წაართვეს და საბოლოოდ „ნაციონალების“ პროკურორი დანიშნეს ხელმძღვანელად, ამიტომ დღევანდელ ხელისუფლებას სპეცდანიშნულების რაზმის შეყვანა არ სჭირდება, მაგრამ ასეთი მეთოდებით მედიასთან ბრძოლა არ შეიძლება. ხალხი ბრმა არ არის, ყველამ იცის, ვის რა მოტივაცია აქვს.

**— ბატონო გიორგი, როდესაც „იმედი“ დაარბიეს, სოლიდარულები თუ იყვნენ სხვა არხის ჟურნალისტები? მახსენდება, მხოლოდ ერთი საინფორმაციო გადაცემა, რომელიც „რუსთავი 2“-მა გააკეთა...**

— სოლიდარობის მოლოდინი უფრო დიდი იყო. ვერავის დავადანაშაულებ... შემიძლია, კონკრეტულად გითხრათ, ეს იყო „კავკასია“. საგანგებო საათის შემდეგაც ყველა გადაცემა „იმედს“ ეძღვნებოდა. იმხანად „იმედსა“ და „კავკასიას“ „ნაცები“ ვერ აკონტროლებდნენ, ამიტომ სხვა არხების ჟურნალისტების მხრიდან სოლიდარობის გამოხატვა ადვილი არ იყო.

**— სიახლე თუ არის „იმედის“ საქმეში? ვისაც ბრალი ედებოდა, ყველა გამართლდა. თქვენ ჩვენებას სტრასბურგის სასამართლოს აძლევდით...**

— სტრასბურგში ერთ-ერთი ეპიზოდი ასეთი სახელწოდებით იყო — „გიორგი ახვლედიანი საქართველოს წინააღმდეგ“. ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა: „არ არის საჭირო სტრასბურგში ამ საქმის განხილვა, ქვეყანაში არის ხელისუფლება, რომელიც მზადაა, ყველა საკითხი გამოიძიოს“. მოგეხსენებათ, სტრასბურგში საქმეები იმიტომ მიდიოდა, რომ „ნაცები“ არ იძიებდნენ.

„იმედის“ საქმე საქართველოში „წამოვიდა“. სიმართლე გითხრათ, მას შედეგ არაფერი მსმენია არც ძიების პროცესის შესახებ, არც დაკითხვის, არც ჩემთან მოსულა ვინმე. არადა, 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევისა და კიდევ ბევრი ასეთი საქმის გამოძიების მანიპულირებით ამჟამინდელი ხელისუფლება ქვეყნის სათავეში მოვიდა, ბევრი ქულა ჩაიწერა, მაგრამ „იმედის“ ამბის გამოძიება აღარავის სურს.

**«ნიკა გვარამიას პრესკონფერენციას რომ ვუყურებდი, დეჟავიუ მქონდა, ოღონდ არა «ნოემბრიდან ნოემბრამდე», არამედ «ოქტომბრიდან ოქტომბრამდე»... გვარამია იმხანად პროკურორის მოადგილე იყო და, შესაბამისად, «იმედის» წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლაც მას ევალებოდა. სწორედ ამიტომ ვამბობ, დეჟავიუ მქონდა, მას რომ ვუსმენდი-მეთქი. 2007-ში ნიკა გვარამია იყო ავტორი ფილმისა «ნოემბრიდან ნოემბრამდე». მან იმჟამინდელი ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი და ჟურნალისტები არაადამიანურ ქმედებებში დაადანაშაულა, ახლა კი თავისუფალი მედიის აპოლოგეტად გამოვიდა და ისევ პოლიტიკოსებს ადანაშაულებს»**

ცნობისთვის:

2003 წლის ბოლოს ნიკა გვარამია არჩეულ იქნა პარლამენტის წევრად და საქართველოს პარლამენტში მოღვაწეობდა 2004-2007 წლებში, როგორც პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი. 2007 წელს იგი დაინიშნა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილედ. 2008 წლის 24 იანვარს გვარამია წარდგენილი იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე, ამავე წლის 31 იანვარს კი დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრად; 2008 წლის 27 ოქტომბერს კი — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად, მაგრამ 2009 წლის 27 ოქტომბერს თავისი ნებით დატოვა თანამდებობა და იგი დიმიტრი შაშკინმა ჩაანაცვლა. 2012 წლის 14 ნოემბერს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, ნიკა გვარამია არხის გენერალურ დირექტორად დაინიშნა. ამავე წლის 19 დეკემბერს ნიკა გვარამია დააკავეს, მას ბრალი კორუფციაში ედებოდა, თუმცა დანაშაული ვერ დაუმტკიცეს და მალევე გაათავისუფლეს.

მოამზადა ეკა ნასყიდაშვილმა

მსოფლიო

## ევროპაში ნატოს სწავლება იწყება

ევროპის სამხრეთ-დასავლეთში ბოლო ათი წლის განმავლობაში ნატოს ყველაზე მასშტაბური სამხედრო სწავლება იწყება. ალიანსის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, სამხედრო მანევრები იტალიის, ესპანეთისა და პორტუგალიის ტერიტორიაზე გაიმართება და მასში 30-ზე მეტი ქვეყნის 36 ათასი ჯარისკაცი, 200 თვითმფრინავი და 50 სამხედრო ხომალდი ჩაერთვება.

საერთაშორისო სამხედრო სწავლება Trident Juncture-2015 6 ნოემბრამდე გაგრძელდება. სწავლებაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და მისი მოკავშირე ქვეყნების სახმელეთო და სამხედრო-საჰაერო ძალები, ასევე სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფები მიიღებენ მონაწილეობას. სწავლების ფარგლებში, ატლანტის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვაში სამხედრო-საზღვაო მანევრები გაიმართება.

სწავლების სცენარი ითვალისწინებს თანამედროვე ომის ყველა კომპონენტის ჩართულობას, მათ შორის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვას, კიბერთავდასხმების განეიტრალებას, „ჰიბრიდული ომის“ პირობებში სამხედრო ქმედებებსა და სხვა ამოცანების შესრულებას.



მოგვიანებით, როდესაც უინსტონ ჩერჩილი ცოცხალი აღარ იყო, მისი შვილი რენდოლფ ჩერჩილი მსოფლიოს პრესას გულწრფელად ეუბნებოდა: „ხშირად ვსაყვედურობდი მამას, რატომ ჩაუდეთ „ბიძია ჯოს“ ჯიბეში მთელი ევროპა-მეთქი, რაზეც ის მიპასუხებდა ხოლმე: — სტალინის პირისპირ დგომა და საუბარი გაღიმებული ნიანგის პირისპირ დგომას ნიშნავდა. გიღიმის იმიტომ, რომ არ გადაგყლაპავს, ან გიღიმის იმიტომ, რომ გემრიელი ლუკმა ხარ და გადაგყლაპავს“.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინი — დიდი მხედართმთავარი

## 10 სტალინური დარტყმა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32-35 (314-317)

**ათი სტალინური დარტყმიდან ერთ-ერთი — ბელორუსიის გათავისუფლებისთვის ბრძოლა, გაუგონარი თავისი მასშტაბებითა და მოხერხებულობით, ბრძოლის წარმოების უბრწყინვალესი შედევრია. სტალინმა არა მხოლოდ ჰიტლერს ჩაუტარა ბრძოლის მასტერკლასი, არამედ ზედიზედ იგებდა პოლიტიკურ ბრძოლებს იმჟამინდელი მსოფლიო პოლიტიკის ვეშაპებთან. ამის ნათელი მაგალითია ბელორუსიის გასათავისუფლებლად გამართული ბრძოლებისას სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის ჯგუფური თუ ინდივიდუალური პოლიტიკურ-დიპლომატიური დაპირისპირებები, რომლებიც ყოველთვის სტალინის აშკარა უპირატესობით მთავრდებოდა. ეს საბოლოოდ დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გამოჩნდა.**

### დარტყმა № 4

წინა მოწვევის პარლამენტში, ერთი მიკროფონმომარჯვებული ჟურნალისტი დარბოდა და ყველას ეკითხებოდა, — ვინ არისო მისაბაძი პოლიტიკოსი მსოფლიოს მასშტაბით. **პოლიტიკასა და დიპლომატიასთან მჭყრალად მყოფი ჩვენი დეპუტატები ამაყად ამბობდნენ, რომ მათთვის მისაბაძი და აღიარებული პოლიტიკოსები არიან: უინსტონ ჩერჩილი; შარლ დე გოლი, ოლივერ კრომველი, ზბიგნევ ბჟეზინსკი, ალენ დალესი, ჯეიმს ბეიკერი და სხვ. არც ერთმა ქართველმა დეპუტატმა არ თქვა, რომ მოსწონს სტალინი.**

და გგონიათ, ძვირფასო მკითხველო, რომ ამ დეპუტატებმა იციან ჩამოთვლილ პოლიტიკოსთაგან რომელიმეს ბიოგრაფია — ან წარმატება, ან წარუმატებლობა? — არა! მაგრამ მერე რა, ისინი ხომ დეპუტატები არიან, დღეს მნიშვნელოვანი სტატუსის მფლობელები.

**შეიძლება, დამწყებმა ჟურნალისტმა წამოროშოს, სტალინი რა პოლიტიკოსი და მხედართმთავარი იყოო, მაგრამ განა ეს შეიძლება თქვას ქვეყნის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელმა?**

**ბელორუსიის გათავისუფლების ოპერაცია სტალინმა ომის დაწყებიდან ზუსტად 3 წლის შემდეგ დაგეგმა — 22 ივნისს, Gგერმანიისთვის საბედისწერო დღეს, და ოპერაციას „ბაგრატიონი“ უწოდა.**

**სტალინის ბრძანებით, ბელორუსიის გასათავისუფლებლად თავი მოუყარეს ბალტიისპირეთის პირველ (ბაგრამიანი), ბელორუსიის მესამე (ჩერნიახოვსკის), ბელორუსიის მეორე (პეტროვის) და ბელორუსიის პირველ (როკოსოვსკის) არმიებს.Fფრონტს შეუერთდა ანაპის სამხედრო ფლოტილია, შორეული მოქმედების ავიაცია და 140 000 ბელორუსი პარტიზანი. მსოფლიოში ჯერ არნახულ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობდა 1 400 000 კაცი, 31 000 ზარბაზანი, 5 200 ტანკი და 4 საჰაერო არმია 5 000 თვითმფრინავით.**

მოწინააღმდეგე ფელდმარშალ **ერნსტ ბუშის** ხელმძღვანელობით განაგებდა 63 დივიზიას და 3 ბრიგადას, მთლიანი შემადგენლობა 1 200 000 კაცით განისაზღვრებოდა. მათ ჰქონდათ 9 635 ზარბაზანი, 912 ტანკი 1342 თვითმფრინავი.

1944 წლის 18 ივნისს სტალინმა გამოიძახა თავისი წარმომადგენელი ბელორუსიის მიმართულებით — ვასილევსკი, რომელმაც დაწვრილებით აუხსნა ფრონტებზე არსებული მდგომარეობა. სტალინი განსაკუთრებით დაინტერესდა ჩერნიახოვსკის არმიის ბრძოლისუნარიანობით და ვასილევსკის მოსთხოვა სრული ანალიზი. მეხუთე სატანკო არმიისადმი სტალინის დაინტერესება იმით იყო გამოწვეული, რომ, რაც შეიძლება სწრაფად გადაელახათ მდინარე ბერეზინა და გაეთავისუფლებინათ ქალაქი ბორისოვი.

22 ივნისს, გამთენიისას, ბალტიისპირეთის პირველმა ფრონტმა გახსნა ცეცხლი, რომელმაც უსწრაფესად გაანადგურა მოწინააღმდეგის ყველა გამაგრებული ფუნქტი და საბჭოთა მეომრები 7-8 კილომეტრით შეიჭრნენ ფრონტის სიღრმეში. ბელორუსიაზე შეტევის სრულად აღწერა შეუძლებელია, რადგან ცა და დედამიწა ერთმანეთში იყო არეული. საარტილერიო ჭურვების განუწყვეტელი გრუხუნი კარგს არაფერს უქადდა არათუ იქაურობას, არამედ დედამიწასაც კი.

**ფრონტებმა სტალინისაგან მიიღეს დაშიფრული ტელეგრამა — „აიღეთ მინსკი!“. გერმანელებს უკვე დაკარგული ჰყავდათ 25 დივიზია და საომარი ტექნიკის ძირითადი ნაწილი. ტყვედ აყვანილთა და დაღუპულთა სახით დანაკლისი 300 000 კაცს შეადგენდა. ერთი კვირის შემდეგ კი ტყვეთა რაოდენობა 100 000 კაცით გაიზარდა, მათი უმრავლესობა უფროსი ოფიცერი იყო, საბჭოთა მეომრებმა, აგრეთვე, ტყვედ ჩაიგდეს 12 გენერალი. მინსკი, სტალინის ბრძანებით, ერთ დღეში უნდა აეღოთ და სწორედ ერთი დღის შემდეგ, 3 ივლისს, სტალინის დავალება ბრწყინვალედ შესრულდა.**

ჰიტლერმა მოხსნა „ცენტრის“ დაჯგუფების სარდალი ბუში და მის ადგილას გენერალ-ფერდმარშალი **ფონ კლუგე** დანიშნა. 26 ივლისს გამარჯვების სალუტის გუგუნში ბელორუსიის მესამე ფრონტის სარდალ ივანე ჩერნიახოვსკის გააცნეს სტალინის ბრძანებულება, რომ მას მიენიჭა არმიის გენერლის მაღალი წოდება, ხოლო 28 ივლისს, როდესაც წითელ მოედანზე ალლუმი ტარდებოდა, ლევიტანი ბობრუისკის აღების გამო კონსტანტინე როკოსოვსკისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის წოდების მინიჭების ბრძანებულებას გადასცემდა რადიოთი მსოფლიოს გასაგონად.

სტალინი კმაყოფილი იყო ჩატარებული ოპერაციით და მიღწეული წარმატებით, მაგრამ თითოეული ფრონტის სარდალს, მიუხედავად დაჯილდოებისა, უამრავი შენიშვნა და საყვედური ჩაუწერა პირად წერილებში. ფრონტის სარდლები გაოგნებულები ეკითხებოდნენ ერთმანეთს — რა გზით, რა მეთოდებით მიდიოდა სტალინის ყურამდე გადაცდომისა თუ გმირობის ყველა წვრილმანი.

აგვისტოს დასაწყისში წითელი არმია პოლონეთის საზღვარს მიადგა. გენერალ-მაიორმა ფონ ბუტლარმა დეპეშა გაგზავნა ბერლინში:

**„ცენტრის“ არმიის განადგურებამ შეწყვიტა წინააღმდეგობის გაწევის შანსი წითელი არმიის წინააღმდეგ აღმოსავლეთში“.**

ჰიტლერმა „ცენტრის“ არმიის სარდლობიდან სასწრაფოდ გადააყენა ფონ კლუგე და მის ნაცვლად ფერდმარშალი **ოტო მოდელი** დანიშნა, რომელიც თავდაცვითი ომების მამამთავრად ითვლებოდა. სტალინი კმაყოფილი იყო საბჭოთა ჯარების წარმატებით და სიამაყეს გვრიდა მტრის ზურგში არეულობა, მაგრამ ერთი რამ არ ასვენებ-

მოსკოვის ყველა ძირითად ქუჩაზე გამოჩნდნენ თავიანთი მუნდირებითა და ჩინ-მედლებით, მწყობრი ნაბიჯით, სამხედრო სვლით მიმავალი ნაწილები. მოსკოველები გაოცებას ვერ ფარავდნენ, რომ საბჭოეთის დედაქალაქის ქუჩებში უწყვეტ ნაკადად მოდიოდა მსოფლიოში ესოდენ საზიზღარი ფაშისტური გერმანიის მხედრობა. მოსკოველები იმან გაამხიარულა, რომ კოლონებს ბოლოს ნაგვისა და სახანძრო მანქანები მოჰყვებოდა, რათა დასიცხულ ქუჩებში ნაძირალების ნაკვალევი არ დარჩენილიყო.

ტრიუმფალური გამარჯვებებით აღფრთოვანებული საბჭოთა მხედრობა, რომელიც პოლონეთის საზღვარზე შეაჩერეს, მოსვენებას აკარგვი-




და: 1941 წლის შემოდგომაზე უამრავი გერმანელი ნატრობდა მოსკოვის ნახვას, იმხანად, რა თქმა უნდა, ეს ვერ შეძლეს, მაგრამ ხომ შეიძლება, გერმანელებს ეს სურვილი დღეს დავუკმაყოფილოთ და მოსკოვი დავათვალიერებინოთ?

ამიტომაც, 1944 წლის 17 ივლისს სტალინმა ბრძანება გასცა, მინსკის აღების გამო ბელორუსიის ტერიტორიაზე დატყვევებული 57 000 გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრისთვის მიეცათ შესაძლებლობა, დაეთვალიერებინათ ქვეყნის დედაქალაქი მოსკოვი.

ნებდა მსოფლიოს. პოლონეთის საზღვართან დგომა სტალინისათვის ბეწვის ხიდზე გავლა იყო, რადგან შეიძლებოდა, წყალში ჩაყრილიყო მისი ყველა პოლიტიკური და დიპლომატიური წარმატება.

ვარშავის აღების ბრძანებას სამ საათში შეასრულებდა წითელი არმია. რას ელოდებოდა სტალინი? — ეს გამოცანა თქვენ ან მე, ან სხვას რომ ამოეხსნა, მაშინ სწორედ თქვენ ან მე, ან სხვა იქნებოდა სტალინი! პოლონეთის საზღვართან სტალინის გაჩერება დღესაც ამოუხსნელია. სტალინის გვერდით მდგომი „ჭკვიანი“ ჟუ-

**ფრონტებმა სტალინისგან მიიღეს დაშიფრული ტელეგრამა — «აიღეთ მინსკი!» გერმანელებს უკვე დაკარგული ჰყავდათ 25 დივიზია და საომარი ტექნიკის ძირითადი ნაწილი. ტყვედ აყვანილთა და დაღუპულთა სახით დანაკლისი 300 000 კაცს შეადგენდა. ერთი კვირის შემდეგ კი ტყვეთა რაოდენობა 100 000 კაცით გაიზარდა, მათი უმრავლესობა უფროსი ოფიცერი იყო, საბჭოთა მეომრებმა, აგრეთვე, ტყვედ ჩაიგდეს 12 გენერალი. მინსკი, სტალინის ბრძანებით, ერთ დღეში უნდა აეღოთ და სწორედ ერთი დღის შემდეგ, 3 ივლისს, სტალინის დავალება ბრწყინვალედ შესრულდა**



მინსკი, 1944 წ.

კოვი კი ისე შორს იდგა სტალინის „ხანგრძლივი დროის პოლიტიკისაგან“, რომ პოლონეთის საზღვარზე სტალინის გაჩერებას თითქმის სრულად შესწირა თავისი მხედრული „დიდება“.

**პოლონეთის საზღვართან სტალინმა წუთშესვენება აიღო, განა იმიტომ, რომ მხედართმთავრებს დათათბირებოდა, — არა. ის ელოდებოდა, სად დაუშვებდნენ მოკავშირეები შეცდომას, რომ მათთვის „სუფთად მოეგო“.**

გენიოსმა გორელმა უშეცდომოდ შეასრულა ქართული კვანტი, რომელსაც კლასიკურ ჭიდაობაშიც იყენებენ და პოლონურ აბგაში მთელი ევროპა ჩაალაგა, შემდეგ კი დიდი ნაალაფარით მოსკოვს დაბრუნდა.

მოგვიანებით, როდესაც უინსტონ ჩერჩილი ცოცხალი აღარ იყო, მისი შვილი **რენდოლფ ჩერჩილი** მსოფლიოს პრესას გულწრფელად ეუბნებოდა:

„ხშირად ვსაყვედურობდი მამას, რატომ ჩაუდეთ „ბიძია ჯოს“ ჯიბეში მთელი ევროპამეთქი, რაზეც ის მიპასუხებდა ხოლმე:

— **სტალინის პირისპირ დგომა და საუბარი, გაღიმებული ნიანგის პირისპირ დგომას ნიშნავდა. გიღიმის იმიტომ, რომ არ გადაგყლაპავს, ან გიღიმის იმიტომ, რომ გემრიელი ლუკმა ხარ და გადაგყლაპავს“.**

(გაგრძელება იქნება)

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იცის კი ამ „ჰუმანისტმა" ჟურნალისტმა, ვინ არიან ახლო აღმოსავლეთიდან გამოქცეული ადამიანები? იცის კი, რომ ლტოლვილების მასაში უამრავი „ბოევიკია" გარეული და მიგრანტთა დიდი ნაწილი, რომელიც ევროპაში ლტოლვილების სტატუსით შეღწევას ცდილობს, თავის ქვეყანაში მშვიდობიანი მოქალაქე კი არა, შეიარაღებული ბანდების, მათ შორის, „ისლამური სახელმწიფოს" წევრი იყო?**

# ნიკურაძემ «ისლამური სახელმწიფოს» ბუდეს გადაუფრინა



**საქართველო, როგორც ჩანს, ემსგავსება ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მილოშ ფორმანის ფილმიდან „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა". ფილმში მთავარი გმირი (ჯეკ ნიკოლსონი) აპროტესტებს ფსიქიატრიულში შექმნილ ვითარებას — მედპერსონალის მხრიდან პაციენტებისადმი უდიერ მოპყრობას...**

და როგორ არ გაგიჩნდება პროტესტის განცდა, როდესაც „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტის, ამერიკაში კარგა ხნის წინათ გადახვეწილი დავით ნიკურაძის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ „ჰუმანურ" მოსაზრებას წაიკითხავთ — შეგონებას ქართველი ერისადმი:

**„შევთავაზოთ ევროპას, გვქონდეს თუნდაც მცირე კვოტა და ოფიციალურად მივიღოთ სირიელი, ლიბიელი თუ ერაყელი დევნილების ნაწილი. ხომ არის ჩვენი დეკლარირებული პოლიტიკა ევროინტეგრაცია? უვიზო მიმოსვლა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება რომ გვინდა, კრიზისების დროს პასუხისმგებლობაც ავიღოთ. თუმცა ეს აქტი, პირველ რიგში, არა ევროპასთან ვალდებულება, საკუთარი ჰუმანური მოვალეობის შესრულება უნდა იყოს, რა თქმა უნდა, ევროკავშირისთვის გაწეული დახმარებაც. ევროპასა და ამერიკას ისედაც აქვთ სხვა ვალდებულება — ეგრეთ წოდებული „არაბული გაზაფხულის" მძიმე შედეგების ლიკვიდაცია და ამ რეგიონში სტაბილურობის დამყარების ხელშეწყობა. კატარი და საუდის არაბეთი თუ დევნილებს არ იღებენ, ეს ჩვენს ადამიანურ მოვალეობასთან არაფერ შუაშია. არც ვალდებულებას გვიხსნის და არც გვამართლებს"** (სტილი დაცულია).

 აი, ასე გვამუნათებს „ნაციონალური მოძრაობის" ჯიბის ტელევიზიის — „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტი დავით ნიკურაძე ქართველებს — ლტოლვილების მიღებისკენ მოგვიწოდებს იმ დროს, როდესაც თვითონ ევროპა ვერ უმკლავდება ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკის ჩრდილოეთიდან მოძალებულ დევნილებს და ამის გამო, ლამისაა, დაიშალოს; აშშ და მისი მოკავშირე უმდიდრესი ქვეყნები კი — საუდის არაბეთი, ქუვეითი, ყატარი და სხვა სახელმწიფოები უარს ამბობენ სირიიდან, ლიბიიდან, ერაყიდან დევნილთათვის თავშესაფრის მიცემაზე. **არც ამერიკელები იკლავენ თავს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სამშობლოში ცხოვრება ჯოჯოხეთად უქციეს ჯერ „ალ ქაიდას", შემდეგ კი „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტული დაჯგუფებების შექმნით, შეიარაღებითა და დაფინანსებით.**

ევროპაში კი **გერმანიამ, ავსტრიამ, სლოვაკეთმა, ბულგარეთმა** და **უნგრეთმა** საზღვრებზე კონტროლი გაამკაცრეს, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ტომას დე მეზიერმა** აღიარა, რომ გერმანია დროებით წყვეტს შენგენის შეთანხმებაში მონაწილეობას... ევროკავშირი ორი წლის განმავლობაში ასიათასობით ლტოლვილის მიღებას აპირებს. ამ იდეას აღმოსავლეთ ევროპის „არაჰუმანური" ქვეყნები ეწინააღმდეგებიან. მაგალითად, **უნგრეთმა** კედელი ააგო სერბეთის საზღვართან და სპეცდანიშნულების რაზმებს ლტოლვილთა წინააღმდეგ ამზადებს. ანალოგიური ვითარებაა **ჩეხეთშიც.**

2015 წლის დასაწყისიდან დღემდე 450 ათასმა ადამიანმა ითხოვა თავშესაფარი ევროპაში. ლიბია, ვიდრე მას ე.წ. არაბული გაზაფხულით „გაადემოკრატიულებდნენ", ლტოლვილთა ნაკადს აკავებდა, მაგრამ ამერიკელებისა და ევროპელების „ჰუმანიტარული" დაბომბვების შედეგად ეს ქვეყანა თვითონ ჩაიძირა ქაოსში. და არა მხოლოდ ეს ქვეყანა.




# ეტყობა, ამერიკაში ცხოვრებამ დაავიწყა «ჰუმანისტ» ჟურნალისტს, რომ საქართველოში 300 ათასზე მეტი დევნილია აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან და მათთვის დახმარების ხელი არც ევროპას გაუწვდია და არც აშშ-ს

**„ეს ლტოლვილები ომით მოცული ქვეყნებიდან დაიძრნენ. ადრე ლიბია აფრიკის ყველაზე მდიდარი სახელმწიფო იყო. მის მოქალაქეებს შესაშური მატერიალური კეთილდღეობა ჰქონდათ — უფრო სამედიცინო მომსახურება, უფრო საცხოვრებელი და უფრო განათლება. სირიაში, არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობით, ნავთობის ექსპორტის შეზღუდვის მიუხედავად, პოლიტიკური სტაბილურობა და სოციალური სიმშვიდე, კულტურის, განათლების, სახალხო კეთილდღეობის მაღალი დონე სუფევდა, იმიტომ ექცათ ამ ადამიანებს მყისიერად სამოთხე ჯოჯოხეთად? „სახელმწიფოს დაღუპვა" იქ 2011 წლის „არაბული გაზაფხულის" დროს მოხდა. კადაფის დამხობის შემდეგ ლიბია რამდენიმე ნაწილად დაიშალა, ეკონომიკა დაინგრა, მოსახლეობა უპოვარ ლტოლვილებად იქცა. სირიაში სამოქალაქო ომი გაჩაღდა. სირიელთა ნახევარი უსახლკაროდ დარჩა, 4 მილიონი ადამიანი ლტოლვილია. ამ ტრაგიკული ვითარების მიზეზი იყო ე.წ. დემოკრატიული უმცირესობის სურვილი, შეერყიათ ხელისუფლების სტაბილურობა, თუმცა მთავარი მიზეზი არის ის, რომ აშშ-მა და ევროპამ შემთხვევით ისარგებლეს, ამ ქვეყნებში რეჟიმები შეეცვალათ... აშშ-სა და ევროპის საგარეო პოლიტიკური ჰეგემონიზმი საშინელი და სულელურია. გარდა იმისა, რომ მან დასავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში კატასტროფის პროვოცირება მოახდინა, აიძულა ევროპა, საკუთარი თავით ეზღო",** — ეს არის ამონარიდი ჩინურ გაზეთ **„ჟენმინ ჟიბაოში"** გამოქვეყნებული მასალიდან მრავლისმეტყველი სათაურით: **„აშშ და ევროპა უნდა დაფიქრდნენ, საიდან გაჩნდა ლტოლვილთა ნაკადი".**

აი, ამ ყველაფრის ფონზე სურს „ჰუმანისტ" დავით ნიკურაძეს, საქართველომაც „ზღოს" და ათასობით ლტოლვილი შეიფაროს. **ეტყობა, ამერიკაში ცხოვრებამ დაავიწყა „ჰუმანისტ" ჟურნალისტს, რომ საქართველოში 300 ათასზე მეტი დევნილია აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან და მათთვის დახმარების ხელი არც ევროპას გაუწვდია და არც აშშ-ს.**

„უვიზო მიმოსვლა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება რომ გვინდა, კრიზისების დროს პასუხისმგებლობაც ავიღოთ"-ო, — გვმოძღვრავს გაზულუქებული ნიკურაძე ამერიკიდან. ამით ცდილობს, „ნაცმოძრაობის" ამერიკელ მამებს ასიამოვნოს და მათგან მეტი ფინანსური მხარდაჭერა მიიღოს, ისევე, როგორც საქართველოში მოღვაწე ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

რა, **საქართველოსთვის საკმარისი აღარ არის აშშ-ისა და ევროპის წინაშე მუხლებზე ხოხვა და „აღებული ვალდებულებების" შესრულება, კიდევ ერთი, ქვეყნისთვის ძალიან საზიანო ვალდებულება რომ არ დაიკისროს?**

დავიკისრეთ **„ვალდებულება"** და კოაბიტაცია გავმართეთ (ამჟამინდელმა ხელისუფლებამ) სააკაშვილის სისხლიან რეჟიმთან. შედეგად „ნაციონალური მოძრაობის" დამნაშავე წევრები, იმის ნაცვლად, რომ საპყრობილეში ისხდნენ, ქართველი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც ეს სისხლისმსმელი რეჟიმი არჩევნების გზით მოიშორა, ხელისუფლებაში კვლავ დაბრუნებითა და შურისძიებით ემუქრებიან. ▶













## რუსეთის ავიაციამ სირიაში «ისლამური სახელმწიფოს» რვა ობიექტი გაანადგურა

**რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, რუსულმა თვითმფრინავებმა 2 ოქტომბერს 20 გაფრენა განახორციელეს და ერთ-ერთი ბანდფორმირების დაცული სამეთაურო პუნქტი, ასევე ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და საბრძოლო მასალების მიწისქვეშა ბუნკერი გაანადგურეს.** რუსეთის პრემიერმინისტრი დიმიტრი მედვედევი აცხადებს, რომ სირიაში დაწყებული საჰაერო ოპერაცია რუსეთს ტერორიზმისგან იცავს. რუსულმა ავიაციამ სამხედრო ოპერაცია სირიაში 30 სექტემბერს დაიწყო.



ვაი ჩქუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ და მისი მოკავშირე უმდიდრესი ქვეყნები — საუდის არაბეთი, ქუვეითი და სხვა სახელმწიფოები უარს ამბობენ სირიიდან, ლიბიიდან, ერაყიდან დევნილთათვის თავშესაფრის მიცემაზე. არც ამერიკელები იკლავენ თავს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სამშობლოში ცხოვრება ჯოჯოხეთად უქციეს ჯერ „ალ ქაიდას", შემდეგ კი „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტული დაჯგუფებების შექმნით, შეიარაღებითა და დაფინანსებით.**









◀ დავიკისრეთ **„ვალდებულება"** და შემოვიღეთ ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც ერთნაირსქესიანთა ქორწინებებისკენ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონებით არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყანას დაემუქრა აშშ-ის ხელისუფლება.

დავიკისრეთ **„ვალდებულება"** და თბილისში გავხსენით ჯერ ამერიკული ბიოლოგიური ლაბორატორია, შემდეგ — ნატოს საწვრთნელი ცენტრი და რუსული რაკეტების სამიზნეში აღმოვჩნდით.

ნატოში საქართველოს გაწევრების უპერსპექტივობაზე თვითონ ნატოს ხელმძღვანელობა და ამერიკელი ექსპერტები გველაპარაკებიან (იხ. Foreign Policy-ს სტატია „დროა, საქართველომ დაივიწყოს ოცნება ნატოზე", რომელიც „საქართველო და მსოფლიოს" ამა წლის 35-ე ნომერში გამოქვეყნდა). ჩვენ კი, ტერიტორიებდაკარგული ქვეყანა, **„ვალდებულებას ვიღებთ",** უამრავ ქართველ ახალგაზრდას ვგზავნით ე.წ. სამშვიდობო მისიაში მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში და მათ სიცოცხლეს ვწირავთ.

**რისთვის ვაკეთებთ ამას? იმისთვის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ" და მისმა მეხოტბეებმა ქულები ჩაიწერონ ამერიკელი პატრონების თვალში და მსუყე დაფინანსება მიიღონ საქართველოს დამღუპველი პროპაგანდის საწარმოებლად?**

„ნაციონალური მოძრაობის" მამამთავარმა, **ქართულ მართლმსაჯულებას გაქცეულმა მიხეილ სააკაშვილმა ათასობით თურქს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, მისმა რეჟიმმა უამრავი ქართველი ბიჭი ქუჩაში დახვრიტა, დაანგრია განათლება და მეცნიერება, უამრავ ადამიანს წაართვა ქონება და ბიზნესი, თავიდან ვერ აიცილა ომი და დაკარგა ტერიტორიები, ქართული მიწები უცხოელებზე გაასხვისა (რაც ამჟამადაც გრძელდება), დღეს თბილისის ცენტრსა და ბათუმში უცხოელები ბორდელებს ხსნიან და იქ ქართველ ქალებს ამუშავებენ...**

განსხვავებული რელიგიის, კულტურისა და მენტალიტეტის ათიათასობით ლტოლვილის ჩამოსახლება საქართველოს ბოლოს მოუღებს. საქართველო, როგორც ქართველთა ქვეყანა, რამდენიმე წელიწადში აღარ იარსებებს...

**ან იცის კი ამ „ჰუმანისტმა" ჟურნალისტმა, ვინ არიან ახლო აღმოსავლეთიდან გამოქცეული ადამიანები? იცის კი, რომ ლტოლვილების მასაში უამრავი „ბოევიკია" გარეული (სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ საბერძნეთის პოლიციამ ლტოლვილებისთვის განკუთვნილი კონტეინერებიდან ერთი-ერთში 5000 ცეცხლსასროლი იარაღი და უამრავი საბრძოლო მასალა იპოვა) და მიგრანტთა დიდი ნაწილი, რომელიც ევროპაში ლტოლვილების სტატუსით შეღწევას ცდილობს, თავის ქვეყანაში, მშვიდობიანი მოქალაქე კი არა, შეიარაღებული ბანდების, მათ შორის, „ისლამური სახელმწიფოს" წევრი იყო?**

ევროკავშირის ქვეყნებში ყოველდღიურად ათიათასობით ლტოლვილი ჩადის, რომელთა ნაწილიც დივერსანტები და რადიკალურად განწყობილი ისლამისტური დაჯგუფებების აქტივისტები არიან.

**ამას მოწმობს ინტერნეტში ახლახან გავრცელებული ფოტოებიც, რომლებზეც ვითომ ლტოლვილები არიან აღბეჭდილნი.**

**ნიკა კორინთელი**

**P.S. ევროპა აღმოჩნდა იმ სიტუაციის ტყვეობაში, რომელიც თვითონ შექმნა. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების „გადემოკრატიულების" მცდელობას უკუდარტყმა მოჰყვა ქაოსში ჩაძირული ქვეყნებიდან მიგრანტების უზარმაზარი ნაკადის სახით და ეს ე.წ. მიგრანტების კრიზისი ევროპას ეთნიკური ომებით ემუქრება.**

**ჩვენ კი, სჯობს, მივხედოთ ჩვენს ქვეყანას, სადაც უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა და სხვის საამებლად საქართველოს საბოლოოდ გამანადგურებელი „ვალდებულებების" დაკისრებას თავი დავანებოთ...**









ფოტოებზე: ჯიჰადისტები და ყოფილი ბოევიკები, ევროპელ ობივატელად რომ გარდაიქმნან, კამუფლაჟს ჯინსზე, მოდურ მაისურსა და ქურთუკზე ცვლიან და წვერს იპარსავენ, ზოგი კი, რომანტიკულად რომ გამოიყურებოდეს, თმაზე გელს ისვამს.

## ანგელა მერკელის რეიტინგი ეცემა

**გერმანიის კანცლერის რეიტინგი ეცემა. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები სამაუწყებლო კორპორაცია „ეი-არ-დი"-მ გამოაქვეყნა.**

როგორც ირკვევა, მერკელის პოლიტიკას მხარს გერმანიის მოსახლეობის 54 პროცენტი უჭერს, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 9 პროცენტით ნაკლებია.

ერთ-ერთი ვერსიით, კანცლერის რეიტინგის დაცემა გერმანიაში მიგრანტთა დიდი ნაკადის შესვლამ გამოიწვია.



## ნგარაბას ციხიდან ყველა პატიმარი გაიქცა

**ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგიში მდებარე ციხიდან ყველა პატიმარი გაიქცა.** როგორც მედია ქვეყნის უშიშროების სამსახურზე დაყრდნობით იტყობინება, ნგარაბას ციხე 500-ზე მეტმა პატიმარმა დატოვა. სხვა დეტალები უცნობია. ამასთან, ბანგიში სისხლიანი დაპირისპირება გრძელდება. ადგილობრივი მუსლიმანებისა და ქრისტიანების დაპირისპირების შედეგად 40-ზე მეტი ადამიანი უკვე დაიღუპა.

არა არის დაფარული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოვუწოდებთ ყველა პატიოსან და კარგ გადაგვარებულს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ მოტყუებულ და გაბითურებულ ადამიანებს, მხარში ამოუდგნენ ნორმალურ ადამიანებს და შესძახონ მსოფლიოს გასაგონად: გეყოფათ ჩვენი გასულელება, საკმარისია ეს უბედურება და ტანჯვა-წამება! საზიზღარო დეგენერატებო, გაეთრიეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან, განათლების სისტემიდან, გაეთრიეთ ხელოვნებიდან, გაეთრიეთ ეკლესიიდან.**

# შემეცნების გასაღები



**ავტორის შესახებ**

გრიგორი კლიმოვი იგორ ბორისის ძე კალმიკოვის ლიტერატურული ფსევდონიმია. დიდი სამამულო ომის მონაწილე ომის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ბერლინში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციაში, 1947 წელს გაიქცა დასავლეთ გერმანიაში, 1949-1950 წლებში მონაწილეობდა ჰარვარდის პროექტში, რომელიც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ეგიდით ხორციელდებოდა; ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების ორმაგი აგენტი, გარდაიცვალა 2007 წლის 10 დეკემბერს ნიუ იორკში, 89 წლისა.

50 წლის განმავლობაში ამუშავებდა ე.წ. უმაღლესი სოციოლოგიის (დეგენერალოგიის) მარგინალურ კონცეფციას, რომელიც ისტორიისა და სოციოლოგიის ინტერპრეტაციის სახით იყო წარმოდგენილი.

დაწერილი და გამოცემული აქვს წიგნები: „ტერორის მანქანა“ (1951 წ.), „ამა სამყაროს თავადი“, „საქმე 69“ (1970 წ.), „ჩემი სახელი ლეგიონია“ (1975 წ.), „საბჭოელ ბრძენთა ოქმები“ (1981 წ.), „წითელი კაბალა“ (1996 წ.), „ღმერთის ხალხი“ (1997 წ.).



გრიგორი კლიმოვი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-35 (315-317)

**— გამოუვალი მდგომარეობა იქმნება. ერთი შანსიც არ გვრჩება. კაცობრიობა უფსკრულისკენ გარდაუვალად მიექანება... გამოდის, რომ გამოსავალი არ არის, ყველანი დაწყევლილები ვართ.**

— რას ამბობთ! ყველაფერი პირიქითაა! ყოველთვის მიმაჩნდა, რომ უმაღლესი სოციოლოგია ცხოველმყოფელი მეცნიერებაა, რომელიც გამსჭვალულია ოპტიმიზმითა და გამარჯვების რწმენით.

დაუნდობელი სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვით, ყოველი მეორე (მესამე) ადამიანი დეგენერატიულობის ამა თუ იმ ხარისხით არის დაავადებული, თავიდან გვაოცებს. არ გსურს, დაიჯერო, გინდა, დაეჭვდე, განაცხადო, რომ ეს ყველაფერი დიდი გაუგებრობაა...

მაგრამ ასე ერთი შეხედვით გეჩვენებათ.

თუ განიხილავთ დედამიწის მოსახლეობის დაბერების სტატისტიკას, მგონი, არავის შეგზარავთ ფაქტი, რომლის მიხედვით მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი ახალგაზრდულ კატეგორიად იქნება მიჩნეული. ერთი მესამედი — მოწიფული ასაკისა და ერთი მესამედი — ადამიანებად, რომლებსაც აშკარად ეტყობათ დაბერების ნიშანი. დაბერების არ გვეშინია, ელდა არ გვეცემა ამის გამო. არავინ ლანძღავს ღმერთს იმისთვის, რომ ყველა ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, ბერდება. ასეთია ბუნებრივი პროცესი.

დეგენერაციაც ბუნებრივი პროცესია. კლანებიც ისე ბერდებიან, როგორც ინდივიდები.

**უმაღლეს სოციოლოგიას გადაგვარებულები არასოდეს მიაჩნდა ღმერთის მიერ განწირულ ადამიანებად.** ისევე, როგორც არც ერთ თქვენგანს, ვიმედოვნებ, არ მიგაჩნიათ მოხუცები ღმერთის მიერ განწირულ ადამიანებად.

**შვილების ბრალი არ არის, თუ ზოგიერთი დეგენერატიული მშობელი ნაცვლად იმისა, რომ შეასრულონ ღმერთის ნება და დაიცვან ქაღარის ღირსება, ერთობა ხელოვნური განაყოფიერებით და სხვა ასეთი საზიზღრობით.**

უმაღლესი სოციოლოგია ადასტურებს, რომ თითოეული გადაგვარებული თვითონ არის პასუხისმგებელი თავის არჩევანზე და არა მათი მშობლების არჩევანზე, ამიტომ ნაცვლად „ღმერთის მიერ დაწყევლილისა“, უნდა თქვან: „დაწყევლილნი არიან თავიანთი მშობლების მიერ“.

დეგენერაციის დაჩქარება, შენელება ან „განკურნება“ რაღაც ზომით შესაძლებელია

**ახალი ეპოქის პირველი მერცხალი, ქრისტიანული კულტურის გახრწნისა და ლპობის 300-წლიანი პროცესის პირველი მერცხალი, პირველი ინდიკატორი იმისა, რომ ხელისუფლების სათავეში, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მთავრობა მოვიდა, უნდა იყოს მოსახლეობის ყველა ფენის დაუყოვნებლივი და დაუღალავი გათვითცნობიერება მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებით იმ საშიშროების შესახებ, რომელიც საზიზღარი დეგენერატებისგან მოდის**

და ამაში სულიერი ფასეულობების სისტემას არსებითი როლის შესრულება შეუძლია.

მაგალითად, ისინი, ვისაც „ღვთის უარმყოფელებს“ ვუწოდებთ, ვინც უარყოფს ქრისტეს მცნებებს და თავისი სიამოვნებისთვის ცხოვრობს, მალევე ექცევა მანკიერ ადამიანთა წრეში და ხელოვნურად ზრდის დეგენერატების რაოდენობას, რითაც აღასრულებს დეგენერატიული სექტის ლიდერების მითითებას ნებისმიერი გზით გამრავლების შესახებ.

ისინი კი, ვისაც „ღვთისმოსავებს“ ვუწოდებთ, ვინც იცავს ქრისტეს მცნებებს, თვითშეზღუდვის გზით ლოკალიზებს ამ ბოროტებას.

ამიტომაა დეგენერაცია პირველადი (მშობლებისგან მოდის), ღვთის უარმყოფელობა — მეორადი (თქვენი პირადი არჩევანი).

დეგენერაცია ბრალად არასოდეს უნდა წაუყენო დეგენერატს, რომელმაც იგი მშობლებისგან მიიღო. ღვთისმებრძოლობა კი შეგნებული, პირადი არჩევანია, აქედან გამომდინარე, — ყველა შედეგიც, ეთიკური, ფინანსური და იურიდიული.

ამ პროცესის გაგება რომ გაიადვილოთ, შეცვალეთ სიტყვა **დეგენერაცია** სიტყვა **იმუნოდეფიციტით** და თქვენთვის ბევრი რამ ნათელი გახდება.

ადამიანის ბრალი არ არის, თუ ის იმუნოდეფიციტით დაავადებული მშობლების ნაშიერია. თუ იგი ადამიანურად იცხოვრებს, იზრუნებს სხვა ადამიანებზე, შეძლებს, გარკვეულწილად შეზღუდოს ეს ბოროტება და გაწყვიტოს უბედურებისა და ტანჯვა-წამების ჯაჭვი.

მაგრამ, თუ იგი იცხოვრებს თავისი სიამოვნებისთვის და დაბადებს ბევრ მემკვიდრეს, ისინი კიდევ, თავის მხრივ, გამრავლდებიან, მაშინ იმატებს ავადმყოფი ბავშვების პოპულაცია.

ბუნებრივი განვითარების პროცესში ეს დაავადებული ადამიანები დაიხოცებიან, მაგრამ, თუ მათ ფინანსურ უზრუნველყოფას გავუნაწილებთ ჯანმრთელ მოსახლეობას, ისინი გადარჩებიან და კიდევ დიდხანს გაავრცელებენ ამ სენს.

ამიტომ უმაღლესი სოციოლოგიის **პირველი რეკომენდაციაა** — გადავიყვანოთ ყველა დეგენერატიული ოჯახი სამეურნეო ანგარიშზე, რათა მათ არ განაგრძონ ადამიანების ძარცვა თავიანთი პედერასტული სიამოვნებისთვის.

**მეორე რეკომენდაცია** — იურიდიული პასუხისმგებლობისგან გავათავისუფლოთ დეგენერატიული ოჯახების შვილები მათი მშობლების მოქმედების გამო (და პირიქით). დაე, ოჯახშივე გაარკვიონ, ვის ვისი რა მართებს...

აი, მაშინ კი მიხვდებიან მშობლები, რა მნიშვნელოვანია შვილების ქრისტიანული აღზრდა... მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბევრმა გადაგვარებულმა მშობელმა ამის თაობაზე არაფერი იცოდა.

საზიზღარი დეგენერატები, როგორც კი ხელში იგდებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სრულად ბლოკავენ მათ მამხილებელ ინფორმაციას.

უმაღლესი სოციოლოგიის გაცნობის შემდეგ ყველა ეს მშობელი იგრძნობს, რომ მოტყუებული და გაბითურებულია დეგენერატიული პროპაგანდის მიერ, და მე მათი ძალიან კარგად მესმის.

ამიტომ მოვუწოდებთ ყველა პატიოსან და კარგ გადაგვარებულს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ მოტყუებულ და გაბითურებულ ყველა ადამიანს, მხარში ამოუდგნენ ნორმალურ ადამიანებს და შესძახონ მსოფლიოს გასაგონად: გეყოფათ ჩვენი გასულელება, საკმარისია ეს უბედურება და ტანჯვა-წამება!

**საზიზღარო დეგენერატებო, გაეთრიეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან, განათლების სისტემიდან, გაეთრიეთ ხელოვნებიდან, გაეთრიეთ ეკლესიიდან.**

**ახალი ეპოქის პირველი მერცხალი, ქრისტიანული კულტურის გახრწნისა და ლპობის 300-წლიანი პროცესის პირველი მერცხალი, პირველი ინდიკატორი იმისა, რომ ხელისუფლების სათავეში, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მთავრობა მოვიდა, უნდა იყოს მოსახლეობის ყველა ფენის დაუყოვნებლივი და დაუღალავი გათვითცნობიერება მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებით იმ საშიშროების შესახებ, რომელიც საზიზღარი დეგენერატებისგან მოდის.**

ყველა ის „პატრიოტი“, რომელიც ამ უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისეულ საკითხზე თვალს ხუჭავს, მაგონებს იმ ვაიექიმებს, რომლებიც ჭკვიანური გამომეტყველებით საათების განმავლობაში მსჯელობენ, რა დიეტა უნდა დაიცვას მძიმე ავადმყოფმა, ნაცვლად იმისა, რომ გაარკვიონ ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობის ან ვირუსის ბუნება და სასწრაფოდ, ვიდრე გვიან არ არის, გამოუწერონ მას საჭირო ანტიბიოტიკები.

**— რა აზრის ხართ მასონებზე?**

— ილუმინატები, შრაინერები, მასონები, თეოსოფები, ანტროფოსობები და მისთანანი — ყველა ეს კლუბი, რომლებიც შექმნილია „რჩეული“, „განსაკუთრებული“ ადამიანებისთვის, მათთვის, ვინც დევნილია ბიუროკრატიის, ეკლესიის, აკადემიის ან სხვა ნებისმიერი ნორმალური სახელმწიფო სტრუქტურის მიერ, ყველანი ელოდებიან თავიანთ დროსა და საათს, რათა შური იძიონ.

თავიანთი პროფესიების მიხედვით ხდებიან ამა თუ იმ დეგენერატიული კლუბის წევრები. **იქ ყოველთვის იქნებიან უსაქმური, სულელი ცნობისმოყვარენი, რომლებსაც „შირმად“ და დეკორაციად გამოიყენებენ. ჭეშმარიტი მიზანი ამ დეგენერატიული კლუბებისა არის აქტიური ჰომომანიაკების გამოვლენა, რომლებიც არც ერთ შემთხვევაში უკან არ დაიხევენ, ოღონდ ხელისუფლებაში შეძვრნენ.**

**გახსოვდეთ: ხელისუფლება უძლიერესი ნარკოტიკია!**

**— არიან კი კარგი მასონები?**

— მასონთა შორის, რა თქმა უნდა, კარგი ადამიანებიც არიან, თავიანთი სამშობლოს პატრიოტებიც კი.

ნორმალური ადამიანები ნებისმიერ ორგანიზაციაში არიან, კომუნისტებს შორისაც.

ბევრი მათგანი ამ ორგანიზაციებში გაუთვითცნობიერებლობის გამო მოხვდა, უმაღლესი სოციოლოგიის არცოდნის გამო.

თუ ისინი უმაღლეს სოციოლოგიას გაეცნობიან, მაშინ სხვანაირად მოიქცევიან.

ჩემი მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია, ვთქვა, რომ **ნებისმიერი ადამიანი, რომელიც არ იზიარებს უმაღლესი სოციოლოგიის პრინციპებს, როგორც წესი, არის სინდისგარეცხილი, ანუ ბილწი. ეს კი სიგიჟის პირველი სტადიაა; არის ის, რასაც მწერალმა ლორანმა მორალური სიგიჟე უწოდა. როგორც წესი, ასეთი ადამიანები ნორმალურებად არ ითვლებიან არც მორალურად, არც სექსუალურად...**

**— მიგაჩნიათ, რომ არსებობს მსოფლიო შეთქმულება?**

— დეგენერატები ჭირის მიკრობებივით არიან. ისინი კლავენ ჯანმრთელ ორგანიზმს, მაგრამ თვითონაც იღუპებიან მასთან ერთად.

აქვთ კი მიკრობებს შეთქმულება ჯანმრთელი ორგანიზმის წინააღმდეგ?

აქვთ მათ შეტევის გეგმა მისი დაცვითი სისტემების გასანადგურებლად?

**არა მგონია, რომ მიკრობებსა და ვირუსებს ჰქონდეთ მსოფლიო შეთქმულება ჯანმრთელი ადამიანების წინააღმდეგ. ისინი ანადგურებენ და კლავენ თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე. სხვა არაფრის გაკეთება მათ არ ძალუძთ. ასეთი ბუნებისანი არიან...**

მაგრამ, თუ ვინმე განალაგებს შავი ჭირით სავსე კონტეინერებს სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილებში: მეტროს სადგურებში, რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებში (რათა დააავადონ და დაღუპონ რაც შეიძლება მეტი ადამიანი), იმ ვინმეს აქვს რაიმე გეგმა?

**თუ ვინმე განამწესებს დეგენერატებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან თანამდებობებზე პრესაში, ტელევიზიაში, განათლების სისტემაში, არმიაში, ეკლესიაში, აქვს იმ ვინმეს რაიმე გეგმა?**

მიპასუხეთ ამ შეკითხვაზე...

**(გაგრძელება იქნება)**

**ნებისმიერი ადამიანი, რომელიც არ იზიარებს უმაღლესი სოციოლოგიის პრინციპებს, როგორც წესი, არის სინდისგარეცხილი, ანუ ბილწი. ეს კი სიგიჟის პირველი სტადიაა. არის ის, რასაც მწერალმა ლორანმა მორალური სიგიჟე უწოდა. როგორც წესი, ასეთი ადამიანები ნორმალურებად არ ითვლებიან. არც მორალურად, არც სექსუალურად...**

ნიან.GE

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «რუსთავი 2»-ის კომპლექსი ქართულ ტელემედიაში

**გასულ კვირას საქართველოში შეიძლება „რუსთავი 2“-ის კვირა ეწოდოს. ამ ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა და თანამშრომლებმა ისეთი მოთქმა-გოდება ატეხეს პირდაპირ ეთერში, რომ ყველა ადგილობრივი თუ საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა გადაფარა — დაწყებული სირიიდან და დამთავრებული პარლამენტის შესასვლელში დეპუტატების ყოვლად ამაზრზენი შეურაცხყოფითა და გალახვით.**




**როდის და როგორ მოეღება ბოლო ამ საშინელ კომპლექსს? — ჩემი აზრით, მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა ტელევიზიებში ან შეიცვლება «ჯიპა»-ს «ფირმის», «რუსთავი 2» ჩვენი ღმერთია» ფორმულით აღზრდილი ჟურნალისტების თაობა, ან, უბრალოდ, მათ ვინმე უფროსი თაობის მართლა კარგი და გამოცდლი ჟურნალისტი ჩაუტარებს ტრენინგ-გამოლოცვებს თემაზე «რუსთავი 2», ჟურნალისტიკის კი არა, ანტიჟურნალისტიკის ეტალონია»**

ნებისმიერ დემოკრატიულ და ნორმალურ ქვეყანაში რომ პარლამენტარების ცემა გაცილებით მნიშვნელოვანი და საყურადღებო ფაქტია, ვიდრე რომელიმე ტელევიზიის მეწილეების ფინანსური დავა — ეს უდავო ჭეშმარიტებაა, მაგრამ **ქართულ ტელემედიაში 2000-იანი წლების დასაწყისიდან „ამინდი“ ისეა დაყენებული, რომ „ქვეყნის მთავარი მოვლენა“ არის ის, რასაც „რუსთავი 2“ დაარქმევს „მთავარ მოვლენას“.** მეტიც, ამ „მთავარ მოვლენაზე“ საკუთარ „თავისუფალ აზრებს“ გამოხატავენ სწორედ და მხოლოდ ის „ექსპერტები“, რომლებსაც „რუსთავი 2“ არქმევს „ექსპერტებს“, და შეფასებებს აკეთებენ მხოლოდ ის „არასამთავრობოები“, რომლებსაც „რუსთავი 2“ მიიჩნევს კომპეტენტურად.

გაუთვითცნობიერებელ მაყურებელს შეიძლება ეგონოს, რომ ამ ქვეყანაში სწორედ ეს ადამიანები არიან „ყველაზე ჭკვიანები“ და, უბრალოდ, „რუსთავი 2“ თავისი „პროფესიონალიზმის“ წყალობით პირველი პოულობს ხოლმე მათ და მხოლოდ შემდეგ — სხვა ტელევიზიები. არადა, საქმე გაცილებით მარტივადაა. აქ არაფერ შუაშია ამ „ყველაზე ჭკვიანთა“ ექსკლუზიურად „პოვნა“ და ჟურნალისტური პროფესიონალიზმი. უბრალოდ, სხვა ტელევიზიების წარმომადგენლები ბაძავენ „რუსთავი 2“-ს და ამ ტელეკომპანიის ეთერში 2-3-ჯერ გამოჩენილ სახეებს თავადაც მიიჩნევენ „ექსპერტებად“.

**რა არის ამის მიზეზი? ძალიან უბრალო რამ — ქართულ ტელემედიაში სისხლით ხორცამდე გამჯდარი ე.წ. „რუსთავი 2“-ის კომპლექსი!**

უფრო გასაგებად ვიტყვი: **დანარჩენ სატელევიზიო მედიასაშუალებებში (და არა მხოლოდ სატელევიზიოში) მუშაობს ჟურნალისტთა იმ თაობის ის ნაწილი, რომელსაც სტუდენტობის ასაკიდან წლების განმავლობაში უტენიდნენ თავში, რომ „რუსთავი 2“ არის „უმაღლესი მედიასტანდარტის“ ეტალონი და ყველა ჟურნალისტმა უნდა მიბაძოს ამ ტელევიზიას, ყველა ჟურნალისტი უნდა ოცნებობდეს იქ მუშაობაზე და, რასაც ეს ტელევიზია აკეთებს, აი, ეს არის ჟურნალისტიკის „უმაღლესი პილოტაჟი“!**

მახსოვს, როდესაც გადავედი სამუშაოდ „რუსუთავი 2“-ში ჩემი „ფარული კამერის“ პროექტით, როგორი სიამაყით განმიცხადა მაშინ იქაურმა „შეფობამ“, რომ მე მოვხვდი „მედიის ყველაზე მაღალ წერტილზე“ და რომ ყველაფერი უნდა მელონა, დაბლა აღარ დავშვებულიყავი, რადგან ამაზე მაღლა ვეღარასოდეს ავიდოდი, რამეთუ „რუსთავი 2“-ზე მაღლა უკვე აღარაფერი არსებობს.

ამაზე ჩემი პასუხი იყო, რომ მე ამ ტელევიზიაში ჩემი საქმიანი პარტნიორის, პროექტის მეორე ავტორის ხათრით მოვედი, რადგან მას გარკვეული მიზეზებით ხელს აძლევდა ამ ტელევიზიასთან თანამშრომლობა. ისე კი, სულაც არ მსიამოვნებდა ამ ანტიტელევიზიაში ყოფნა. **რაც შეეხება აქ ჟურნალისტიკის კუთხით მუშაობას, ასეთი შემოთავაზება მანამდე 6 წლით ადრეც მქონდა, მაგრამ უარი ვთქვი და არასოდეს ცხოვრებაში არ ვიმუშავებ ჟურნალისტის რანგში ამ პოლიტიკური დაკვეთების პირდაპირ შემსრულებელ ვითომ ტელევიზიაში!**

მახსოვს ასეთ პასუხზე მაშინდელი გაბრაზებული სახეები ამ ტელეკომპანიის „შეფებისა“ და გაოცებული სახე ჩემი პარტნიორისა, რომლისთვისაც ეს ტელევიზია მართლაც იყო ცხოვრების უმაღლესი მიღწევა.

**ასევე, მახსოვს მათი გაოცებული სახეებიც, როდესაც კომპანიის მხრიდან ანაზღაურების კიდევ უფრო გაზრდის დაპირების მიუხედავად, საბოლოოდ დავტოვე ეს ნაგვის ბუნკერი 2008 წლის დასაწყისში...**

მომიტევეთ, ასეთ პირად თემებს რომ ვაშუქებ, მაგრამ უამისოდ, სამწუხაროდ, სრულად ვერ დავხატავ იმ სურათს, რა დღეშიც არის დღეს ქართული ტელემედია, რომელიც თხემით ტერფამდეა გაჟღენთილი „რუსთავი 2“-ის კომპლექსით.

რაღა თქმა უნდა, **მე მარტო არ ვარ და არაერთ შესანიშნავ ჟურნალისტს ვიცნობ, რომელმაც კატეგორიული უარი თქვა შემოთავაზებაზე, ემუშავა „რუსთავი 2“-ში. არგუმენტი იგივე იყო — იმხანად პრესაში მომუშავე პრაქტიკოსმა ჟურნალისტებმა „რუსთავი 2“-ის დაარსების დღიდანვე ვიცოდით, ვის და რას ემსახურებოდა ეს ვითომ „დამოუკიდებელი“ მედიასაშუალება და ამ ბინძურ ძალებთან თანამშრომლობა არ გვსურდა!**

აღარ განვაგრძობ, რატომ და რა მიზეზებით ვიმუშავე ამ ნაგვის ბუნკერში 3 წლის განმავლობაში არა როგორც ჟურნალისტმა, არამედ როგორც იუმორისტული პროექტის ავტორმა და პროდიუსერმა. ეს არაერთხელ მაქვს დაწერილი და მოყოლილი. ისევ მთავარ თემას მივუბრუნდები, ანუ დღევანდელი ქართული სატელევიზიო მედიის მძიმე კომპლექსს, სახელად „რუსთავი 2“.

ეს ყოველივე სასამართლოს მიერ ამ ტელევიზიის ქონების დაყადაღების თემაზეც ნათლად გამოჩნდა:

**„რუსთავი 2“ აცხადებს: „ახლა ამ თემაზე კომენტარებს გააკეთებენ მედიაექსპერტები“ და ეკრანზე ზედიზედ ჩანს 10-15 ვიღაც ვიგინდარა გოგოშკა და ტუტუცი დედაკაცი, რომლებიც „ბრძნული“ სახეებით მიედ-მოედებიან სისულელეებს იმის შესახებ, რომ თურმე მეწილეებს შორის სასამართლო დავა „თავისუფალი სიტყვის უხეში დევნაა“. კაციშვილმა არ იცის, რატომ, რა კრიტერიუმით, რა დამსახურებისთვის სარგებლობენ ეს ყოვლად უწიგნური გოგოშკა-დედაკაცები „მედიაექსპერტის“ სტატუსით.**

მიხედავად ამისა, გადის სულ რაღაც 1 საათი და იგივე „მედიაექსპერტები“ რიგრიგობით ჩანან ჯერ „მაესტროს“, შემდეგ „იმედის“, შემდეგ „პირველი არხის“ ეთერებში.

ნუთუ ჩვენს ქვეყანაში მათზე ჭკვიანი და კომპეტენტური არავინ მოიძებნება რეალურად? სინამდვილეში საქმე ის არის, რომ **„რუსთავი 2“-ის კომპლექსით მძიმედ შეპყრობილმა სხვა ტელევიზიების ჟურნალისტებმა და პროდიუსერებმა ავტომატურად ჩათვალეს: ის, ვინც ჩანს „რუსთავი 2“-ის ეთერში, არის სწორედ ყველაზე საინტერესო, ყველაზე ჭკვიანი და „ყველაზე ექსპერტი“!**

ამიტომაც „რუსთავი 2“-ის ეთერში მათი სახეების ხილვის შემდეგ თვითონაც ზუსტად იმავე რესპონდენტებს „დაეძგერნენ“. საქმე ასეა — „რუსთავი 2“-ზე 2-3-ჯერ გამოჩენა უკვე პირდაპირ განაპირობებს „ექსპერტის“ სტატუსს ნებისმიერ სფეროში. მთავარია, ამ ტელევიზიის ეთერში გამოჩნდე და უკვე ხარ ყველაზე კომპეტენტური იურისტი, პოლიტოლოგი, ბიზნესმენი, მსახიობი, პოეტი, ასტრონავტი, ბიოლოგი, ბოტანიკოსი, გეოდეზისტი, ექიმი და კიდევ — რაც გსურს!

**როდის და როგორ მოეღება ბოლო ამ საშინელ კომპლექსს?**

ჩემი აზრით, მხოლოდ მაშინ, როდესაც **სხვა ტელევიზიებში ან შეიცვლება „ჯიპა“-ს „ფირმის“ „რუსთავი 2“ ჩვენი ღმერთია“ ფორმულით აღზრდილი ჟურნალისტების თაობა, ან, უბრალოდ, მათ ვინმე უფროსი თაობის მართლა კარგი და გამოცდლი ჟურნალისტი ჩაუტარებს ტრენინგ-გამოლოცვებს თემაზე „რუსთავი 2“ ჟურნალისტიკის კი არა, ანტიჟურნალისტიკის ეტალონია“.**

თუ არადა, **სანამ სხვა ტელევიზიები გამოტენილია ისეთი მოჟურნალისტო ელემენტებით, რომლებიც დღემდე ზომბებივით ოცნებობენ, იმუშაონ „რუსთავი 2“-ში, მანამდე ქართულ სატელევიზიო მედიაში გამეფებულ ამ დამღუპველ სინდრომს არაფერი ეშველება!**

ასევე, არაფერი გვეშველება, ვიდრე ბატონი მილიარდერი არ მიხვდება, რომ „ლიბერასტთა“ ერთ ფრთას, „ლიბერასტთა“ მეორე ფრთით კი არა, ნორმალურად მოაზროვნე და რეალურად პროფესიონალი ჟურნალისტებითა და ექსპერტებით უნდა დაუპირისპირდეს.

რატომ გავუსვი ხაზი „ჯიპას“? გეტყვით: სწორედ ასეთი ტექსტი იყო გამოკრული 2004 წელს „რუსთავი 2“-ის ფოიეში: **„გაითვალისწინეთ, რომ ჟურნალისტებთან გასაუბრებაზე, რომელიც საინფორმაციო პროგრამა „კურიერში“ სტაჟირებას გულისხმობს, უპირატესობა მიენიჭებათ „ჯიპას“ კურსდამთავრებულებს“.**

მგონი, ხვდებით, რასაც ემსახურებოდა ეს ამბავი და, მგონი, იმასაც ხვდებით, როგორ ურეცხავდნენ ტვინს „ჯიპაში“ მისულ მომავალ ჟურნალისტებს „რუსთავი 2“-ის ქება-დიდებით.

აღარ განვაგრძობ, ვინ, როგორ და რატომ კურატორობდა ჟურნალისტიკის ასეთ მოსპობას, ანგაჟირებასა და გათახსირებას საქართველოში... მათგან არაერთი ადამიანი ახლა იქ არის, სად მყოფებზეც ან კარგს ამბობენ, ან არაფერს... და ღმერთმა შეგვინდოს — ეს მათივე ნამოქმედარის ერთგვარი ლოგიკური შედეგიცაა...

დასასრულ, **მხოლოდ ერთ რამეს გავუსვამ ხაზს, რაც ყველაზე ნათლად მიუთითებს „რუსთავი 2“-ის „მაღალ ჟურნალისტურ სტანდარტებზე“ და კოლეგებისადმი „ღრმა პატივისცემაზე“...**

***2003 წელი. ტელეკომპანია „იბერიას“** ავტომატებით შეიარაღებული სპეცრაზმი დაესხა თავს, რის შედეგადაც ტელეკომპანიამ მაუწყებლობა შეწყვეტა! არავითარი პროტესტი — „თავისუფალი სიტყვის“ დასაცავად! „რუსთავი 2“ „გამარჯვებულ“ ხალხს აუწყებს, რომ საქართველო ნატოსა და ევროპის გზას დაბეჯითებით დაადგა და, თუკი ვინმეს ძალისმიერი მეთოდებით უსწორდებიან, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი კრემლის აგენტები და სამშობლოს გამყიდველები არიან!

**ტელეკომპანიაზე შტურმის მიმტანების ტაშისმკვრელთა ავანგარდში კი იდგა ჯერ კიდევ ახალბედა „ნაცი“ ნიკა გვარამია...**

***2007 წელი. ტელეკომპანია „იმედს“ ამჯერად უკვე ლამის ტანკებითა და ზარბაზნებით მიადგნენ!** „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ მხოლოდ 3-წამიან განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია, რომ „მთავრობამ ხალხს დამაჯერებლად უნდა აუხსნას მომხდარი“. თითქოსდა, თეორიულად მაინც არსებობდეს ბუნებაში ტელევიზიაში შეიარაღებული ხალხის შეჭრის „დამაჯერებელი“ მიზეზები...

„იმედის“ ღობესთან მიდის რამდენიმე „რუსთავიორელი“ ცნობილი სახე, ფორმალურად აცხადებენ „სოლიდარობას“, მაგრამ, როგორც კი სპეცრაზმი მოუწოდებს, დატოვონ ტერიტორია, ნაქები „რუსთავიორული შეუპოვრობა“ სადღაც ქრება და ისინი მინიმალური წინააღმდეგობის გარეშე, სპეცრაზმისთვის ბოდიშის მოხდითა და კუდისქიცინით, „ახლავე ბატონოს“ ძახილით ტოვებენ იატაკზე არაადამიანურად დაყრილ და თავებზე ავტომატმიბჯენილ კოლეგებს...

**ტელეკომპანიაზე არადაამიანური თავდასხმის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ლამის უშუალო შემსრულებელია ამ დროისთვის უკვე დაწინაურებული „ნაცი“ ვაზელინ-პროკურორი ნიკა გვარამია...**

*** 2015 წელი.** ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს არც ავტომატით ესხმის თავს ვინმე, არც, მით უმეტეს, ტანკით ან სხვა მძიმე ტექნიკით. მხოლოდ ერთ ყოფილ მეწილეს შეაქვს ცივილიზებულად სარჩელი სასამართლოში სხვა მეწილეების წინააღმდეგ. სასამართლოც, როგორც კანონი, დავის დასრულებამდე, ტელეკომპანიის უძრავ-მოძრავ ქონებას ადებს ყადაღას. ამის საპასუხოდ, „რუსთავი 2“-ის „პროფესიონალთა“ გუნდი მოსამართლეს, ლამისაა, ხელიდან სტაცებს მოსამართლის ჩაქუჩს და ცდილობს, გამეტებით ჩასცხოს თემიდის სასწორს და დაამსხვრიოს.

**ტელეკომპანია იწყებს საწყალობელ „მოთქმა-გოდებას“ და მოსახლეობას ემათხოვრება — „დაეხმარეთ თავისუფალ სიტყვას, გადმოგვირიცხეთ თუნდაც თითო ლარი!“...**

ტელეკომპანიის სახელით მთავარი მათხოვრის როლს ასრულებს უკვე „ნაცების“ კაშკაშა სახე და „დამოუკიდებელი ტელეკომპანიის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია...

და თუ ვინმე ამ უტიფრობას „მაღალ ჟურნალისტურ სტანდარტებად“ აღიქვამს ამ ქვეყანაში, მაშინ, კი ბატონო, წარმატებას გისურვებთ, ძვირფასო „კოლეგებო“, სადისტობაშიც, მანიაკობაშიც, უტიფრობაშიც და მათხოვრობაშიც!

**სრულიად უპატივცემულოდ, თქვენი არაკოლეგა და არამეგობარი**

**ბაკურ სვანიძე**

ბლოგი

ნიან.GE

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნაც-ნობი სიტუაცია და ნაც-ადი მეთოდებით თვალში ნაც-რის შეყრის მცდელობა

**საქართველოსთვის ასე საბედისწრო ნოემბერი ახლოვდება. 12 წლის წინათ „გაბრიყვებული ხალხის ტელევიზიის“ მეშვეობით გატუტუცებულმა ბრბომ ყველა კანონის დარღვევითა და კონსტიტუციის ფეხქვეშ გათელვით შეცვალა ქვეყანაში ხელისუფლება და „ძირმომპალი კორუფცია“ დიდი ზარ-ზეიმით ჩაანაცვლა „ძირმაგარა მანიაკიზმით“.**

ამ, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი სამარცხვინო ფურცლიდან 12 წლის შემდეგ, როგორც ამბობენ, „ნაცებს“ **ნაც**-ადი მეთოდით სურთ, გაიმეორონ ნოემბერი და, ალბათ, უარესი სცენარით. უარესით იმიტომ, რომ საზოგადოებისთვის თვალში **ნაც**-რის შეყრა ამჯერად ისე ძალიან იოლი აღარ იქნება და „ნაცებსაც“ მოუწევთ **ნაც**-ადის **ნაც**-ვლად უფრო ხისტი მეთოდების გამოყენება.

**თუკი 2003 წელს საზოგადოების რაღაც ნაწილს სჯეროდა, რომ „რუსთავი 2“ ხალხზე მზრუნველი ჟურნალისტებით იყო დაკომპლექტებული, დღეს უკვე მათი მოწინააღმდეგეცა და მომხრეც — ყველა სრულიად დარწმუნებულია, რომ ეს, ტელევიზია კი არა, ერთ-ერთი პარტიული ქვესტრუქტურაა და იქ მომუშავე ადამიანები, ჟურნალისტების გარდა, ყველაფერი არიან.**

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამჯერად „ნაცებს“ მოწინააღმდეგეც უფრო მომზადებული შეხვდება, ვიდრე ეს შევარდნაძის დროს იყო, რადგან უკვე **ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ნაციონალები“ და მათი მხარდამჭერი მოქალაქეები და მათი მონა „ჟურნალისტებიც“ ყველანაირ სიბინძურეზე არიან წამსვლელნი და ამ ადამიანებისგან არანაირი უტიფრობა და ნაგვობა მოულოდნელი არ არის.**

პროვოკატორობით ცნობილ „მოღვაწეთა“ პირველი იერიშები ჯერ კიდევ 10-15 დღის წინათ დაიწყო. ჯერ იყო და **დავით დარჩიაშვილმა** პირდაპირ განაცხადა, — სამოქალაქო დაპირისპირება გარდაუვალიაო, რასაც კვალდაკვალ მოჰყვა განსაკუთრებული უტიფრობით, აგრესიულობითა და ჟურნალისტების ცემით ცნობილი **აკაკი ბობოხიძის** დანაშაულებრივი განცხადება: **„დროა, ჩვენს იმ მეზობლებს, რომლებიც აგიტაციას გვიტარებდნენ, ხმა ივანიშვილისთვის მიგვეცა, ყველამ მკაცრად მოვთხოვოთ პასუხი!“**

**ნორმალურ ქვეყანაში სამოქალაქო ომისა და დაპირისპირებისკენ ასეთ პირდაპირ მოწოდებებს რა რეაქციაც უნდა მოჰყვებოდეს, ყველა მოაზროვნე ადამიანისთვის ცხადია! მაგრამ, რა რეაქციაზეა საუბარი, როდესაც ეს დამნაშავეთა, მანიაკთა და სადისტთა ბრბო საქართველოს პარლამენტთან მივარდა და დეპუტატებს ცემა დაუწყო!**

როგორც ჩანს, ესეც გათვლილი პროვოკაცია იყო ტემპერატურის ასაწევად, მაგრამ სანამ განვიხილავდეთ, ძალუძს თუ არა დღევანდელ ვითარებაში „ნაციონალურ მოძრაობას“ ტემპერატურის იმ დონეზე აწევა, რათა ქუჩაში ხალხის ე.წ. კრიტიკული მასა გამოიყვანოს, მანამდე არცთუ შორეული წარსული გავიხსენოთ.

კერძოდ, **გავიხსენოთ, რა კომენტარებს აკეთებდნენ ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ცნობილი ინციდენტის შემდეგ იგივე „მოღვაწენი“, რომლებიც ამ დღეებში, პარლამენტართა მცემელებს „ფარად“ აეფარნენ და „ჰუმანიზმის“ მამებად მოგვევლინენ.**

მაგალითად, **გივი თარგამაძის** თქმით, „მოსამართლემ საციხედ გაიმეტა ახალგაზრდა ბიჭები!“ — ანუ, აქ საუბარია მანიაკებისა და სადისტების იმ მხარდამჭერებზე, რომლებიც პარლამენტთან დეპუტატებს დახვდნენ და ცემეს. თუმცა რატომღაც **სულაც არ მიიჩნევდა „ახალგაზრდა ბიჭების საციხედ გამეტებად“ იგივე გივი თარგამაძე ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის დროს დაპატიმრებული და 5 წლით თავისუფლებააღკვეთილი ასევე ძალიან ახალგაზრდა ბიჭების ამბავს. მით უფრო, რომ მათ იქ, დეპუტატი კი არა, საერთოდ არავინ უცემიათ და მხოლოდ სიტყვიერ შელაპარაკება მოხდა.**

**აი, ასე იცვლება „ნაციონალური სტანდარტები“!**

ალბათ, აღარც არის საჭირო **ირაკლი ბათიაშვილის** გახსენება, რომელსაც არარსებული მუხლი წაუყენეს — „ამბოხის ინტელექტუალური მხარდაჭერა“. რა თქმა უნდა, **„ნაციონალური“ ხელისუფლებისთვის სულაც არ იყო პრობლემა, რომ ადამიანი ჯერ დაეჭირათ და მისთვის წაყენებული არარსებული მუხლი მისი დაპატიმრების შემდეგ, 10 დღეში შეეტანათ სისხლის სამართლის კოდექსში.**

„ნაციონალური სტანდარტები“ იცვლება მედიასთან ურთიერთობაშიც. მაგალითად, თუკი ხელისუფლებაში „ნაცების“ ყოფნისას რომელიმე ჟურნალისტს ოდნავ მაინც რომ წამოსცდენოდა საკუთარი პოზიციის მსგავსი რამ, მას იმწამს „ჟურნალისტური სტანდარტების დამრღვევად“ გამოაცხადებდნენ და მკაცრად ჩასჩიჩინებდნენ ყველას, რომ **„ჟურნალისტმა მხოლოდ ინფორმაცია უნდა გაავრცელოს და არ უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია“.**

სამაგიეროდ, აგერ, 5 ოქტომბრის 9-საათიან „კურიერში“ **დიკო ჯოჯუამ** პირდაპირ გამოგვიცხადა: **„დღევანდელი ხელისუფლება მხოლოდ სახელისუფლებო დეპუტატებზე თავდამსხმელებს იჭერს და ოპოზიციის დეპუტატებზე თავდამსხმელებს ხელს აფარებს. ქვეყანაში აშკარად შერჩევითი სამართალი მოქმედებს“.**

დამეთანხმებით, **საინფორმაციო პროგრამის დიქტორის ასეთი განცხადება, თუკი „ნაცების“ მიერ 9 წლის განმავლობაში ნაქადაგებ კრიტერიუმებს გავიხსენებთ, არა მხოლოდ ჟურნალისტური, არამედ ადამიანური, ჰუმანური და ყველანაირი სტანდარტის არათუ დარღვევა, არამედ ფეხქვეშ გათელვა და „თმით თრევაა“.**

აღარაფერს ვამბობ **დავით კიკალიშვილის** თვალების გამომწვევი პაჭუნით და კისრის ძარღვების უდიდესი დაძაბვით ნაბოდიალებ აშკარად მიკერძოებულ სისულელეებსა და **თენგო გოგოტიშვილის** დებილურ „გონებამახვილობებზე“, რომლის **„ნაც-**უკანალში“ ვაზელინიანი თავით შესრიალების ამპლიტუდა, დიდი ხანია, ყველა წარმოსადგენ თუ წარმოუდგენელ შესაძლებლობას გასცდა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, **„ნაციონალებს“ ძალიან გაუჭირდებათ, 2003 წლის მსგავსად, ნაც-ადი მეთოდებით დააშტერონ ხალხი და პარლამენტის მაგიდებზე წიხლებით ჯლიგინი და დეპუტატების თავებზე სკამის ფეხების რახუნი „ხავერდოვან ვარდებად“ მიაყარონ ცხვირში საზოგადოებას...**

აქვე ვიტყვი — **ამჟამინდელი ხელისუფლების მთავარი დანაშაული არის ის, რომ არ შეაფასა 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“, როგორც სახელმწიფო გადატრიალება, უკანონო აქტი და სამარცხვინო მოქმედება... თუმცა რანაირად უნდა შეაფასოს?! იმ მოვლენების ერთი აქტიური იდეოლოგი პარლამენტის თავმჯდომარე გახლავთ, მისი ოჯახის წევრი — თავდაცვის მინისტრი და დანარჩენი ზოგი პარლამენტშია, ზოგი — მთავრობაში. იმავე „ვარდების“ ყველაზე მსხვილი დამფინანსებელი კი შუშის სასახლეში ზის...**

აი, სწორედ მას მინდა, მივმართო:

**ბატონო „შუშებიანო მილიარდერო“! იცოდეთ, ვიდრე ქართველი ხალხის წინაშე მთელი გულით არ მოინანიებთ 2003 წლის გაუმართლებელ მიქარვას, ვიდრე არ აღიარებთ, რომ მაშინ მწარედ დაგაგოიმეს და უკანონობა დაგაფინანსებინეს, რომ ხელი შეუწყვეთ და საფუძველი ჩაუყარეთ ამ ქვეყანაში უკანონობის ჯაჭვს, სანამ საჯაროდ ბოდიშს არ მოიხდით საქართველოს წინაშე 2003 წლის მოვლენების გამო და ყველაფერს მართალ სახელს არ დაარქმევთ, მანამდე არაფერი გამოვა ამ ქვეყანაში!**

სწორედ ყველაფრისთვის ნამდვილი და სწორი სახელის დარქმევა არის ერთადერთი გამოსავალი.

ამასობაში კი, როგორც ჩანს, „ნაცები“ მართლაც მიდიან ვა-ბანკზე და „ცხელი ნოემბრისთვის“ მონდომებით ემზადებიან.

**„ჩვენ ვიწყებთ კონსულტაციებს ყველა პოლიტიკურ პარტიასთან, რის შემდეგაც გაერთიანებული ძალებით დავიწყებთ ქუჩაში ფართომასშტაბიან აქციებს“, — განაცხადა გიგა ბოკერიამ ივანიშვილის სახლთან გამართულ საპროტესტო აქციაზე.**

მართლაც, **საინტერესოა, რომელი პოლიტიკური პარტია გათავხედდება და გამოშტერდება იმ დონეზე, რომ „ნაციონალებს“ ქუჩაში დაუდგეს გვერდით?**

აქამდე, ალასანია, ნათელაშვილი და სხვა ნარცის-სულელები მხოლოდ იმას თუ ბედავდნენ, რომ „გარკვეულ საკითხებში“ თანხვედრაზე ლაპარაკობდნენ „ნაციონალებთან“ და ისიც მხოლოდ ტელეეკრანებიდან, ბრიფინგებზე თუ სხვა, ასე ვთქვათ, „არაცხელ“ ფორმატში...

მაგრამ **„ნაცების“ გვერდით დგომა ქუჩაში, აქციებზე — ეს უკვე სულ სხვა გაქანების ნაძირლობაა და ამ მხრივ მართლაც ძალიან საინტერსო უნდა იყოს, რომელი მათგანი აღმოჩნდება ამ დონის ნაძირალა და გარეწარი.**

ცხელი ნოემბერი, სავარაუდოდ, მართლაც გველის, რადგან ფაქტია, **„ნაციონალები“ ათვითცნობიერებენ, რომ 2016 წლის არჩევნებამდე უშფოთველად მისვლა მათთვის საბოლოოდ დაღუპვას ნიშნავს.**

არის თვალსაზრისი, რომ ბიძინა ივანიშვილს ეს გათვლილი ჰქონდა და სპეციალურად მოაწყო ყველაფერი ისე, რომ „ნაცებსაც“ თვითონვე მიეცათ მათივე განადგურების შეუვალი მიზეზი და, ამასთანავე, საბოლოოდ გამომჟღავნებულიყო, ვინ არის „ნაციონალების“ სატელიტი და აგენტი ქართულ პოლიტიკაში.

თუკი ყველაფერი ასე განვითარდა, ეს საკითხები მართლაც ცხადი და ნათელი გახდება და „ნაციონალური მოძრაობის“, ამ ბოროტების მანქანის, საბოლოო და კანონიერი განადგურების მიზეზიც ხელთ ექნება დღევანდელ მთავრობას.

ლეგიტიმურია რიტორიკული კითხვაც: ღირდა კი საზოგადოების სამწლიან ტანჯვად ეს პროცესები და ხომ შეიძლებოდა, იმთავითვე ყველაფერი ხელის ერთ დაკვრით, სწრაფად და ეფექტიანად გაკეთებულიყო?

თუმცა **მთავარი ის არის, ამჯერად მაინც გამართლდეს მოლოდინი, რომ ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს ბოროტი ძალის ბოლომდე განადგურება და მანიაკებისთვის ერთხელ და სამუდამოდ იმ ადგილის მიჩენა, რომელსაც იმსახურებენ...**

**ბაკურ სვანიძე**

# ნიან.GE

ჩეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


# ამერიკული დემოკრატიის «ბოტასი» სააკაშვილს უჭერს

**ჯერ იყო და, 2012-ში, ახალმოგებული არჩევნების შემდეგ, დავით უსუფაშვილმა აგვაგდო ნამუსზე, — „ნაციონალური მოძრაობის" გადარჩენა ჩვენი მთავარი მისიაა, რადგან ამით ქართული დემოკრატია გადარჩებაო. მოგვიანებით, მისმა მეორე ნახევარმა უტიფრად შემოგვტენა, — კოაბიტაცია ქართველმა ხალხმა დაგვავალაო.**



მას შემდეგ, 3 წელიწადია, „ნაციონალური მოძრაობის" გადარჩენით არის დაკავებული ამ ქვეყანაში ყველა ადგილობრივი თუ უცხოელი „მოლიბერალო" პოლიტიკოსი და ამ მანიაკთა ბანდის არც გადარჩენას დაადგა საშველი და არც საბოლოო განადგურებას...

როგორც ჩანს, კუ და მორიელის იგავისა არ იყოს, „ნაციონალებმა", ცოტა სული რომ მოითქვეს და მოძლიერდნენ, თავისი „გადამრჩენი" პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი და სხვა „რესპუბლიკელები" ისე მწარედ დაგესლეს, რომ ბოლო ხანს, მათი ჭაჭანებაც კი აღარ არის „ნაციონალთა" და, შესაბამისად, ქართული დემოკრატიის „გადარჩენის" კუთხით...

სამაგიეროდ, „ნაცებს" სხვა „მაშველები" გამოუჩნდათ — **ირაკლი ალასანია, შალვა ნათელაშვილი, ირინა სარიშვილი.**

**ეს „სამი მუშკეტერი" უკვე ისეთი შემართებითა და მონდომებით იცავს „ნაციონალური მოძრაობისა" და მათი ჯიბის ტელევიზიის — „რუსთავი 2"-ის პოზიციებს, რომ, მგონი, მიშა სააკაშვილიც კი გაკვირვებულია, — ეს რა მაგარი „მაშველები" მყოლიაო?!**

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ასეთი „მაშველები" ანაზღაურებისა და დაფინანსების გარეშე არ გამოხტებიან ხოლმე... მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ ისინი ახლა სწორედ იმას შველიან, ვისაც უახლოეს წარსულში მონდომებით ლანძღავდნენ და „პოლიტიკურ მოუსავლეთში" გასტუმრებას ექადნებოდნენ...

ფული კი, ყველას მოგეხსენებათ, საიდანაც მოდის ხოლმე. აკი, თავის დროზე „რუსული ჩექმის" სანაცვლოდ ამერიკული „ბოტასი" სწორედ იმიტომაც შემოგვთავაზეს, აქაოდა, ის უფრო კომფორტულია, კარგად მორგებული და მოდურიცო.

**თუმცა ქართული საზოგადოების დიდმა ნაწილმა უკვე ნათლად დაინახა, რომ „ამერიკული დემოკრატიის „ბოტასმა" ზოგჯერ შეიძლება ისე „მოგიჭიროს" და ისეთი კოჟრები გაგიჩინოს, მასთან შედარებით ნებისმიერი „ჩექმა" სანატრელი გაგიხდეს...**

სხვათა შორის, უკვე ისეთი პირი უჩანს, მგონი, ამ ამერიკულმა „ბოტასმა" „ნომერი პირველი მედასავლეთეს" სტატუსით მოსარგებლე მიხეილ სააკაშვილსაც კი მოუჭირა, რადგან ხალხს ამ „ბოტასის" „დემოკრატიულობისა" უკვე ნაკლებად სჯერა.

სწორედ ამ ამბავს უნდა მივაწეროთ ამერიკის მხრიდან სააკაშვილისთვის „მაშველთა" შეთავაზება და უკვე სრული და უპირობო ლუსტრირება — ვინ ჰყავდათ გადანახული „ნაციონალთა" რეანიმაციის შემთხვევაში „სასწრაფო დახმარებად" ამერიკელებს.

ვნახოთ, შეძლებს თუ ვერა მიშა შეთავაზებული მაშველების დახმარებით „ამერიკული დემოკრატიის „ბოტასის" ისევ მორგებას...




# სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ფრაზები «რუსთავი 2»-ზე

**ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის გარშემო განვითარებულ მოვლენებს სხვადასხვა პროფესიის, სოციალური ფენისა და სფეროს წარმომადგენლები სხვადასხვანაირად გამოეხმაურნენ. ჩვენმა საიდუმლო კორესპონდენტმა შეძლო, ჩაეწერა ეს ფრაზები და ჩვენთან რედაქციაში მოეტანა. ამ ფრაზებს ექსკლუზიურად ვთავაზობთ მკითხველს:**

**მორიდებული ბიზნესმენი:** „უკაცრავად, ექვსი მილიონი მაქვს და ძალიან მინდა, თავისუფალი სიტყვა გადავარჩინო, ხომ ვერ მასწავლით, როგორ მოვიქცე?"

**გათავხედებული ნაციონალი:** „ამ ქვეყანაში ყველაზე ჰუმანურები და კეთილები ჩვენ ვართ. არ დავუშვებთ არავის უსამართლო დაჩაგვრას, ამიტომ მოგვეცით ეგ 6 მილიონი და ყველაფერი კარგად იქნება".

**გაზულუქებული „მეოცნებე":** „6 მილიონი? კი მაგრამ, ვის რა ჯანდაბად უნდა შენი 6 მილიონი?! ჩვენ 7 გვაქვს... ოღონდ მილიარდი! ფხხხუკ! ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰააა! ავტოგოლი, კიდევ ერთი ავტოგოლი, იოოო!"

**„დამოუკიდებელი" ტელევიზიის გააფთრებული გენერალური დირექტორი:** „გვხურავთ? აუ, ჩემი, ჯოჯოხეთს მოგიწყობთ, მიწას დაგიწვავთ, ჰაერში აგწევთ... აუ, 1 ლარი ხო არა გაქვთ? ბიჭებს სიგარეტის ფული აღარ დაგვრჩა და..."

**„მიჩმორებული" პრეზიდენტი":** „რა არის, იცით? ოჯახი დამაწვა კისერზე ძალიან, მატერიალურად მაგრად გამიჭირდა და ერთი ლარი ვერა, მაგრამ თბილ წინდებს მოგიქსოვთ ზამთრისთვის, თუ გინდათ..."

**„ორტრაკა" ყველაპარტიელი:** „ეს იმ კაცს გაუმარჯოს, 1 ლარს რომ „ობიექტივს" ჩაურიცხავს და 1 ლარს — „რუსთავი 2"-ს და ორივე ქვითარს შეინახავს, ვინ იცის, დრო მოვა და რომელი უფრო გამომადგებაო!"

**„საშუალო სტატისტიკური ქართველი":** „აუ, უკვე ამომივიდა ყელში! გაეთრიეთ აქედან ყველა! აეგრე! არ იცით ჯერ, ხალხის გაბრაზება რას ნიშნავს! აბა, აუდეთ აქედან იმანაც, იმანაც და იმანაც! დროზე! მოიცა, ჯერ, ხალხის ფული და ქონება რაც თქვლიფეთ, დააბრუნეთ უკან! მოიცა, ჯერ, ხალხს რაც მოატყუეთ, ის მოინანიეთ! მოიცა, ჯერ, რაც შეურაცხყოფა მიაყენეთ ხალხს და გატანჯეთ, ბოდიში მოიხადეთ! მოიცა... ჯერ ნუ მალვიძებ რა, დედა... აუუუუ, რა ყველაზე მაგარ მომენტში გამომაღვიძე... სულ ასე იცი რააა... უფფფ!"

# «რუსთავი 2» რევოლუციურ ცვლილებებს იწყებს

**ჩვენმა არც ისე სპეციალურმა კორესპონდენტმა სენსაციური ცნობა მოგვაწოდა: „ნაციონალური მოძრაობის" შტაბში შემუშავებული სპეციალური მითითებებით, დამოუკიდებელი ტელეკომპანია „რუსთავი 2" ეთერშიც და ეთერს გარეთაც საგანგებო ზომებს გამოიყენებს!**



„ნაციონალების" ბრძანებით, თავისუფალი სიტყვის ბაირახტარები აპირებენ, **რომან გოცირიძესა** და **შალვა ნათელაშვილს** პერსონალურად გამოუყონ ხალათი, „ნასკები" და ქოშები. ამის თაობაზე გადაცემა „არჩევანის" წამყვანმა გიორგი გაბუნიამ განაცხადა და მიზეზად მათი ხშირი სტუმრობა დაასახელა.

როგორც ცნობილია, ზემოთ ჩამოთვლილი ნივთების გარდა, ნათელაშვილსა და გოცირიძეს პირადი თეთრეული და ლეიბებიც გამოეყოფათ, რათა თავი უფრო კომფორტულად იგრძნონ.

გარდა ამისა, კიდევ ერთი გადაწყვეტილების შესახებ ხდება ცნობილი: ამიერიდან **ზაალ უდუმაშვილი** და **დიანა ჯოჯუა** შავებში ჩაცმულები წაიყვანენ „კურიერს" და, მისასალმებელი სიტყვის ნაცვლად, ქვეყანას დიდმართალ მიხეილს შეავედრებენ, თანაც სამჯერ დააკაკუნებენ ხეზე. გიორგი გაბუნია კი წვერს უფრო მოუშვებს და ასე იგლოვებს ქვეყნის ამაოებას.

**ეკა კვესიტაძე** განსხვავებულ აქცენტებს „კასინკის" ამარა წაიყვანს და გადაცემის წინ „მეხის დაყრის" წყევლას წაიკითხავს.

**დავით კიკალიშვილი** „პოსტკრიპტუმს" შავი სათვალითა და ტრადიციულად დადინჯებული ტონალობით გაუძღვება, სახეს კი უფრო მონდომებით დამანჭავს და თვალებს მაქსიმალურად მოჭუტავს.

**აკაკი გოგიჩაიშვილი** გადაცემა „ბიზნესკურიერს" წაიყვანს ზოლებიანი ხალათით, რომელზეც ციხეში გამომწყვდეული ლარის სიმბოლო იქნება გამოსახული.

**მაია ასათიანი** „პროფილს" დასაბანი თავითა და უმაკიაჟოდ გაუძღვება. მისი თქმით, როდესაც ქვეყანა ასეთ შავ დღეშია, არ აქვს უფლება, მაყურებელს მხიარულ ფერებში დაენახვოს.

**ნანუკა ჟორჟოლიანი** გადაცემას გარე მოვაჭრეებთან ერთად წაიყვანს და მათ პრობლემებს პირდაპირ დახლიდან გააშუქებს, გარდა ამისა, წაიკითხავს „მეხის დაცემის" წყევლას.

ცვლილებები შეეხება არხის **ლოგოსაც.** დიზაინერების კონცეფციით, მას შავ ლენტს დაუმატებენ, რაც, მათი თქმით, არსებულ რეალობას ასახავს.

იცვლება **„კურიერის" ქუდის გრაფიკა და მუსიკალური გაფორმება.** კერძოდ, გრაფიკულ გამოსახულებაში ფერადი კომპონენტების ნაცვლად წარმოდგენილი იქნება სამზარეულოს ცარიელი ინვენტარი, ცარიელი ქვაბები და ტაფები, ცარიელი საფულეები. ნაჩვენები იქნება პოლიტიკურად დევნილი ახალაიას, სააკაშვილის, უგულავასა და მერაბიშვილის სახემნათი გამომეტყველება.

იცვლება **არხის განაწესი.** ყველა თანამშრომელი სამსახურში მისვლისას ვალდებულია, წაიკითხოს მთავრობის გადაყენების წყევლა. ასევე, შესასვლელში დაიდება ბიძინა ივანიშვილის ფოტო და ყველა თანამშრომელი ძალაუნებურად ფეხს დაადგამს ყოფილი პრემიერის გულს.

**ნიკა გვარამიას** გადაწყვეტილებით, „რუსთავი 2"-ის ყველა თანამშრომელს ეკრძალება ჟარგონული სიტყვების — **„კაროჩე", „ვსიო", „სპასიბა"** და **„ხარაშო"**-ს წარმოთქმა, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება მათ პროდასავლურ მისწრაფებებს.

**ელიკო სილაძე**

SCREEN-SHOW

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიან.GE


"არ მინდა, დღევანდელ მთავრობას ვუმღერო!"
2015-10-01 12:01

## ნინა წკრიალაშვილი:
# არ მინდა, დღევანდელ მთავრობას ვუმღერო

**ეს ამბავი ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს მიერ შემოღებულ რუბრიკა „რეტრო-მედიაში“ წავიკითხეთ. ანუ, ეს მძიმე სისულელე ნაც-მომღერალ ნინა წკრიალაშვილს ამ დღეებში ნამდვილად არ უთქვამს, მაგრამ, როცა უნდა ეთქვა, ასეთი წარმოუდგენელი უაზრობის უყურადღებოდ დატოვება მაინც ვერ შევძელით!**

აი, ბატონო, „ნაციონალების“ რჩეული მომღერლების, პოეტების, მსახიობებისა და სხვა მიმართულების „ხელოვანთა“ აზროვნების დონე და კატეგორიები...

თურმე, მომღერალი ხალხს და საზოგადოებას კი არა, ამა თუ იმ მთავრობას უნდა უმღეროდეს!

პრინციპში, რა უნდა გაგვიკვირდეს?

„ნაციონალებს“ ხომ ყოველთვის „საკუთარი“ ჰყავდათ ყველა და ყველაფერი — მომღერლებიც, ექიმებიც, პოლიციაც კი...

პოლიცია, რომელიც მიშას იცავდა და არა მოქალაქეებს!

**როგორც ჩანს, ამ ადამიანების გონებრივი განვითარების დონე იქ არის ჩარჩენილი, სადაც არავითარი აზრი არ აქვს ახსნას, რატომ არ უნდა უმღეროს მოიმღერალმა არც ერთ მთავრობას...**

კარგით, ალბათ, ჯობს, შევეშვათ და ვაცალოთ — **დაე, დაელოდოს „გაბუტული“ მომღერალი ნინა იმ მთავრობას, რომელსაც მისი ბულბულისებრი სიმღერის მოსმენის ღირსად ჩათვლის!**


სესიაშვილი: "წინა ხელისუფლებას ათჯერ მეტი ნარუშილოვკა ჰქონდა გაცემული"...

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ე.წ. ნარუშილოვკების სკანდალს საპარლამენტო ტრიბუნიდან გამოეხმაურა და განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების დროს დარღვევის ბარათების გაცემის აღრიცხვაც კი არ ხდებოდა. სესიაშვილი ბოლო დღეების სკანდალის უკან პოლიტიკურ დაკვეთას ხედა

## ირაკლი სესიაშვილი:
# წინა ხელისუფლებას უფრო მეტი «ნარუშილოვკა» ჰქონდა გაცემული

**ეგრეა, ძმაო! მთავარი ის კი არ არის, არღვევ თუ არა კანონს, მთავარია, წინამორბედზე მეტად არღვევ თუ ნაკლებად. შენმა წინამორბედმა თუ, დავუშვათ, 50 კაცი მოკლა უსამართლოდ, შენ თავისუფლად შეგიძლია, ასე 30-35 გააგორო, რა პრობლემაა?! მერე გამოხვალ და იტყვი, წინამ 15-ით მეტი გააგორაო.**

კიდევ კარგი და, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ არსებული ხელისუფლების წარმომადგენლები ჯერ ასეთ მარაზმამდე არ მისულან და ადამიანების კვლა-წამება-გაუპატიურებაში არ ბაძავენ წინამორბედებს, მაგრამ, გარკვეული სიმახინჯეები და კანონდარღვევები რომ წინა ხელისუფლების „უფრო ცუდობით“ არც ისე იშვიათად „პრავდება“, ფაქტია.

**აგერ — „ნარუშილოვკების“ სკანდალი. თურმე ნუ იტყვით და, წინა ხელისუფლებას ათჯერ მეტი ჰქონია გაცემული, ვიდრე ამჟამინდელს.**

როგორც ჩანს, **ორივე მხარე ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული, — წინა ხელისუფლებას უფრო მეტი „ნაშა“ ჰყავდა თუ ახლანდელს; წინა ხელისუფლებამ უფრო მეტი ნათესავ-ძმაკაცი დაასაქმა თუ ახლანდელმა; წინა ხელისუფლებას უფრო მაგრად ეკიდა ხალხი თუ ახლანდელს; წინა ხელისუფლება უფრო „გულაობდა“ თუ ახლანდელი; წინა ხელისუფლება უფრო მაგრად მასტურბირებდა თუ ახლანდელი.**

აი, ასეთი საჭირბოროტო საკითხებია ჯერ გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი.

ამიტომ მოთმინებით აღვიჭურვოთ, გაგებით მოვეკიდოთ და ველოდოთ, როდის გაარკვევს უსაქმურების ორი ბანდა ურთიერთობას... აი, მერე იქნებ ჩვენთვისაც მოიცალოს რომელიმემ... თუმცა, არა! წინას რომ მორჩებიან, მერე ისიც ხომ საინტერესოა, აი, იმის წინა ხელისუფლებასთან შედარებით როგორ არის „ნაშების“ ბალანსი?!

## ნიკა გვარამია:
# მოსამართლე ურთმელიძის ფეხქვეშ მიწა აუცილებლად დაიწვება!


ნიკა გვარამია: მოსამართლე ურთმელიძის ფეხქვეშ მიწა აუცილებლად დაიწვება
16:38 01.10.2015
ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებით, მოსამართლე თამაზ ურთმელიძის ფეხქვეშ მიწა აუცილებლად დაიწვება. რადგან, მისი თქმით, შსს ტელეკომპანია „საქართველოს“ წლების დაყადაღების

**ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკაში წყევლა-ქოქოლის ერა ახალ სიმაღლეებს იპყრობს. „სულის ამოხდის“, „მოუსავლეთში“ გაგზავნისა და სხვა ასეთი „ბაბა-იაგობების“ შემდეგ, „დამოუკიდებელი“ ტელეკომპანიის ამჟამინდელმა გენდირექტორმა, „ნაცებზე“ უპირობოდ ჩამოკიდებულმა ყოფილმა პროკურორმა, არც მეტი არც ნაკლები, მოსამართლე დაწყევლა.**

ვერ გეტყვით, გვარამია რომელიმე თანამედროვე ტექნოლოგიით თუ არ აპირებს მოსამართლე ურთმელიძის ფეხქვეშ მიწისთვის ცეცხლის წაკიდებას, მაგრამ, თუ ბატონი დირექტორი მოსამართლის დასჯას ზებუნებრივ ძალებს შესთხოვს, მაშინ, იძულებულნი ვიქნებით, რაღაც-რაღაცები შევახსენოთ.

მაგალითად, **რომც დავუშვათ, თითქოს ეს ანტიტელევიზია „რუსთავი 2“ რამეში მართალია და ამიტომ მის ქონებაზე ყადაღის დადების გამო მოსამართლე ურთმელიძეს ზეძალებისგან სასჯელად „ფეხქვეშ მიწის დაწვა“ ელის, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩაცვივდებიან ის მოსამართლეები, რომლებმაც ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფნის 9 წლის განმავლობაში ათიათასობით ადამიანი შეთითხნილი ბრალდებებით გაისტუმრეს ციხეებში? წარმოიდგინეთ, რა დღე ელით იმ „ნაცმოსამართლეებს“, რომლებმაც სრულიად უდანაშაულო ბიზნესმენებისთვის ქონების ჩამორთმევის, მათი დაპატიმრების ან ქუჩაში დახვრეტილი უდანაშაულო ადამიანების მკვლელთა არდასჯის გადაწყვეტილებები მიიღეს?**

ასე რომ, თუ კარგად დაფიქრდება, ნიკა გვარამიას ნამდვილად არ უნდა აძლევდეს ხელს ზებუნებრივი ძალების ასეთი სიმკაცრე და დაუნდობლობა...

ბოლოს და ბოლოს, თუკი მისი „ვედრება ზეცამ შეისმინა“ და მჩაგვრელებისთვის ფეხქვეშ მიწის დაწვის გადაწყვეტილება მიიღო, არც თვითონ ნაპროკურორალ გვარამიას უნდა დარჩეს მთლად გრილად ფეხისგულები!..

## გიგა ბოკერია:
# საზოგადოება შეთანხმებული ვართ, რომ ბიძინა უნდა წავიდეს!


გიგა ბოკერია: საზოგადოება შეთანხმებული ვართ, რომ ბიძინა უნდა წავიდეს
საქართველო, თბილისი - 20:43 10.05.2015
851
საზოგადოება შეთანხმებული ვართ, რომ ბიძინა უნდა წავიდეს, - განაცხადა გიგა ბოკერიამ ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან გამართულ აქციაზე. ბოკერიას თქმით, ივანიშვილს პოლიტიკური განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს.

**მოკლედ, მაგარი „განტევების ვაცი ვყავართ ხოლმე ამ პოლიტიკოსებს! ჩაიფიქრებენ, მოინდომებენ ან, სულაც, გააკეთებენ რაღაც სისულელეს და გვაბრალებენ მერე ჩვენ — ხალხსა და საზოგადოებას.**

მიდი და უმტკიცე, რომ ჩვენთვის არც არავის არაფერი უკითხავს, არც არავინ არაფერზე შეგვთანხმებია და, მით უმეტეს — არავისთვის არაფერი დაგვივალებია!

დიახ, არ გახსოვთ, ამას წინათ ჩვენმა დიდმა სარდალმა **თინა ხიდაშელმა** სრულიად უტიფრად რომ განაცხადა, კოჰაბიატაცია ქართველმა ხალხმა დაგვავალაო?

ამოდენა „ქართველ ხალხში“ ერთი ადამიანიც კი ვერ მოიძებნა, რომელიც იტყოდა და აღიარებდა, — კი, კაცო, მე, პირადად დავავალე თინას კოჰაბიტაცია და ის ჩემს დავალებებს ასრულებს, რა ჰქნას, თვითონ არ უნდა, მაგრამ ჩემს დავალებულს ხომ ვერ გადაუხვევსო?!

დაახლოებით ასეა **გიგა ბოკერიას** საქმე! რომელ „საზოგადოებას“ შეუთანხმდა, რომ „ბიძინა უნდა წავიდეს“, სად და რა ვითარებაში, კაციშვილმა ვერ დაადგინა.

**კაი, ჯანდაბას, რომც აღიაროს საზოგადოებამ, ბოკერიასთან შეთანხმებით, ბიძინას წასვლა მსურსო, ძალიან საინტერესოა, ნეტავ, იმაზე თუ არის გიგა საზოგადოებასთან შეთანხმებული, ივანიშვილი რომ წავა, მერე ვინ უნდა მოვიდეს?**

**ოპენჰეიმერმა, ნილს ბორმა, ჯეიმს კონანტმა, გენერალმა გროვსმა და „დიუპონ დე ნემურ ენდ კ“-ის დირექტორებმა მიაღწიეს იმას, რომ 1945 წლის იანვარში უკვე ხელთ ჰქონდათ ურან-225-ის საჭირო რაოდენობა. ერთად შეგროვილი ღამის ქოთანშიც კი ჩაეტეოდა და, რა სამწუხაროა, რომ არავის მოუვიდა აზრად, იგი სწორედ იქ მოეთავსებინა. პირველ ბომბს „გალეული“ შეარქვეს. 1945 წლის 6 აგვისტოს მან გადაწვა ჰიროსიმა.**

ნახევარდაშლის პერიოდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

**აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.**

**სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.**

**ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.**

**აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაიღუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.**

**სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.**

**სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.**

**წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.**

**კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-35 (315-317)

— იცით რა, კლოდ, ყველას არ სიამოვნებს აღიაროს, რომ სისულელე ჩაიდინა. კარგად იცით, რომანტიკოსი არა ვარ. მთელი წელი გავატარე ფრანტირიერებთან ერთად მაკებში; სულაც არ ვწირავდით თავს მომავალი სამოთხისათვის. მე მზვერავი ვარ — ეს ჩემი პროფესიაა. მე ლოცვებზე უფრო კარგად ჩავიბეჭდე ტვინში: ლოიდ, შენი ამოცანაა თვალყური ადევნო და შეკრიბო ფაქტები და არა ანალიზი გაუკეთო მათ... ანალიზს გენერლები აკეთებენ... მაგრამ ეს ხომ სასაცილოა — ხედავდე და არც ხედავდე. ხედავდე რაღაც საცოდავი ლაბორატორიის სინჯარებს და ბოშების დანადგარებს; დანადგარებს, რომელთა ქონასაც შტატებში ნებისმიერი კოლეჯი იუკადრისებდა, და ვერ ხედავდე, რომ მათი დახმარებით მხოლოდ ბავშვის შესაშინებელი იარაღის დამზადება შეიძლება და არა ბომბის. ფიზიკაში ძლიერი არ ვარ, მაგრამ რაც ხდებოდა, ანეკდოტს ჰგავდა ან აფერას, ან, ეშმაკმა იცის, კიდევ რას!.. არ მომიყოლია, წყალს როგორ ვსინჯავდით? ეს ნებისმიერ სატელევიზიო კომედიაზე უფრო სასაცილოა. ორმოცდაოთხში „ალსოსში“ მოვიდა კაპიტანი ბლეკი. რობერტ ბლეკი, შესანიშნავი ბიჭი, სიმამაცის ჩემპიონი იყო. პაშმა უბრძანა, რადაც უნდა დაჯდომოდა, რეინიდან ამოეღო წყალი. რეინის წყალი? ო'კეი! თქვა: ო'კეი და მან მოიტანა წყალი. პაში და მე მეგობრები ვიყავით, ვკითხე, რაში გვჭირდებოდა ეს ყვითელი, ნარეცხისსუნიანი წყალი. იცი რა, თქვა პაშმა, თუ ბოშებს ატომური ბომბის დასამზადებელი საწარმო აქვთ, მაშინ ურანის ქვაბის გასაცივებლად მათ წყალი დასჭირდებათ. ბევრი წყალი. მთელი მდინარე. ვკითხე: რეინი? პაშმა მიპასუხა: რატომაც არა?.. როგორც ხედავ, კლოდ, ყველაფერი საკმაოდ სერიოზული იყო. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ რეინის წყალში რადიოაქტიური შენარევები იქნებოდა და „ალსონი“ მიაგნებდა ატომური ქარხნების კვალს. ბლეკმა ორი ბოთლი მოიტანა. პაშმა დალუქა ისინი და ვაშინგტონში გააგზავნა, ხოლო ფიზიკოსებისათვის, ანალიზის კეთებისას რომ არ მოეწყინათ, ერთი პინტა ჩინებული „რუსილიონი“ დაუმატა და ეტიკეტზე დააწერა: „ესეც გასინჯეთ რადიოაქტიურობაზე“. სასაცილოა არა, კლოდ? მაგრამ შემდეგ რა მოჰყვა ამას? **ორი კვირა ვაშინგტონიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, ხოლო მესამე კვირას არქისაიდუმლო რადიოგრამა მოვიდა: „წყალი უარყოფითია. ღვინოში აღმოჩნდა რადიოაქტიური ნივთიერება. კიდევ გამოგზავნეთ. იმოქმედეთ“. ბლეკი კითხვისას ლამის მოკვდა სიცილისაგან. ფიზიკოსები გონებამახვილი ბიჭები გვეგონა და ძალიან ვაქებდით მათ, სანამ ახალი რადიოგრამებიდან ნათელი არ გახდა, რომ ვაშინგტონში მართლა შეამოწმეს ღვინის რადიოაქტიურობა, იმის ნაცვლად, რომ დაელიათ, და დადებითი შედეგი მიიღეს.** ეშმაკმა დალახვროს, მათ ყველგან ატომები ელანდებოდათ. ღამეები არ ეძინათ, რათა დაემტკიცებინათ ჩვენთვის, — გესმის, კლოდ ჩვენთვის! — რომ ბომბი ბოშებს აქვთ, ჩვენ კი ვზარმაცობთ და წესიერად არ ვეძებთ... გერმანელებს ბომბი არ ჰქონდათ, ჩვენ გვქონდა. და ჩვენ ჩამოვაგდეთ კიდეც. რისთვის? შენ ხომ მონაწილეობდი ამაში, კლოდ, მითხარი: რისთვის?..

ბრემენში ასტორს, როგორც იქნა, გაუღიმა ბედმა: თითქმის სრულიად შემთხვევით გადააწყდა ვილაც ფიზიკოსს, მოიტაცა იგი და შტატებში გადაგზავნა. აქ ფიზიკოსი სამუშაოდ პოლკოვნიკმა პაშმა აიყვანა. მაგრამ ფიზიკოსი ირწმუნებოდა, რომ მკერავი იყო და გამომძიებლები თავისი უდრეკობით აღტაცებაში მოიყვანა. პაშმა უკანასკნელი ხერხი იხმარა: ფიზიკოსს ნემსი, ძაფი და ტილოს ნაჭერი მისცა; მეორე დილით გერმანელმა საკუთარი ხელით შეკერილი პერანგი ჩააბარა.

გერმანელის ფათერაკების მიზეზი მისი გვარი იყო. მას ერქვა ჰენრიხ იორდანი. ასტორმა იგი ფიზიკოს-თეორეტიკოს პასკუალ იორდანში, სახელგანთქმული მაქს ბორნის მოწაფეში აურია.

ეს დომხალი ასტორს ძვირად დაუჯდა. ორმოცდაშვიდში ციხეში აღმოჩნდა: გამოძიების ფედერალური ბიუროს ტვინიკოსებმა იგი იმაში დაადანაშაულეს, რომ მან ბოროტი განზრახვით შეიყვანა პაში შეცდომაში და ამით ხელი შეუწყო ნამდვილ იორდანს მიმალულიყო.

ცალკე საკანში ასტორი ჭკუიდან შეიშალა.

ახლა ყველაფერი, რაც ატომს ეხება, მასში გაშმაგებას იწვევს. ასეთ წუთებში მას ვერ გააკავებ.

ასტორი, თოკმობმული ხარივით, უკან მიჰყვება სანიტარს, თან ნახევრად ჩაჩაჩულ ქვედა საცვალს მიათრევს. ორივენი პალატაში შედიან, მე კი მივაღწიე ტელევიზორამდე და, როგორც იქნა, ჩამოვჯექი თავისუფალ სკამზე.

ეს ფილმი უკვე ნანახი მქონდა. არ მომწონდა იგი. ბერნსტაინი აღტაცებით მიშტერებოდა ეკრანს და ნანახს საშინლად განიცდიდა. ის მოხიბლა ატომური ბომბის მამათა ფანტასტიკურმა გმირობებმა, მათმა ჭაღარამ, ჩინებულმა მანერებმა და შეუპოვრობამ.

სინამდვილეში „მამები“ ცოტა სხვანაირად გამოიყურებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, იმ დროისთვის, როდესაც ზოგიერთ მათგანს ვიცნობდი. და, საერთოდაც, ბომბის შექმნა არ ყოფილა ისეთი საოცრად სენსაციური რამ, როგორც ეს ფილმში იყო ნაჩვენები. უფრო გვიან გავიგეთ, როგორი იყო იგი. ყველაფერი უფრო სადა, უბრალო, მოსაწყენი და ტრაგიკული იყო.



ბომბი, რომელმაც გაანადგურა ჰიროსიმა

**ბომბს სამ ადგილას აკეთებდნენ: ლოს-ალამოსში, ოკრიჯსა და ჰენდფორდში. ლოს-ალამოსი ტვინი იყო; ოკრიჯი — ხელები; ომის დროს მას „საძაღლეს“ ვუწოდებდით, ხოლო სამთავრობო ანგარიშებს — „X“ ობიექტს.**

**აქ, ოკრიჯში, მოქმედებდა დიფუზური დანადგარი „კ-25“, რომელიც „მ.უ. კელოგ კომპანის“ მონათესავე კორპორაცია „კელექსის“ მიერ იყო აგებული. ამ დანადგარის დასამზადებლად მუშაობდა სამოცდათხუთმეტი ათასი ადამიანი. აქ, ექვსას აკრ ყოფილ საძოვრებზე, სიკვდილს ამზადებდნენ.**

ჰენდფორდს საერთო სქემაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა, ფორმალურად სახელმწიფოს მიერ იყო ნაყიდი, სინამდვილეში კი დიუპონს ეკუთვნოდა — მთელი 200 000 ჰექტარი. დიუპონის კონსტრუქტორები პროექტს ადგენდნენ, ხოლო ინჟინრები და მუშები ამონტაჟებდნენ რეაქტორებს წყლის გამაცივებლით. ამ რეაქტორებმა სამხედროებისათვის აუცილებელ, ნეიტრონებით დასხივებულ ურანთან ერთად საბოლოოდ მილიონების საკმაოდ დიდი რაოდენობა მისცა დიუპონს, რომელმაც იგი „შემოსავლის“ მუხლში შეიტანა.

**ოპენჰეიმერმა, ნილს ბორმა, ჯეიმს კონანტმა, გენერალმა გროვსმა და „დიუპონ დე ნემურ ენდ კ“-ის დირექტორებმა მიაღწიეს იმას, რომ 1945 წლის იანვარში უკვე ხელთ ჰქონდათ ურან-225-ის საჭირო რაოდენობა. ერთად შეგროვილი ღამის ქოთანშიც კი ჩაეტეოდა და, რა სამწუხაროა, რომ არავის მოუვიდა აზრად, იგი სწორედ იქ მოეთავსებინა.**

**პირველ ბომბს „გალეული“ შეარქვეს.**

**1945 წლის 6 აგვისტოს მან გადაწვა ჰიროსიმა.**

ალბერტ აინშტაინმა, ჯეიმს ფრანკმა, ლეო სცილარდმა, ოტო განმა და ბიოქიმიკოსმა რაბინოვიჩმა გააფრთხილეს ტრუმენი, რომ იგი უდიდეს საზიზღრობას სჩადის. ტრუმენმა არაფრად ჩააგდო ფიზიკოსები. მათმა ნობელის პრემიებმა ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს მასზე. ოტო განი ლამის ჭკუიდან შეიშალა. დოქტორ ბაგეს დღიურში 7 აგვისტოს ჩაწერილი აქვს: „საწყალი პროფესორი განი! ის მოგვიყვა, რომ, როდესაც პირველად მიხვდა, რა საშინელი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ბირთვის გახლეჩას, რამდენიმე ღამე ძილი გაუტყდა, თან სულ თვითმკვლელობაზე ფიქრობდა. ისიც კი მოუვიდა აზრად, ეს ურანი ზღვაში გადაეყარა და ამით თავიდან აეცილებინა კატასტროფის საშიშროება... ღამის ორ საათზე დააკაკუნეს, შემოვიდა პროფესორი **ფონ ლაუე.** „რაღაც უნდა ვიღონოთ, — თქვა მან, — ძალიან მეშინია ოტო განის გამო. ამ ახალმა ამბებმა მას თავზარი დასცა, მეშინია უარესი არ დაემართოს“. არც ერთი ჩვენგანი არ დაწოლილა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავრწმუნდით, რომ განმა დაიძინა, ყველანი ჩვენ-ჩვენი საწოლებისაკენ გავეშურეთ“.

**განს ეძინა, ჩვენ კი ტინიანში აეროდრომზე ვამზადებდით თვითმფრინავს, რომელმაც ნაგასაკიზე ბომბი ჩამოაგდო.**

**ის უფრო ძლიერი იყო; მას „ბლენძს“ ეძახდნენ ალამოგორდოში გამოცდილის მოსაგონებლად.**

ლუსიმ ერთხელ მკითხა:

— მამიკო, მათ ხომ შეეძლოთ, ჩამოეგდეთ?

აქამდე, თითქმის ერთი კვირა, აირინს შეუჩნდა ამავე კითხვით.

— არ ვიცი, — ვუპასუხე მე. მე მართლაც არ ვიცი.

**როდესაც „ენოლა გეი“ ჰიროსიმას თავზე დასტრიალებდა, ცაში არ ჩანდნენ იაპონური გამანადგურებლები. უფრო გვიან მომიყვნენ, რომ მათ აფრენა არ შეეძლოთ საწვავის უქონლობის გამო. ალბათ, ასეც იყო. პროფესორი ნიშინა, ტოკიოს აეროდრომ ტოკარაზავაში მთელი დღე-ღამის განმავლობაში ელოდებოდა, სანამ რაღაც ორას ლიტრამდე საწვავის ძლივძლივობით მოგროვებას შეძლებდნენ, რათა იგი ჰიროსიმაში ჩაეყვანათ. იაპონიაში ნიშინა ერთადერთი ავტორიტეტი იყო, ვისაც შეეძლო დაედასტურებინა ან უარეყო გენშტაბის მიერ მიღებული პატაკი: „ქალაქი ჰიროსიმა წამში მთლიანად განადგურდა ერთი ბომბით“.**

დეპეშის კითხვისას ნიშინა ტიროდა.

ეს მოხდა 7 აგვისტოს.

იმ დღეს მე და „ენოლა გეის“ რადისტი ჯო გონების დაკარგვამდე დავთვერით აეროდრომის ბარში...

**(გაგრძელება იქნება)**

**ბომბს სამ ადგილას აკეთებდნენ: ლოს-ალამოსში, ოკრიჯსა და ჰენდფორდში. ლოს-ალამოსი ტვინი იყო; ოკრიჯი — ხელები; ომის დროს მას «საძაღლეს» ვუწოდებდით, ხოლო სამთავრობო ანგარიშებს — «X» ობიექტს. აქ, ოკრიჯში, მოქმედებდა დიფუზური დანადგარი «კ-25», რომელიც «მ.უ. კელოგ კომპანის» მონათესავე კორპორაცია «კელექსის» მიერ იყო აგებული. ამ დანადგარის დასამზადებლად მუშაობდა სამოცდათხუთმეტი ათასი ადამიანი. აქ, ექვსას აკრ ყოფილ საძოვრებზე, სიკვდილს ამზადებდნენ**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციისა და პირდაპირ არჩევნებზე გადასვლის მოთხოვნები სულ უფრო ხმამაღლა გაისმის.**

# დოლარის გაჭირვება

**შესაძლოა, ვინმეს წარმოუდგენლად მოეჩვენოს, მაგრამ აშშ-ში პირდაპირ თვალსა და ხელს შუა ხდება პოლიტიკური რევოლუცია.**
**ამერიკის ორივე სისტემაშემქმნელ პარტიაში, დემოკრატიულშიც და რესპუბლიკურშიც, მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ კანდიდატები, რომლებიც არა მხოლოდ მოკლებულნი არიან პარტიის ბოსების მხარდაჭერას, არამედ უპირისპირდებიან კიდეც მათ.**




რესპუბლიკელების მხრიდან ეს არის დონალდ ტრამპი, პოპულარობით ყველაზე წინ მდგომი მილიარდერი, რომელიც „მარჯვნიდან რევოლუციას“ ქადაგებს; დემოკრატების ბანაკიდან კი — ბერნი სანდერსი, რომელიც სწრაფად ეწევა ჰილარი კლინტონს და „მარცხნიდან რევოლუციას“ ქადაგებს. ორივე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ისტებლიშმენტს და გადამწყვეტ ცვლილებებს მოითხოვს ამერიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ერთმანეთისგან მცირედ განსხვავებული ამერიკის წამყვანი პარტიები თვალსა და ხელს შუა ხდებიან ევროპული და, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოსთვის დამახასიათებელი კლასიკური მემარჯვენე-მემარცხენე დაპირისპირების მონაწილენი.

რაც ახლა ხდება, გარკვეულწილად შეიძლება შევადაროთ დემოკრატებისა და რესპუბლიკელების მიერ როლების გაცვლას 1952 წელს ხელისუფლებაში დუაიტ ეიზენჰაუერის მოსვლის შემდეგ. მანამდე ამერიკის ისტორიაში ლიბერალური შეხედულებები, კერძოდ, რასობრივი სეგრეგაციის მიმართ, უფრო მეტად რესპუბლიკელებისთვის იყო დამახასიათებელი, დემოკრატები კი დიდი კონსერვატიულობით გამოირჩეოდნენ.

მიუხედავად ამისა, როდესაც სახელგანთქმულმა გენერალმა გადაწყვიტა, ქვეყანაში უძველესი რესპუბლიკური პარტიიდან ეყარა კენჭი, პარტიამ მასთან, როგორც საპრეზიდენტო მარათონის ფავორიტთან, ერთად შეიძინა მისი კონსერვატიული შეხედულებებიც და თავისი ლიბერალური წარსული დემოკრატებს გადაულოცა. ეიზენჰაუერის დროიდან ამგვარი იდენტიფიკაცია ამ დრომდე შენარჩუნდა, მაგრამ მაშინდელი ინვერსია მხოლოდ მოკლე როქი იყო და ადასტურებდა ამერიკელ პოლიტიკოსებში ნათელი იდეოლოგიის არარსებობას, თუმცა არ ეხებოდა სისტემის საფუძვლებს. ახლა ეს უკვე შესაძლოა დიდი როქი იყოს მთელი სახელმწიფო მექანიზმისათვის შორს მიმავალი შედეგებით. ორ პროცესს შორის საერთო ისაა, რომ მაშინაც და ახლაც პოლიტიკური ცვლილებები „ზემოდან“ დაიწყო. მთავარი განსხვავება კი ისაა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელების ეპოქაში ხალხი აღარ არის უბრალო სტატისტი და შეუძლია, განსაზღვროს დასახული ტრანსფორმაციის ხასიათი უფრო მეტი ხარისხით, ვიდრე ექვს ათეულზე მეტი წლის წინათ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობაში რადიკალური ცვლილებებისადმი ამერიკელთა წყურვილი სხვა არაფერია, თუ არა ვაშინგტონის მიერ გაშვებული „ფერადი რევოლუციების“ (ცხელი „არაბული გაზაფხული“, ცივი „ევროპული შემოდგომა“ და ა. შ.) ბუმერანგივით უკან დაბრუნება. აშშ-ის მიერ მსოფლიო ლიდერობის შენარჩუნების მიზნით ინიცირებული ეს ძვრები, რომლებიც თავისუფლებასა და დემოკრატიაზე მაღალფარდოვანი მსჯელობით ინილბება, ეხება არა მხოლოდ მათ ცნობიერებას, ვისკენაცაა მიმართული, არამედ საკუთარი მოსახლეობისასაც. ამერიკელები იწყებენ ფიქრს იმაზე, შეესაბამება კი თავად აშშ იმ მოთხოვნებს, რომელთაც სხვებს უყენებს? ხომ არ დადგა „სეკვოიას რევოლუციის“ ან ქარიანი „ამერიკული ზამთრის“ დრო?

დოლარის კურსისა და ფულად მაჩვენებლებში სამრეწველო წარმოების ზრდის, ასევე, ნავთობის დაბალი ფასების ფონზე ამგვარი განწყობა აშშ-ში რეალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით ნაკლებად გამყარებულად გამოიყურება. რა საჭიროა ცვლილებებისკენ სწრაფვა, თუკი ასეც ყველაფერი კარგადაა?!

ყველაფერი ასე მარტივად არ არის. დოლარის კურსის ზრდა დიდწილად სპეკულაციური ხასიათისაა, არ მყარდება არც შრომის წარმადობის ზრდით, არც მწარმოებლების შემოსავლების ზრდით. მის ეფექტს მხოლოდ ფინანსური ბაზრის მსხვილი საქმოსნები გრძნობენ. ამერიკული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა სწრაფად ეცემა.

2014 წლის განმავლობაში დოლარი აშშ-ის საკვანძო სავაჭრო პარტნიორების ვალუტებთან შედარებით 16%-ით გამყარდა და გამყარება განაგრძო 2015-შიც. გასაკვირი არაა, რომ ამგვარი დინამიკა აშფოთებს იმ ამერიკულ კომპანიებს, რომლებიც ექსპორტზე არიან ორიენტირებულნი. საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენური საშუალებების მსოფლიოში უმსხვილესი ამერიკული მწარმოებელი Procter & Gamble Co. (P&G) იძულებული გახდა, სავალუტო ბაზარზე „უპრეცენდენტო“ ზეწოლის გამო გამოეცხადებინა შემოსავლების 31%-იანი შემცირება. S&P500-დან ამერიკის უმსხვილესი კომპანიების შემოსავლები დოლარის გამყარების გამო 46%-ით შემცირდა. Pfizer-ითა და McDonalds-ით დაწყებული და DuPont-ითა და Microsoft-ით დამთავრებული ყველას დიდი ფულის გადახდა მოუხდა მყარი დოლარის გამო. Apple-მაც კი, რომელიც აქტიურად აზღვევს სავალუტო რისკებს, ვერ აარიდა თავი სირთულეებს. კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ტიმ კუკმა საანგარიშო კონფერენციაზე მიანიშნა, რომ „სავალუტო კურსების გაზრდილი არასტაბილურობის“ გამო მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები ნეგატიურად აისახება კომპანიის მოღვაწეობაზე.

აშშ-ის ეკონომიკის აღდგენა, შესაძლოა, სწრაფად დასრულდეს, რადგან მზარდი დოლარი კლავს ამერიკულ ექსპორტს, იზრდება საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი. ენერგომატარებლებზე მსოფლიოში დაბალი ფასების გამო კრახის პირას აღმოჩნდა ამერიკული „ფიქლური რევოლუციაც“. მასში ჩართული კომპანიები დაბალი შემოსავლების გამო კრედიტების გადახდისუნარიანობას კარგავენ, აჩერებენ ათასობით ჭაბურღილს, ათავისუფლებენ თანამშრომლებს. შედარებითი კეთილდღეობა, შესაძლოა, ახალი საპნის ბუშტის გასკდომით შეიცვალოს. ხალხს ეს მშვენივრად ესმის.

და მაინც, ამერიკელების საპროტესტო განწყობის ზრდა განპირობებულია არა იმდენად მათი ცხოვრების დონის მოსალოდნელი შემცირების შიშით, რამდენადაც წარმოდგენების შეცვლით იმაზე, როგორ უპასუხებს XXI საუკუნის მოთხოვნებს ამერიკული საზოგადოების ორგანიზაცია. თავად არაპირდაპირი არჩევნების არქაული სისტემა, ამოსარჩევების პარტიული ნომენკლატურის ხელთ არსებული განსაკუთრებული კვოტებით, წინასწარი წარდგინების სისტემასთან ერთად, კანდიდატების აბსოლუტური გაუმჭვირვალობით წარდგენა, „დიდი ფულის“ უზენაესობა და ამომრჩევლების გონების დასაბინდად ყველანაირი ტრიუკის გამოყენება სულ უფრო ძლიერი გამღიზიანებელი ხდება. აბსურდულად გამოიყურება მდგომარეობა, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი შეიძლება არჩეულ იქნეს ხმათა უმცირესობით, ან, უბრალოდ, დელეგირებულ იქნეს პარტიის მიერ ყოველგვარი არჩევნების გარეშე, როგორც ჯერალდ ფორდი. ექვგარეშეა, რომ **ამერიკის პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციისა და პირდაპირ არჩევნებზე გადასვლის მოთხოვნები სულ უფრო ხმამაღლა გაისმის.**

ბერნი სანდერსი ამბობს, რომ აშშ ევროპასა და სკანდინავიას უნდა ჰგავდეს. მას ადარდებს „ამერიკული დემოკრატიის მომავალი, რომელიც მილიარდერთა ბრძოლა ხდება და არა თითოეული ამერიკელის საზღუნავი“. „ჩვენ ამ ქვეყანაში გვჭირდება პოლიტიკური რევოლუცია მილიონობით ადამიანისა, რომლებიც მზად არიან, თქვან: „საკმარისია!“. მე მინდა, დავეხმარო მათ ამაში“.

დონალდ ტრამპი ამერიკელებს არ მოუწოდებს, მაგალითი აიღონ ევროპისგან, მაგრამ ისიც საუბრობს ხელისუფლებისა და ხალხის პირდაპირ დიალოგზე, „მიწებებული“ შუამავლების ჩარევის გარეშე. ამაში სანდერსი და ტრამპი ერთმანეთს ჰგვანან. ქარიზმატული წარმომადგენლები იმ შეხედულებებისა, რომელთაც ქადაგებენ, როგორც წარმომავლობით, ცხოვრებისეული გამოცდილებით, ასევე გარეგნულად სანდერსი და ტრამპი იდეალური ლოკომოტივები არიან ამერიკული პოლიტიკური სისტემის „მემარჯვენე-მემარცხენე“ შკალის მიხედვით გარდაქმნისთვის.

ცხადია, არც „კონტრრევოლუცია“ თვლემს. როგორც ჩანს, ჩვენ თვალწინ ხდება მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს ღრმა ტრანსფორმაცია. ბოლოს და ბოლოს, მისი რიგიც დადგა. რამდენად სწრაფად განვითარდება ეს პროცესები, მომავალი გვიჩვენებს.

fondsk.ru

**ამერიკელების საპროტესტო განწყობის ზრდა განპირობებულია არა იმდენად მათი ცხოვრების დონის მოსალოდნელი შემცირების შიშით, რამდენადაც წარმოდგენების შეცვლით იმაზე, როგორ უპასუხებს XXI საუკუნის მოთხოვნებს ამერიკული საზოგადოების ორგანიზაცია**

**საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობაში რადიკალური ცვლილებებისადმი ამერიკელთა წყურვილი სხვა არაფერია, თუ არა ვაშინგტონის მიერ გაშვებული «ფერადი რევოლუციების» (ცხელი «არაბული გაზაფხული», ცივი «ევროპული შემოდგომა» და ა. შ.) ბუმერანგივით უკან დაბრუნება**

მოკლედ

## ნეთანიაჰუს «დამაყრუებელი სიჩუმე»

**„ექვსი მილიონი ებრაელის მკვლელობიდან 70 წლის შემდეგ ირანის მმართველები პირობას დებენ, რომ გაანადგურებენ ჩემს ქვეყანას, დახოცავენ ჩემს ხალხს და ამ ორგანიზაციის პასუხი, თითქმის ყველა აქ წარმოდგენილი ქვეყნის პასუხი არის სრული სიჩუმე! დამაყრუებელი სიჩუმე!“,** — განაცხადა ისრაელის პრემიერმინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე და მკვეთრად გააკრიტიკა ირანთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც ბირთვული იარაღის პროგრამის შეჩერებას ეხება. „ირანის მმართველები თქვენი ქვეყნის გასანადგურებლად რომ მუშაობდნენ, ამ შეთანხმებას, ალბათ, ნაკლები ენთუზიაზმით შეხვდებოდით. ირანის ტერორისტულ ორგანიზაციებს თქვენი ქალაქებისთვის რომ დაეშინა ათასობით რაკეტა, ალბათ, უფრო ზომიერად შეაფასებდით ამას და ამ შეთანხმებას თქვენს რეგიონში რომ გამოეწვია შეჯიბრი ბირთვულ შეიარაღებაში, ალბათ, თავს შეიკავებდით აღნიშვნისგან“, — დასძინა მან.



**ამდენი ხმაურის გამომწვევი სისტემის წინააღმდეგ მეამბოხე ბერნი სანდერსი მართლაც არასტანდარტული პიროვნებაა და, წინააღმდეგობრივიც. იგი პრეზიდენტობის ერთ-ერთ ყველაზე ღატაკ კანდიდატად ითვლება. 2013 წლის ანგარიშის თანახმად, მისი პირადი ქონება 330 500 დოლარს შეადგენდა. დაიბადა ბრუკლინში, ელი სანდერსის — პოლონელი ებრაელი იმიგრანტის ოჯახში.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბუნტი აშშ-ის დემოკრატიული პარტიის რიგებში: ბერნი სანდერსი ჰილარი კლინტონს ავიწროებს

**მართალია, დემოკრატიული პარტიდან პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის კვლავაც ჰილარი კლინტონი ლიდერობს, მაგრამ შესაძლოა, აქაც სენსაცია მოხდეს. პარტიული მწვერვალისა და მის მიერ წამოყენებული კანდიდატების წინააღმდეგ ბუნტი უკვე მოხდა რესპუბლიკურ პარტიაში, სადაც „არასისტემური“ დონალდ ტრამპი ლიდერობს. ახლა კი ამ ბუნტმა თვალსა და ხელს შუა გადაინაცვლა დემოკრატებში.**




მიმდინარე საპრეზიდენტო კამპანიის აბსოლუტურმა ფავორიტმა კლინტონმა, რომელზეც სულ ცოტა ხნის წინათ ისე საუბრობდნენ, როგორც თეთრი სახლის უკვე გარანტირებულ მომავალ მეთაურზე, გამოკითხვების თანახმად, ივლისიდან ხმათა 21% დაკარგა თანაპარტიელთა შორის და 42%-მდე ჩამოვიდა. პოლიტიკოსი, რომელმაც მოულოდნელად ესროლა გამოწვევა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის მეუღლეს, არის 73 წლის სენატორი ვერმონტის შტატიდან ბერნი სანდერსი, რომელმაც მიზნად დაისახა ამერიკაში „დემოკრატიული სოციალიზმის“ მშენებლობა.

სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ ამ საკითხზე საუბარს აშშ-ში მხოლოდ პოლიტიკური თვითმკვლელი თუ გაბედავდა, ახლა კი სანდერსის მოწოდებებმა ქვეყანაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. მას უკვე მხარში უდგას ამომრჩეველი დემოკრატების 24% და უპირატესობების დინამიკაც სანდერსის სასარგებლოდ იცვლება. დამკვირვებელთა შეფასებით, ორივე პარტიის ყველა კანდიდატიდან სწორედ ის ახერხებს ყველაზე მეტი ხალხის თავმოყრას. როგორც The New York Times-ი იტყობინება, სანდერსს უფრო აღფრთოვანებულნი ხვდებიან ნიუ-ჰემპშირის შტატში პარტიულ შეკრებაზე, ვიდრე მის კონკურენტს. ახალგაზრდობა ერთგვარმა „სანდერსომანიამ“ მოიცვა. კვლევები ცხადყოფს, რომ სანდერსი კლინტონს უგებს პრინციპულად მნიშვნელოვან, ტრადიციულად მთელი კამპანიისთვის ელფერის მიმცემ პრაიმერიზს ნიუ-ჰემპშირში და ძალზე მჭიდროდ უახლოვდება მის მაჩვენებლებს ხმათა რაოდენობის მიხედვით აიოვას შტატშიც.

სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე მუშაობისას კლინტონის ზოგიერთ საქციელთან დაკავშირებულმა ბოლოდროინდელმა გამოაშკარავებებმა, მათ შორის კონფიდენციალობის რეჟიმის დარღვევასა და დროული ზომების მიუღებლობაში ლიბიაში ამერიკელი დიპლომატების დასაცავად, ასევე მისმა არც თუ მომგებიანმა რეაქციამ ამასთან დაკავშირებულ ბრალდებებზე თავისი როლი შეასრულა. ჰილარი კლინტონისადმი კეთილგანწყობილია მოზრდილი ამერიკელების მხოლოდ 41%, 51% კი — არაკეთილგანწყობილი.

ნიშანდობლივია, რომ ყველაზე მეტი ხმა მან თეთრკანიან ქალებს შორის დაკარგა: მათი მხარდაჭერა 64%-დან 31%-მდე დაეცა. საინტერესოა, რომ ამდენივე ამერიკელი ქალი (31%) უკვე მხარს უჭერს სანდერსსა და მის სოციალისტურ იდეებს. გამოკვლევების თანახმად, სანდერსს მხოლოდ დემოკრატების პარტიულ ნომენკლატურაში არ აქვს ხმები.

ამდენი ხმაურის გამომწვევი სისტემის წინააღმდეგ მეამბოხე ბერნი სანდერსი მართლაც არასტანდარტული პიროვნებაა და, წინააღმდეგობრივიც. იგი პრეზიდენტობის ერთ-ერთ ყველაზე ღატაკ კანდიდატად ითვლება. **2013 წლის ანგარიშის თანახმად, მისი პირადი ქონება 330 500 დოლარს შეადგენდა. დაიბადა ბრუკლინში, ელი სანდერსის — პოლონელი ებრაელი იმიგრანტის ოჯახში. მამის მხრიდან ნათესავები ხოლოკოსტის დროს დაეხოცა. სიცოცხლის დიდი ნაწილი გაატარა ვერმონტის უდიდეს ქალაქ ბერლინგტონში და იქვე გაიკეთა პოლიტიკური კარიერაც.** 1985 წელს, ბერლინგტონის მერად მუშაობისას, ბერნი სანდერსი აღმოჩნდა ყველაზე მაღალი რანგის ამერიკელი პოლიტიკოსი, რომელიც ნიკარაგუაში სოლიდარობის ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა. იგი პრეზიდენტმა დენიელ ორტეგამ მიიღო. მან იმ დროისთვის ამერიკელი პოლიტიკოსისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა და ვიზიტით ჩავიდა კუბაში, თუმცა ფიდელ კასტროსთან შეხვედრა ვერ მოახერხა. 1988 წელს სანდერსი დაქორწინდა ჯეინ ომირა დრისკოლზე, თაფლობის თვე კი საბჭოთა კავშირში, იაროსლავლში — ბერლინგტონის ერთ-ერთ მოძმე ქალაქში გაატარა.

კონგრესმენად მუშაობისას სანდერსმა ნაციონალური უსაფრთხოების დეპარტამენტის შექმნის წინააღმდეგ მისცა ხმა. იგი საუბრობდა ერაყში ომის მოსალოდნელ კატასტროფულ შედეგებზე. ამასთანავე, საფრთხის მიუხედავად, რომ ავღანეთში ომი ამერიკისთვის ახალ ვიეტნამად იქცეოდა, მხარი დაუჭირა მას. 1999 წელს მან, ასევე, მხარი დაუჭირა იუგოსლავიის დაბომბვას (მისმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა პროტესტის ნიშნად სამსახურიც კი დატოვა). შემდეგ კრიტიკული რეაქცია გამოხატა ლიბიაში აშშ-ისა და მისი მოკავშირეების საომარი კამპანიის მიმართ და ადმინისტრაცია დაადანაშაულა, რომ გადაწყვეტილება კონგრესის მონაწილეობის გარეშე იქნა მიღებული. 2011-ში სანდერსი საპროტესტო მოძრაობა Occupy Wall Street-ის მხარდაჭერით გამოვიდა. მას დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის — ედვარდ სნოუდენის საქციელის მიმართ და თვლიდა, რომ უფრო სამართლიანი იქნებოდა, მისთვის ხელისუფლებასთან გარიგებაზე წასვლის შესაძლებლობა მიეცათ და არა ციხეში ჩაეგდოთ. სანდერსის აზრით, მან საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმე გააკეთა: საკუთარი თავისუფლების რისკის ფასად, გამოააშკარავა ამერიკული სადაზვერვო სამსახურების მიერ განხორციელებული თვალთვალის საიდუმლო პროგრამების მასშტაბები.

სანდერსი მხარს უჭერს ობამას ადმინისტრაციის მცდელობებს თეირანის ბირთვული პროგრამის შეზღუდვის მიმართულებით ირანთან საბოლოო შეთანხმების მიღწევის მხრივ. **იგი მიესალმებოდა კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას. კატეგორიულად ეწინააღმდეგება ტრანსწყნარი ოკეანის პარტნიორობას და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნას, რამდენადაც ვარაუდობს, რომ ეს აშშ-ში სამუშაო ადგილების დაკარგვას გამოიწვევს.** სანდერსის აზრით, ექსტრემისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლას უნდა ახორციელებდნენ ახლოაღმოსავლური ქვეყნები, კერძოდ, საუდის არაბეთი, რომლებსაც საამისოდ საკმარი რესურსები აქვთ.

ბარნი სანდერსმა მხარი დაუჭირა აშშ-ის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის აღმოსავლეთში გაჩაღებული კონფლიქტისა და ყირიმის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე. მან ასევე ხმა მისცა კიევისათვის მილიარდი დოლარის ოდენობით დახმარების გამოყოფას.

ჩაება რა საპრეზიდენტო კამპანიაში, სანდერსმა ახსნა, რომ გადაწყვიტა, პრეზიდენტის ნომინაცია მოიპოვოს არა როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა, არამედ როგორც დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა, რადგან არ სურს, ისეთივე „მავნებელი“ გახდეს, როგორიც დემოკრატ ელ გორისათვის ხმების წამრთმევი რალფ ნადერი აღმოჩნდა 2000 წლის არჩევნებისას. სანდერსის წინასაარჩევნო შტაბმა დაიქირავა კომპანია Revolution Messaging, რომელიც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას სოციალურ ქსელებში ბარაკ ობამას წარმატების ერთ-ერთ ფაქტორად განიხილება.

ამერიკელი მოსახლეობის ყველაზე მეტ ყურადღებას სანდერსის სოციალური პროგრამა იქცევს. მაგალითად, იგი აგიტაციას უწევს კოლეჯებში უფასო სწავლებას, მინიმალური ხელფასების გაორმაგებას, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებადი საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის შექმნას. მას არ ერიდება საკუთარი პოლიტიკური პლატფორმის დასახასიათებლად ტერმინ „დემოკრატიული სოციალიზმის“ გამოყენება და ამბობს, რომ ამგვარი წყობის დროს „სახელმწიფო ასახავს უბრალო ადამიანების ინტერესებს და არა მილიარდელებისას, როგორც ეს ახლა ხდება“.

მაგალითის სახით სანდერსს მოჰყავს სკანდინავიის ქვეყნები, რომელთა მოდელზეც სურს სახელმწიფოს მართვის დაფუძნება. იგი უარყოფს მტკიცებას, რომ მსგავსი შეხედულებები დემოკრატიულ სისტემასთან შეუთავსებელია: „ამ ქვეყნების უმეტესობაში არჩევნებზე გამოცხადება ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე აშშ-ში. ეს არის ფრიად აყვავებული დემოკრატიის სახელმწიფო“.

საერთო ჯამში, სანდერსის შეხედულებები ემთხვევა ჩრდილოეთ ევროპის ძირითადი სოციალ-დემოკრატიული და ლეიბორისტული პარტიების პოლიტიკურ პლატფორმებს. **მაგრამ ის, რომ სიტყვა „სოციალიზმი“ ამერიკული საზოგადოებისთვის და განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის საფრთხობელას აღარ წარმოადგენს, უდავოდ სიახლეა ამ ქვეყნისთვის.**

გასაგები მიზეზების გამო თავის ძირითად მოწინააღმდეგედ სანდერსი ჰილარი კლინტონს განიხილავს. მისი თქმით, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ძალზე შორსაა საშუალო ამერიკელის საჭიროებებისგან საიმისოდ, რომ ეფექტური პრეზიდენტი გახდეს. „ჰილარი კლინტონი მრავალი წლის განმავლობაში პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაწილი იყო“, — თქვა მან.

ზოგიერთი კომენტატორი უკვე აღნიშნავს, რომ არ შეიძლება იმ სიტუაციის გამორიცხვა, რომლის დროსაც ამერიკელებს ბოლო ეტაპზე სანდერსსა და ტრამპს შორის არჩევანის გაკეთებას შესთავაზებენ.

ეს ჩანს კლინტონის ნევროზულობაშიც. იგი ცდილობს, პირდაპირი შეტევა არ განახორციელოს სანდერსზე, უფრო მეტიც, მიიტაცოს მისი სოციალური პროგრამა და ამბობს, მაგალითად: „მე ვეთანხმები ბერნის“. როგორც ჩანს, ამერიკელი საზოგადოება, თავისი მმართველებისაგან შეუმჩნევლად, მართლაც მომწიფდა სერიოზული ცვლილებებისთვის.

fondsk.ru

მსოფლიო



## ტრამპი სირიელ ლტოლვილებს აშშ-დან გაძევებას უპირებს

**ამერიკელი მილიარდერის — დონალდ ტრამპის განცხადებით, გაპრეზიდენტების შემთხვევაში ის აშშ-დან ათასობით სირიელ ლტოლვილს გააძევებს. ამის შესახებ ტრამპმა ნიუ-ჰემპშირში მხარდამჭერებთან შეხვედრაზე განცხადა.** „ვაფრთხილებ იმ ადამიანებს, რომლებიც აქ სირიიდან მასობრივი მიგრაციის ფარგლებში ჩამოდიან: თუ გავიმარჯვე, უკან დაბრუნდებიან“, — განაცხადა ტრამპმა. მისი მოსაზრებით, აშშ-მა ათასობით ლტოლვილი არ უნდა მიიღოს, რადგან ზოგიერთ მათგანს, შესაძლოა, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ჰქონდეს კავშირი. ტრამპის განცხადებით, ბარაკ ობამა სირიის კრიზისს ვერ უმკლავდება.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმის თქმა, რომ პასუხისმგებლობის ნაწილი პოლონეთს ეკისრება მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების გამო, ცოტაა. საზოგადოებრივი კლიმატი პოლონეთში ისეა მოწამლული აუხდენელზე ოცნებით, რომ ჰიტლერისეულ მესამე რეიხთან „ხელიდან გაშვებული“ კავშირის საკითხი პერიოდულად ამოტივტივდება ხოლმე ქვეყანაში, როგორც საზოგადოებრივი და სამეცნიერო დისკუსიების თემა. ესმით კი პოლონელებს, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ამან?**

# მესამე რაიხი და პოლონეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

**პოლონეთში რუსეთის ელჩის — სერგეი ანდრეევის განცხადებამ, რომ მეორე მსოფლიო ომის კატასტროფაზე ნაწილობრივ ვარშავაცაა პასუხისმგებელი, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრიხანე რეაქცია განაპირობა. ამ უწყებაში ჩათვალეს, რომ რუსეთის ელჩის სიტყვები „უსამართლოა და არ შეესაბამება სინამდვილეს“. არადა, ეს სიტყვები ისტორიულ სინამდვილეს ზუსტად ასახავს.**



შეიძლება თუ არა იმის წარმოდგენა, რომ რუსეთში პოპულარული ხდებოდეს იმ ადამიანის შეხედულებები, რომელიც ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ნაცისტურ გერმანიასთან კავშირისკენ მოუწოდებდა? შეიძლება თუ არა იმის წარმოდგენა, რომ რუსი ისტორიკოსები თავს ესხმოდნენ საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკურ „მარცხს“, რომლის შედეგადაც ჰიტლერთან ერთად ევროპის დაპყრობის ნაცვლად ნაციზმის წინააღმდეგ გამოვიდა?

პოლონეთში პირველიც შესაძლებელია და მეორეც. იქ, მაგალითად, პოპულარული ხდება ომებს შორის პერიოდის ცნობილი პოლონელი ავტორების — ვლადისლავ გიზბერტ-სტუდნიცკისა და ადოლფ ბოჰენსკის ნაშრომები, რომლებიც მიესალმებოდნენ ვარშავისა და ჰიტლერის გერმანიის შესაძლო კავშირს.

გერმანოფილობით განსაკუთრებით გამოირჩევა გიზბერტ-სტუდნიცკი. 1934 წელს, ანუ ნაცისტების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდებიდან ერთ წელიწადში, როდესაც გერმანიაში დახვრეტები და დაპატიმრებები მიმდინარეობდა, მან წიგნში „ევროპის პოლიტიკური სისტემა და პოლონეთი“ წარმოადგინა საკუთარი თვალსაზრისი ევროპის ერთობლივ კონტროლზე პოლონურ-გერმანული კავშირის ჩამოყალიბების გზით. „პოლონეთი და გერმანია, — წერდა გიზბერტ-სტუდნიცკი, — შეიძლება გახდნენ ფუნდამენტი იმ უზარმაზარი ცენტრალურ-ევროპული ბლოკისა, რომელშიც შევლენ ავსტრია, უნგრეთი, ჩეხეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, საბერძნეთი, თურქეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები... ჰიტლერს, რომლის მთავარი ამოცანაც გერმანიის საფრანგეთისგან გათავისუფლება იყო, შემთხვევით არ დაუწყია პოლონეთთან დაახლოება“.

პოლონეთისთვის ტრადიციულ ორიენტირებას პარიზზე გიზბერტ-სტუდნიცკი დამღუპველად მიიჩნევდა, რადგან მის თვალში ეს რეიხის საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მხიდან გარშემორტყმის ტოლფასი იყო. ამის ნაცვლად იგი აყენებდა წინადადებას, მაქსიმალურად შეემსუბუქებინათ ბერლინისთვის აღმოსავლეთ პრუსიაზე წვდომა პოლონეთის ტერიტორიის გავლით (სატრანსპორტო დერეფანი ბერლინი-ვარშავა-კიონიგსბერგი). ჰიტლერის პერიოდში პრუსია გერმანული მილიტარიზმის სიმბოლოდ იქცა, მაგრამ პოლონეთის საზღვრებთან ამ საერთაშორისო ყაჩაღის არსებობაში გიზბერტ-სტუდნიცკი მხოლოდ პლუსებს ხედავდა. მას ნაცისტების ანტისემიტური თეორიებიც ესიმპათიურებოდა.

**მაშინაც კი, როდესაც გერმანიამ პოლონეთი დაიპყრო, გიზბერტ-სტუდნიცკის არ შეუწყვეტია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის აუცილებლობაზე ღაღადი. ამ თემაზე უკანასკნელი წერილი მან ჰიმლერს მისწერა 1945 წლის 12 მარტს.**

**მაშინაც კი, როდესაც გერმანიამ პოლონეთი დაიპყრო, გიზბერტ-სტუდნიცკის არ შეუწყვეტია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის აუცილებლობაზე ღაღადი. ამ თემაზე უკანასკნელი წერილი მან ჰიმლერს მისწერა 1945 წლის 12 მარტს**



1948 წელს გიზბერტ-სტუდნიცკი ფელდმარშლის — ერიხ ფონ მანშტეინის სასამართლოზე დაცვის მოწმის სახით აპირებდა გამოსვლას. ომის შემდეგ მან დაწერა მოგონებათა წიგნი „რატომ არ გავხდი პოლონელი კვიცლინგი“ (ვიდკუნ კვიცლინგი — ნორვეგიელი კოლაბორაციონისტი, რომელიც, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, 1945 წელს დახვრიტეს). გერმანულად ენაზე ეს წიგნი 1951 წელს გამოვიდა სათაურით „ბრძოლა პოლონურ-გერმანული დაახლოებისთვის“ და სხვა სათაურითაც — „პოლონეთის არასწორი გზები“. სახელის შეცვლა დაიჟინა გამომცემელმა მეჩისლავ გრიდზევსკიმ: მას არ სურდა მკითხველის შოკირება არშემდგარი პოლონელი კვიცლინგის გულახდილობებით.

**ადოლფ ბოჰენსკიც ფიქრობდა ვარშავისა და ბერლინის კავშირზე. მის წარმოდგენებში მესამე რეიხი იყო ტირანი, რომელზე დაყრდნობითაც პოლონეთი შეძლებდა საზღვრების შეცვლას ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის საბჭოთა კავშირის სამხედრო დამარცხებისა და დანაწევრების ხარჯზეც.** ჰიტლერის ქმედებებს ის აფასებდა, როგორც თავდაცვითს, რომელთაც რეიხის აღმოსავლეთ საზღვრებთან უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიმართავდნენ. ბოჰენსკი, სხვათა შორის, არ გამორიცხავდა პოლონურ-გერმანულ-გალიციური კავშირის შექმნას და შემდგომში ამ ალიანსის ჯარების თავდასხმას კიევსა და მოსკოვზე. ამ გეგმის განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, მან პოლონეთს ჰიტლერელთა დახმარებით უკრაინელ ნაციონალისტებთან დიალოგისკენ მოუწოდა.

1951 წელს გიზბერტ-სტუდნიცკის ნაწარმოებებზე აკრძალვა დაწესდა, ბიბლიოთეკებიდან კი ამოიღეს მისი წიგნები. ბოჰენსკის ნაშრომებიც აღარ გამოუციათ ხელახლა. სამაგიეროდ თანამედროვე („პოსტკომუნისტურ“) პოლონეთში მათ იდეებს ხელახლა განიხილავენ, როგორც იმ პერიოდის პოლონეთის გეოპოლიტიკური ხედვის „ალტერნატიულ“ მაგალითს.

და ამ იდეებს პოლონეთის განათლებულ კლასში თაყვანისმცემლები ჰყავს. 2012 წელს ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი პაველ ვეჩორკევიჩი იმაზე დარდობდა, რომ პოლონეთი ჰიტლერთან კავშირზე არ წავიდა: „თუ 1941 წლის დეკემბერში მოსკოვთან გერმანელებს 4-5 დივიზია და 100-200 ტანკი დააკლდათ, მომზადებულ პოლონურ ჯარებს შეეძლოთ, 60 ასეთი დივიზია და 1000-1500 ტანკი მიეცათ. ეს ის ფაქტორი იყო, რომელიც აღმოსავლეთში ომის საკითხს გადაწყვეტდა“.

იგივე ვეჩორკევიჩი მიიჩნევს, რომ **პოლონეთი, როგორც ჰიტლერის მოკავშირე, უკრაინის, ბელორუსიისა და რუსეთის ნაწილის მართვის შესაძლებლობას მიიღებდა,** მაგრამ იუზეფ ბეკმა, რომელიც 1939 წელს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ყურადღება არ მიაქცია პილსუდსკის შეგონებებს, რომელიც პოლონელ პოლიტიკოსებს ასწავლიდა: **თვითგადარჩენისთვის პოლონეთი პირველი არ უნდა ჩაერთოს ომში და არ უნდა იომოს საკუთარ ტერიტორიაზე. პროფესორი ვეჩორკევიჩი დარწმუნებულია, რომ ნაცისტებთან კავშირში პოლონეთი იომებდა შორს აღმოსავლეთით და ომში გერმანიის შემდეგ მეორე ნომრად ჩაერთვებოდა.**

2012 წელს გამოვიდა ახალგაზრდა პოლონელი ისტორიკოსის — პეტრე ზიხოვიჩის წიგნი „რიბენტროპ-ბეკის პაქტი. როგორ შეეძლოთ პოლონელებს მესამე რეიხთან ერთად საბჭოთა კავშირის დამარცხება“. ვიდრე დასავლელი ისტორიკოსები და პოლიტიკოსები შავ საღებავს არ იშურებენ საბჭოთა კავშირის განკითხვისთვის იმის გამო, რომ 1939 წელს გერმანიასთან თავდაუსხმელობის შეთანხმებას მოაწერა ხელი, ზიხოვიჩი რიბენტროპ-ბეკის პაქტის არარეალიზებულ შესაძლებლობებზე დაფიქრებას სთავაზობს საზოგადოებას. მისი აზრით, ვარშავას გდანსკი გერმანელებისთვის უნდა მიეცა, უნდა დათანხმებოდა ავტომაგისტრალის გაყვანას პოლონეთის გავლით გერმანიიდან აღმოსავლეთ პრუსიამდე და ჰიტლერელების დასახმარებლად აღმოსავლეთ ფრონტზე 40 დივიზია უნდა გაეგზავნა. მისი აზრით, ეს წითელი არმიის განადგურებას განაპირობებდა, დაიცავდა პოლონეთს სამოცწლიანი საბჭოთა „ოკუპაციისგან“ და შესაძლებელს გახდიდა პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობის აღდგენას XVIII საუკუნის საზღვრებში (ზახოვიჩი დარწმუნებულია, რომ უკრაინას, ბელორუსიასა და ლიტვას ფიურერი პოლონელებს უბოძებდა).

**იმის თქმა, რომ პასუხისმგებლობის ნაწილი პოლონეთს ეკისრება მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების გამო, ცოტაა. საზოგადოებრივი კლიმატი პოლონეთში ისეა მოწამლული აუხდენელზე ოცნებით, რომ ჰიტლერისეულ მესამე რეიხთან „ხელიდან გაშვებული“ კავშირის საკითხი პერიოდულად ამოტივტივდება ხოლმე ქვეყანაში, როგორც საზოგადოებრივი და სამეცნიერო დისკუსიების თემა. ესმით კი პოლონელებს, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ამან?**

fondsk.ru

მოკლედ



## ფართო კოალიცია რუსეთისა და ირანის მონაწილეობით

**ერაყის პრემიერმა ჰაიდერ ალ-აბადიმ ქვეყნის ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება რუსეთისა და ირანის კოალიციას შესთავაზა.** „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ-ისაგან ვერ ვიღებთ შთამბეჭდავ სამხედრო მხარდაჭერას. ჩვენ გვჭირდება ფართო კოალიცია რუსეთისა და ირანის მონაწილეობით“, — განაცხადა ალ-აბადიმ. საპასუხოდ რუსეთის საგარეო უწყებამ განაცხადა, რომ მოსკოვი განიხილავს ბაღდადის წინადადებას, თუ იქნება შესაბამისი მოთხოვნა.



**„ისლამური სახელმწიფოს“ დროშის ქვეშ უკვე იბრძვის ათიათასობით ბოევიკი. მათ შორის არიან ყოფილი ერაყელი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც 2003 წელს ერაყში შეჭრის შედეგად ქუჩაში გამოყარეს. რეკრუტების მიმწოდებელია ლიბიაც, რომლის სახელმწიფოებრიობა განადგურდა გაეროს უშიშროების საბჭოს №1973-ე რეზოლუციის უხეში დარღვევის შედეგად.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «არაბული გაზაფხულის» დასასრული

**28 სექტემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე პუტინის გამოსვლისას იმ უბედურებების დიაგნოზი, რომლებიც სირიასა და ახლო აღმოსავლეთს დაატყდა თავს, უკიდურესად მკაცრი იყო: აქ ადგილი ჰქონდა და ახლაც აქვს გარეშე ძალის აგრესიულ ჩარევას. არაბების გულუბრყვილო მოლოდინი სასიკეთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებებისადმი არ გამართლდა: „რეფორმების ნაცვლად სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, თვით ცხოვრების რეჟიმიც უცერემონიოდ იქნა განადგურებული. დემოკრატიისა და პროგრესის ზეიმის ნაცვლად — ძალადობა, სიღატაკე, სოციალური კატასტროფა, ადამიანის უფლებები კი, მათ შორის სიცოცხლის უფლებაც, არაფრად ითვლება“.**



**«ხავერდოვანი რევოლუციები» აღმოსავლეთ ევროპაში... შემდეგ ულიმღამო პუტჩი თბილისში, სააკაშვილმა ჩამოაგდო შევარდნაძე: ბანდიტები ავტომატებით ხელში შეცვივდნენ პარლამენტში, მაგრამ ვარდებით ხელშიც... (თბილისის ბაზრიდან მიიტანეს რამდენიმე ყვავილი). და ნაწრთობმა მსოფლიო მედიამაც უმალ «მოხატა» — «ვარდების რევოლუცია»! ხომ ლამაზია?!**



მთელი სიმწვავით დაისვა კითხვა: ახლა მაინც გესმით, რა ჩაიდინეთ? — არა, არ სურთ, გაიგონ... „ვშიშობ, ეს საკითხი ჰაერში გამოიკიდება, იმიტომ, რომ არ უთქვამთ უარი პოლიტიკაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს თავდაჯერებულობა, საკუთარი განსაკუთრებულობის რწმენა და დაუსჯელობა“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

დიაგნოზი ულმობელია: „უკვე ნათელია, რომ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რიგ ქვეყნებში გაჩენილმა ხელისუფლების ვაკუუმმა განაპირობა იმ ანარქიის ზონების ჩამოყალიბება, რომლებმაც დაუყოვლებლივ დაიწყეს შევსება ექსტრემისტებითა და ტერორისტებით. ეგრეთ წოდებული **„ისლამური სახელმწიფოს“ დროშის ქვეშ უკვე იბრძვის ათიათასობით ბოევიკი. მათ შორის არიან ყოფილი ერაყელი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც 2003 წელს ერაყში შეჭრის შედეგად ქუჩაში გამოყარეს. რეკრუტების მიმწოდებელია ლიბიაც, რომლის სახელმწიფოებრიობა განადგურდა გაეროს უშიშროების საბჭოს №1973-ე რეზოლუციის უხეში დარღვევის შედეგად. ახლა კი რადიკალების რიგებს ავსებენ დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი ეგრეთ წოდებული სირიის ზომიერი ოპოზიციის წევრებიც“.**

არა, ეს აშშ-სა და მის ევროსატელიტებზე „გადავლა“ არ არის. ახლა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, მსოფლიო პოლიტიკიდან ამოიძირკვოს ეს ვულგარული სატყუარა — „ფერადი რევოლუციები“. ისინი, ვინც ცივ ომში გამარჯვებულების ტიტული მიითვისეს, უკვე 25 წელია, მოქმედებენ არა მხოლოდ უხეში სამხედრო ძალით...

**„ხავერდოვანი რევოლუციები“ აღმოსავლეთ ევროპაში... შემდეგ ულიმღამო პუტჩი თბილისში, სააკაშვილმა ჩამოაგდო შევარდნაძე: ბანდიტები ავტომატებით ხელში შეცვივდნენ პარლამენტში, მაგრამ ვარდებით ხელშიც... (თბილისის ბაზრიდან მიიტანეს რამდენიმე ყვავილი). და ნაწრთობმა მსოფლიო მედიამაც უმალ „მოხატა“ — „ვარდების რევოლუცია“! ხომ ლამაზია?!**

ახლა უახლოესი ათწლედის ამოცანაა, მორიგ პუტჩს მიუსადაგონ მორიგი ფერადი ძონძი. და ეს ძონძი ყოველ ჯერზე, შერჩეული ფერისაგან დამოუკიდებლად, განუხრელად წითელი, სისხლიანი ხდება. ყველაზე სისხლიანი ძონძი კი „არაბული გაზაფხულია“.

„ო, გაზაფხული ბრენდია! იმედების სეზონი, განახლების სიმბოლო! — გადაწყვიტეს მარკეტინგული ფირმებიდან რეკრუტირებულმა სარეკლამო აგენტებმა. — მყიდველი ამას აუცილებლად აკენკავს!“

და დაიწყო... **2010 წლის 18 დეკემბერს არეულობები ტუნისში, გამოსვლები „სისხლიანი ტირანის“ ბენ ალის წინააღმდეგ, რომელიც სისხლიანი ამ ფლეშმობების დარბევის პროცესში გახდა.** არაბული ქვეყნების ნგრევა მსოფლიოში იყიდებოდა შენიღბული მარკეტინგული ვულგარულობით: „არაბული გაზაფხული“. ეს საკმაოდ ცინიკური შენიღბვაა, რადგან ის იკვებებოდა „არაბული ქუჩის“, ხალხის ფართო მასების რეალური უკმაყოფილებით. როგორ გააბითურეს არაბები და როგორ დაგეშეს, მაგალითად, კადაფის წინააღმდეგ, ახლო აღმოსავლეთში ამას კიდევ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ვერ დაივიწყებენ.

ახლაღა გამოჩნდა ცხრილები, რომლებიც „ლიბიელი სისხლიანი დიქტატორის“ სოციალური პროგრამების გაქანებასა და სიღრმეს „განვითარებული“ მსოფლიოს ანალოგიურ მაჩვენებლებს ადარებს. ეს დასავლეთისთვის მომაკვდინებელი შედარებებია.

ამასთანავე, ამ სისხლიანი ამაზრზენობის მომგონებლები აპელირებდნენ „1848 წლის ხალხთა გაზაფხულზე“ — XIX საუკუნის შუა პერიოდში ევროპაში მომხდარი ამბოხებებისა და რევოლუციების ჯაჭვზე. კიდევ ერთი სიმბოლური ჩანაცვლება და მიგვიფურთხებია კალენდრისთვის: დავიწყებთ გაზაფხულს დეკემბრიდან...

თავის გამოსვლაში, რომელიც დიდწილად არაბული სახელმწიფოებრიობის განადგურების დრამატულ შედეგებს მიეძღვნა, რუსეთის პრეზიდენტს ერთხელაც არ უხსენებია „არაბული გაზაფხული“, ერთხელაც არ გაუმეორებია ამერიკელი პოლიტიკური მარკეტოლოგების მანკიერი გამონაგონი! „რევოლუციის ექსპორტთან“ შედარება — „კაციჭამიები, რომლებმაც უკვე იგრძნეს სისხლის სუნი“, „ისლამის დამახინჯება... ხელისუფლების ვაკუუმი... ანარქიის ზონები... ტერორისტები“ — ეს ყველაფერი ნათქვამი იყო, მაგრამ სიტყვები — „არაბული გაზაფხული“ არ უხსენებია. ზიზღის გამო შეუძლებელია პლაკატად ქცეულ ამ სისხლიან ძონძთან კიდევ ერთხელ შეხება.

რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლისას ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებული კიდევ ერთი რამის გახსენება შეიძლებოდა. ზუსტად ხუთი წლის წინათ, **2010 წლის ოქტომბერში, გერმანიის რესპუბლიკის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციის შეკრებაზე ანგელა მერკელმა აღიარა გერმანიაში მულტიკულტურული საზოგადოების აშენების ნებისმიერი მცდელობის სრული მარცხი.** მანამდე ზუსტად ერთი დღით ადრე ქრისტიანულ-სოციალისტური კავშირის ლიდერმა, ბავარიის პრემიერმინისტრმა ჰორსტ ზეეჰოფერმა განაცხადა: „მულტიკულტურიზმი მკვდარია“. ერთი თვით ადრე კი, იმავე 2010 წლის სექტემბერში, გერმანიაში მწვავე სკანდალი აგორდა ბუნდესბანკის მმართველობის ყოფილი წევრის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრის — ტილო სარაცინის წიგნის „გერმანია — თვითლიკვიდაცია“ გამოსვლასთან დაკავშირებით. სარაცინი წერდა, რომ იმ იმიგრანტების რაოდენობის ზრდა, რომლებიც ვერ აღიქვამენ გერმანულ კულტურას, გერმანიის დაცემას განაპირობებს. და მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვისი მიზეზით ვერ მყარდება ურთიერთგაგება, მთავარი ისაა, რომ ურთიერთგაგება არ არის და ვერც იქნება.

რუსეთი თავისი ევრაზიული მდებარეობის ძალით და აღმოსავლეთთან ურთიერთქმედების მრავალსაუკუნოვანი ისტორიით ამ მიმართულებით შეუდარებლად მდიდარ მემკვიდრეობას და ბევრად უფრო სერიოზულ ისტელექტუალურ პოტენციალს ფლობს, ვიდრე ისინი, ვინც იძულებული გახდა, მულტიკულტურული ექსპერიმენტის კრახი და გერმანიის თვითლიკვიდაციის საფრთხის არსებობა ეღიარებინა. რუსების ეს კულტურულ-ისტორიული გამოცდილება უდევს საფუძვლად იმას, რაზეც პუტინი ამბობდა: „ჩვენ ვიცით რეგიონის ყველა პრობლემა, ყველა წინააღმდეგობრიობა“.

დღეს ამის გახსენებას გვაიძულებს დევნილების კატასტროფა. სიტყვები: „კრახი“ და „გერმანიის თვითლიკვიდაცია“ ჯერ კიდევ მაშინ იქნა წარმოთქმული, როდესაც გერმანელების პრობლემას მათთვის კარგად ნაცნობი თურქები წარმოადგენდნენ. ერაყი იმ დროს უკვე იღუპებოდა, მაგრამ ახლოაღმოსავლელი დევნილების „ამპერმეტრი“ ჯერ კიდევ თითქმის ნულზე იდგა დღევანდელ მაჩვენებლებთან შედარებით.

და უნდა აღინიშნოს: სიტყვები — „კრახი“, „თვითლიკვიდაცია“ — წარმოთქმულ იქნა, როგორც იტყვიან, „არაბულ გაზაფხულამდე“ ნახევარი საათით ადრე“: ის დაიწყება ორი თვის შემდეგ, 2010 წლის 18 დეკემბერს, ტუნისის არეულობებით...

ჩნდება სურვილი, პირდაპირ ვუთხრათ გერმანელებს: **„თქვენ ხომ თავად აღიარეთ საკუთარი მულტიკულტურიზმის კრახი, საკუთარი უუნარობა აღმოსავლური კულტურის გაგების და მასთან ურთიერთქმედების თვალსაზრისით... აღიარეთ, რომ აღმოსავლელი ადამიანები თქვენთვის ისევე ამოუცნობი არიან, როგორც მარსელები. და მაინც წახვედით ამერიკელებთან ერთად, რომ არაბებისთვის აგეხსნათ: მუბარაქი არაპოლიტკორექტულია, ასადი დესპოტია, კადაფი ტირანია! რატომ?“**

fondsk.ru

მოკლედ

## კერიმ და ლავროვმა სირიაში სამოქალაქო ომის დასრულების გეგმა შეიმუშავეს



**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ერთმანეთს სირიაში არსებულ ვითარებაზე სასაუბროდ შეხვდნენ.** მხარეები სამხედრო კოორდინირების გაუმჯობესებაზე შეთანხმდნენ. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ასევე, განაცხადა, რომ შეხვედრაზე სერგეი ლავროვთან ერთად შეიმუშავა გარკვეული წინადადებები, რომლებიც სირიაში სამოქალაქო ომის დასრულებისკენ და პოლიტიკური პროცესის დაჩქარებისკენაა მიმართული. ლავროვიც და კერიც აღნიშნულ წინადადებებს აშშ-ისა და რუსეთის ლიდერებს გააცნობენ. ორივე მხარე თანხმდება, რომ სირიაში ესკალაციის აცილება აუცილებელია.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2014 წლის „უხეირო ნაცოდვილარის“ წინასიტყვაობაში (გვ.3) „ცრუ დურმიშხანი“ მკითხველებს ამ „ნაშრომის“ მეოცედ გამოცემას ულოცავს. არადა, ოცი წლის წინათ მან ჩვენ მიერ გერმანულიდან ნათარგმნი „თესვის კალენდარი“ თითქმის სრულად გადაიწერა, გააყალბა და გააუკუღმართა.**

# «ცრუ დურმიშხანი», მისი «უხეირო ნაცოდვილარი» და სატელევიზიო დითირამბები

**სტატიაში ვისაუბრებთ გერმანელი მეცნიერის, ქალბატონ მარია ტუნის მსოფლიოში პოპულარულ „თესვის კალენდარზე“, რომლის ტექსტი, ჩვენ მიერ ორ ათეულზე მეტი წლის წინათ ქართულ ენაზე ნათარგმნი, გადაიწერა, გააუკუღმართა და ბროშურად გამოაქვეყნა დურმიშხან ყიფიანმა, ყდაზე კი თავისი სახელი და გვარი დააწერა. „ავტორი“ მსგავს ქმედებას დღემდე განაგრძობს, რომელსაც ხელს უწყობს ტელეკომპანია „კავკასიის“ გადაცემები — „ვარსკვლავები გვამცნობენ“ და „თქვენი დრო“; საქებარი გადაცემა თურმე „რუსთავი 2“-მაც მიუძღვნა 2012 წელს.
ამან ყიფიანი იშტაზე მოიყვანა და „თესვის კალენდრის“ მთარგმნელ-გამომცემლების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა.
სტატიაში მისი „ნაშრომები“ მოხსენიებული იქნება, როგორც „უხეირო ნაცოდვილარი“, „ავტორ-შემდგენელი“ კი — როგორც „ცრუ დურმიშხანი“.**




სოფლის მეურნეობის დარგის გერმანელი მეცნიერის, ქალბატონი **მარია ტუნისა (1922-2012)** და მისი ქალ-ვაჟის — **მათიას ტუნისა** და **ქრისტინა შმიდტ რუდტის** „თესვის კალენდარი“ ყოველწლიურად გამოიცემა მსოფლიოს მრავალ ენაზე. იგი გერმანულიდან ქართულ ენაზე ამ სტატიის ავტორის მიერ, უკვე კარგა ხანია, ყოველწლიურად ითარგმნება — 2015 წელს საქართველოში ოცდამეორედ გამოიცა „თესვის კალენდარი“.

დავიწყოთ „ცრუ დურმიშხანის“ მიერ 2014 წელს გამოცემული ეგრეთ წოდებული **„მთვარის ასტროლოგიური კალენდრის“** იმ ადგილის განხილვით, სადაც ჩვენ ცინიკურად და უმსგავსოდ მოგვიხსენიებს:

**„ქართული პრობლემა კალენდრების გამოცემებში“** (იხ. გვ. 100) — ეს არის ამბიციური, ტექსტის შეუსაბამო, გაუმართავი და უვიცობის გამომხატველი სათაური.

დააკვირდით პირველ აბზაცს:

*„ამჯერად მოგახსენებთ საქართველოში კალენდრების გამოცემასთან დაკავშირებულ იმ პრობლემებს, რომელიც თან ახლავს კალენდრის შემდგენელთა დაბალ პროფესიონალიზმს, ან საერთოდ დილეტანტიზმს, რაც, სამწუხაროდ დამახასიათებელია ჩვენი საზოგადოებისათვის“ (იხ. გვ. 100).

**ქართველი საზოგადოებისთვის თურმე საერთოდ დამახასიათებელი ყოფილა არაპროფესიონალიზმი და დილეტანტიზმი(!). ასეთ გამონათქვამს სისულელე ჰქვია.**

შემდეგი აბზაცი:

*„კალენდრის შემდგენელმა უნდა იცოდეს, თუ რა არის დრო და სივრცე. მან უნდა შექმნას დროისა და სივრცის ის სინთეზი, რომელიც წაადგება მის მკითხველსა თუ მომხმარებელს. კალენდარი — ეს არ არის ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც შეიძლება იყოს დიდებული, კარგი ან სუსტი. კალენდარი უნდა იყოს კარგი და დახვეწილი ან საერთოდ არ უნდა გამოიცეს. კალენდარი უნდა იყოს გზამკვლევი საქმიანობაში, დროის მაჩვენებელი და სასწავლო სახელმძღვანელო. სხვა შემთხვევაში ის არის უვარგისი მაკულატურა, რომელსაც ყიდიან მხოლოდ მატერიალური დაინტერესების მიზნით“(იხ. გვ. 100).

**ბატონებო, ფრთხილად! საქმე გვაქვს „ზეადამიანთან“, რომელმაც იცის, რა არის დრო და სივრცე. უფრო მეტიც — იგი მიანიშნებს, რომ ხელეწიფება დროისა და სივრცის სინთეზი. აი, სადამდე შეიძლება მივიდეს ამპარტავნობა და მკრეხელობა!**

მესამე აბზაცი:

*„საინფორმაციო წყაროებიდან ხშირად გაჟღერებულა, რომ მორგოშიას უცხოურიდან ნათარგმნი (ან კი რა დონის თარგმანია) ე.წ. „თესვის კალენდარი“ საერთოდ გამოუსადეგარია საქართველოსათვის და მის ყოველ გამოცემას მრავალჯერ შეჰყავს მომხმარებელი შეცდომაში. კალენდრის ტიტულზე აღნიშნულია, რომ „კალენდარი პლანეტათა განლაგების მეცნიერულ კვლევის საფუძველზეა დამუშავებული და შედგენილი“. ახლა გადავხედოთ ეს მეცნიერული „კვლევა“ რა დონის მიღწევებს გვთავაზობს“ (იხ. გვ. 100).

**ბატონებო, ფრთხილად! საქმე გვაქვს «ზეადამიანთან», რომელმაც იცის, რა არის დრო და სივრცე. უფრო მეტიც — იგი მიანიშნებს, რომ ხელეწიფება დროისა და სივრცის სინთეზი. აი, სადამდე შეიძლება მივიდეს ამპარტავნობა და მკრეხელობა!**




ასე გაუმართავად, გაურკვევლად, პრიმიტიულად წერა მართლაც სამარცხვინოა:

საკითხავია, **რომელ საინფორმაციო წყაროებზეა საუბარი? რომელ „უცხოურ“ ენაზეა ლაპარაკი? „თესვის კალენდარი“ გაკვრითაა ნახსენები, ავტორი კი — არსად. ჩემი მოხსენიება მხოლოდ გვარით გაუგებრობას იწვევს. ავტორის ხსენება „ცრუ დურმიშხანმა“ ვერც კი გაბედა. თუ „თესვის კალენდარი“ საქართველოში „საერთოდ გამოუსადეგარია“ , მაშინ იგი არ ივარგებს მსოფლიოს იმ ქვეყნებშიც, რომლებშიც, ნახევარ საუკუნეზე მეტია, ითარგმნება და გამოიცემა. ეს ქვეყნებია: აშშ, კანადა, ევროპის ქვეყნები, ჩინეთი, იაპონია...**

შემდეგი სიცრუე:

* „უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოდიაქოს ნიშნები მსოფლიო ეფემერიდულ ცხრილებთან (რომლითაც ვსარგებლობთ ასტრონომები და ასტროლოგები) შეფარდებით, 3-4 დღით წინაა გადმოწეული. ამის გამო არაერთგანაა დარღვეული აგროტექნიკურ სამუშაოთა პერიოდები“ (იხ. გვ.101).

ცხადია, რომ **„ოპონენტი“ თავს ასტროლოგად ასაღებს, რადგან მის „უხეირო ნაცოდვილარს“ ყდაზე აწერია „მთვარის ასტროლოგიური კალენდარი“, რაც მთვარისა და ასტროლოგიის შეურაცხყოფად მიმაჩნია.**

მორიგი სიყალბე:

*„2005 წლის ივლისის თვეში ქალწულის ზოდიაქოს დღეების გასწვრივ ნაყოფის — ერთი, ფესვის — ორი და ფოთლის ერთი დღეა. როგორ გაარკვიოს მკითხველმა, თუ რომელი იმპულსების მატარებელია ბოლოს და ბოლოს ზოდიაქოს ნიშანი?“(იხ. გვ.101).

„ოპონენტს“ ასეთი უაზრობა იქნებ არ ეთქვა, 2005 წლის „თესვის კალენდარში“ — „კალენდრით სარგებლობის“ განმარტებაში, ბოლო აბზაცი რომ წაეკითხა და გაეგო: **როცა მთვარის მეშვეობით მომავალი ძალები სხვა ცთომილთა კონსტელაციებით გადაიფარება,** რაც, ცხადია, ბეჭდვისას დაშვებული შეცდომა არ არის.

ცინიზმით აღსავსე აბზაცი:

***„ამ კალენდრის შემდგენლებს როდესაც შეცდომებზე მივუთითე, კორექტურას გადააბრალეს. ამ კალენდარს,**



## Samsung Galaxy S6 წლის საუკეთესო სმარტფონად დასახელდა

**ავტორიტეტული გამოცემა T3-ის მიერ ჩატარებულ კონკურსში „სამსუნგის“ სმარტფონმა „წლის სმარტფონის“ ნომინაციაში ისეთი კონკურენტები ჩამოიტოვა, როგორებიც არის iPhone 6, Sony Xperia Z3 Compact, LG-ის G4 და HTCის One M9.** თუმცა, Apple-მა ოთხ ნომინაციაში გაიმარჯვა. „წლის გაჯეტისა“ და „წლის პოპულარული ელექტრონიკის“ ნომინაციაში Apple Watch-ის სმარტსაათმა გაიმარჯვა. iPad Air 2-მა „წლის საუკეთესო პლანშეტის“ ნომინაციაში მოიპოვა გამარჯვება. წლის საუკეთესო ბრენდად კი Apple დასახელდა.



**გადაცემის წამყვანს, ქალბატონ ლელას, რომელიც არაერთი მოსაწონი გადაცემის ავტორია, საქმის ვითარება კარგად რომ სცოდნოდა, მოწვეულ ვაჟბატონს დითირამბებით კი არ შეამკობდა, არამედ ეტყოდა, სიცრუეს საზღვარი აქვსო და დასძენდა: „სინდისიც კარგი საქონელიაო“. მსგავს სიტყვებს ცაგარელსაც მიახლიდა და გადაცემის დასასრულს სიმართლე იზეიმებდა.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩანს, კორექტორი საერთოდ არ ჰყავს, ხოლო რედაქტორი, ბატონი გვანჯი მანია, გინესის რეკორდების წიგნისათვის მასალებს აქეთ-იქით რომ ეძებს, განა წინ არ უდევს რეკორდული რაოდენობის „მეცნიერულ“ აღმოჩენათა უნიკალური კრებული — როგორც პროფესიონალური დილეტანტიზმის შესანიშნავი გამოხატულება?“**

ამას ზუსტად ესადაგება ცნობილი ხალხური ანდაზა — **„ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“.**

**ბატონ გვანჯის ბოდიშს მოვახსენებ „შავი ასოებით შეკოწიწებული“ ცინიზმისთვის, რადგან მას „აქეთ-იქით“ საძებნი არაფერი აქვს. ასეთ რამეს „ცრუ დურმიშხანი“ თვითონ სჩადის — აქეთ-იქით ხარბად დაეძებს სხვის ნამუშევრებს და მათდამი პლაგიატორული მოპყრობით ვერ ძღება.**

ამ სტატიის ავტორმა დასავლეთ გერმანიაში მარია ტუნისა და სხვა მეცნიერების ხელმძღვანელობით, გერმანულ ენასთან ერთად, მონდომებით შეისწავლა ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოწევა. იქ გატარებულ დროს თუ შევაჯამებთ, შვიდ წელიწადზე მეტი გამოვა.

**2014 წლის „უხეირო ნაცოდვილარის“ წინასიტყვაობაში (გვ.3) „ცრუ დურმიშხანი“ მკითხველებს ამ „ნაშრომის“ მეოცედ გამოცემას ულოცავს. არადა, ოცი წლის წინათ მან ჩვენ მიერ გერმანულიდან ნათარგმნი „თესვის კალენდარი“ თითქმის სრულად გადაიწერა, გააყალბა და გააუკუღმართა.**

ცნობილმა ჟურნალისტმა, ქალბატონმა **ლეილა კოშკაძემ** 1994 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ „ცრუ დურმიშხანის“ მამხილებელი სტატია გამოაქვეყნა სათაურით: **„რატომ არ გვეპრას-გვეტარხუნ-გვეპიტნავება?!“**

იხ. ამონარიდები:

**„ისე გამიტაცა დურმიშხან ყიფიანის ბროშურამ, რომ გერმანელ მარია და მათიას ტუნებთანაც კი მიმიყვანა. „პაპავ, გიყვარდა გუთანი, დაჯექ და იღიღინეო“, — ისეთ გემრიელ ლუკმას მივაგენი, უკეთესს რომ ვერ ინატრებს „წერას ატანილი“ კაცი“.**

„გერმანელი მეცნიერების — მარია და მათიას ტუნების პლანეტათა განლაგების საფუძველზე დამუშავებული და შედგენილი „თესვის კალენდარი“, რომელსაც თითქმის ორმოცი წლის ისტორია აქვს, ყოველწლიურად ითარგმნება და თითქმის მთელ მსოფლიოში პრაქტიკულად გამოიყენება. იგი ყოველგვარი შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების გამოუყენებლად მოსავლიანობის გაზრდის საშუალებას იძლევა; ეფექტიანია, აგრეთვე, მეფუტკრეობაში, მეყვავილეობასა და მეტყევეობაში და ა.შ.

წერა-კითხვის მცოდნე მიწათმოქმედი ვარ, ვუკირკიტებ ტუნების კალენდარს და დურმიშხან ყიფიანის ბროშურასაც.

„პირველ აპრილს არასასურველია რგვა, რაიმე კულტურების მოვლა, რადგან ამ დღეებში პლანეტათა არახელსაყრელი განლაგებაა და დედამიწაზე არ მოდის მცენარეებისათვის საჭირო იმპულსები“, — მრავალგზის პრაქტიკული საქმიანობით დადასტურებულ გამოცდილებას მთელ მსოფლიოს უზიარებენ გერმანელი მეცნიერები.

**„თესე ხახვი, პრასი, ბოლოკი, თალგამი“, — მირჩევს ყიფიანი. აშკარად ქართული ხუმრობაა. ბოსტანში გამიტყუებს ჩემი მრჩეველი და მერე ნიშნისმოგებით მეტყვის — დღეს პირველი აპრილიაო! რა ვქნა, რომელს დავუჯერო: ცნობილ გერმანელ მეცნიერებს თუ უცნობ დურმიშხან ყიფიანს?**

რაც მართალია, მართალია. ტუნების აღმოჩენის „გადმომღერებისას“ ყალბი ტონები არ შეინიშნება, მაგრამ მთვარის მოძრაობა და მისი გავლენა დედამიწაზე (სხვა წყაროების გამოყენების გამო) ამ მეცნიერულ სიახლეს ვერ „შეუხმატკბილა“, რამაც დისონანსი გამოიწვია. თვალისმომჭრელია ბროშურის პირველსავე გვერდზე შემდგენლის მკაცრი გაფრთხილება: **„კალენდარში მოცემული ტექსტებისა და ცხრილების გამოყენება ან მათი ასლების გამრავლება საავტორო უფლებების თანახმად, აკრძალულია ავტორ-შემდგენლის წერილობითი თანხმობის გარეშე“.**

**დიახ, როგორ ხაზგასმით აღნიშნავს თავის საავტორო უფლებებს, მაშ, მარია და მათიას ტუნებმა რაღა თქვან?“** (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994 წლის 10 მაისი).

მადლობა, ქალბატონ ლეილას პირუთვნელი, მამხილებელი სტატიისთვის!

2015 წლის 17 მაისს ტელეკომპანია „კავკასიის“ გადაცემის „ვარსკვლავები გვამცნობენ“ ეთერში **მიხეილ ცაგარელისაგან** „უხეირო ნაცოდვილარის“ ხოტბა-დიდება მოვისმინე.

მიხეილ ცაგარელმა 2015 წელს გამოცემული ე.წ. „მთვარის ასტროლოგიური კალენდარი“ ხელში აიღო და რეკლამირების მიზნით ისეთი ხოტბა-დიდება შეასხა, რომ თვალებსა და ყურებს არ დავუჯერე, — აქ იპოვით ნაყოფისა და ფესვის დღეებს და მრავალ სხვასო. **არადა, სწორედ ეს არის შეუსაბამო, გაყალბებული, უზურპირებული — ფესვის, ფოთლის, ყვავილისა და ნაყოფის დღეები.**


მარია ტუნი

ჩემმა განცვიფრებამ პიკს მიაღწია, როცა ცაგარელმა „ცრუ დურმიშხანს“ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი და თანაც ასტროლოგი უწოდა. სინამდვილეში, იგი არც დოქტორია, არც სოფლის მეურნე და, რა თქმა უნდა, არც ასტროლოგი.

## «ოპონენტი» თავს ასტროლოგად ასაღებს, რადგან მის «უხეირო ნაცოდვილარს» ყდაზე აწერია «მთვარის ასტროლოგიური კალენდარი», რაც მთვარისა და ასტროლოგიის შეურაცხყოფად მიმაჩნია

**პირუთვნელად თუ ვიტყვით, იგი მხოლოდ და მხოლოდ გონებაშეზღუდული, მაგრამ ცბიერი შარლატანია.**

შარლატანისთვის ასეთი დათვური სამსახურის გაწევა კი ტელემაყურებელთა ფართო აუდიტორიისთვის თვალში „ნაცრის შეყრა“ და ღია ეთერის ბოროტად გამოყენებაა.

2015 წელს გამოცემული ე.წ. „მთვარის ასტროლოგიური კალენდრის“ გაცნობამ თვალნათლივ დამანახვა, როგორ გაჭრილი ვაშლივით ჰგავს იგი 2014 წელს გამოცემულ მართლაც „უხეირო ნაცოდვილარს“, რომელშიც „შემდგენელი“ სხვათა ნააზრევს ისე ურცხვად იყენებს, თითქოს პირველად მან თქვა და აღმოაჩინა, ავტორებს კი არსად ახსენებს.

ახლა მოგახსენებთ „კავკასიის“ გადაცემაზე „თქვენი დრო“, რომელიც 2015 წლის 26 მაისს გავიდა ეთერში. გადაცემა მიჰყავდა ქალბატონ **ლელა ნინუას**, რომელსაც ხელში ეჭირა 2015 წელს გამოცემული ე.წ. მთვარის ასტროლოგიური კალენდარი. რესპონდენტი გახლდათ ჩვენი სტატიის მთავარი გმირი „ცრუ დურმიშხანი“, რომელსაც ღია ეთერში ხოტბა-დიდება შეასხეს.

მიხეილ ცაგარელმა „ცრუ დურმიშხანს“ ჰკითხა: **„როგორ დაიწყო თქვენი დაინტერესება ასტროლოგიით, სოფლის მეურნეობით?**

— ჩემი „ასტროლოგიური კალენდრით“ დაინტერესება მკითხველებისა — ეს თქვენი დამსახურებაა, მადლობა თქვენ ამისთვის! ისე, როგორც სხვა დარგებში თვითნასწავლი გახლავართ, ასტროლოგიით გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში დავინტერესდი...

**— თქვენ ამას, ალბათ, გამოცდიდით...**

ამ კითხვაზე რესპოდენტის პასუხები, დიდი ილიას ცნობილი გმირის, გლახა ჭრიაშვილის უაზრო ლაპარაკს დაემსგავსა. ან რა უნდა ეთქვა — მისი „უხეირო ნაცოდვილარი“, არსად არასოდეს გამოცდილა ან რაა მასში გამოსაცდელი? — ცხადია არაფერი.

**„ბ-ნი ცაგარელი: — დურმიშხანს აქვს ეზოთერულ-ასტროლოგიური ხედვა, მათ შორის, მაგალითად, სიქსტეს კაპელასთან დაკავშირებით.**

— მინდა, რაფაელზე გიპასუხო, ბატონო მიხეილ: იგი, საერთოდ, მადონებს ხატავდა, მინდა, სიქსტეს მადონაზე შევჩერდე, რაც ძალიან საინტერესოა მაყურებლისთვის. როგორ არის ეს სიქსტეს მადონაში, ახლა ვნახოთ“.

და დაიწყო სხვისი აზრების მითვისება-გამოყენების გაუთავებელი სიტყვების კაკოფონია.

ამ საკითხზე მკითხველს მოვახსენებ უტყუარ ინფორმაციას: **დოქტორი რუდოლფ შტაინერის სწავლების მიმდევართა შორის, ანუ ანთროპოსოფთა წრეებში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ხშირად იმართება შეხვედრები გენიალური ფერმწერის — რაფაელის — ჭეშმარიტების ამსახველ-გამომხატველი სიქსტეს მადონას ირგვლივ და ხელოვნების მოყვარული მცოდნე მონაწილეები საინტერესო აზრებს ერთმანეთს უზიარებენ.** ამ სტატიის ავტორს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ასეთ განხილვაში.

უეჭველია, რომ „ცრუ დურმიშხანმა“ აღნიშნულ წრეებში მოსმენილი თავის აზრად და მიგნებად გაასაღა ღია ეთერში. თუმცა გაგონილი ჯეროვნად ვერ გაიმეორა, გააბუნდოვანა. დოქტორ შტაინერის გამონათქვამი კი — ახალდაბადებული ჩვილი დედის რძის მიღებისთანავე მიწიერი არსება ხდებაო, — ზუსტად გაიმეორა, თუმცა არ მიანიშნა, თავის აზრს რომ არ ამბობდა.

თუმცა გადაცემაში იყო ეპიზოდი, სადაც მას სხვისი ნააზრევი არ გაუმეორებია და თავის მიგნებად არ გაუსაღებია:

„პეკინის ქუჩაზე აკეთებდნენ ქვაფენილს, მე ვეუბნები, — ინჟინერი თუ გყავთ-მეთქი, აბა, მუშებს რა უნდა უთხრა?! იქვე მიმანიშნეს, — იქ დგასო, მე ვუთხარი აიყრება-მეთქი. — არაო, კარგად ვაკეთებთ და არ აიყრებაო. — რაც უნდა კარგად გააკეთოთ, აიყრება-მეთქი. ახლა სულ ამოყრილია და ვფრთხილობ, — ფეხი არ წავკრა“...

ძვირფასო მკითხველო, კომენტარი, ალბათ, ზედმეტია.

**გადაცემის წამყვანს, ქალბატონ ლელას, რომელიც არაერთი მოსაწონი გადაცემის ავტორია, საქმის ვითარება კარგად რომ სცოდნოდა, მოწვეულ ვაჟბატონს დითირამბებით კი არ შეამკობდა, არამედ ეტყოდა, სიცრუეს საზღვარი აქვსო და დასძენდა: „სინდისიც კარგი საქონელიაო“. მსგავს სიტყვებს ცაგარელსაც მიახლიდა და გადაცემის დასასრულს სიმართლე იზეიმებდა.**

ისე, უნდა ითქვას, რომ „ცრუ დურმიშხანის“ „უხეირო ნაცოდვილარის“ სრულ მხილებას, საგაზეთო სტატია კი არა, სქელტანიანი ტომიც ვერ დაიტევს.

დასასრულ, **ბატონ დურმიშხანს სულითა და გულით ვუსურვებ გონებაშეზღუდულობისგან, უკუნისგან, შარლატანობისგან, ყოვლის დამანგრეველი ფარისევლობისგან თავის დაღწევას.** მჯერა, მას ხელეწიფება საკუთარ თავზე გამარჯვება, რადგან დოქტორი შტაინერის სწავლების მიმდევართა წრეებში და, ალბათ, სხვაგანაც, აუცილებლად მოსმენილი და მეხსიერებაში ჩარჩენილი ექნება ძველი ბერძნების შეგონება: „ადამიანო, შეიცან თავი შენი“!

ბრძნული გამონათქვამი — „ადამიანო, შეიცან თავი შენი“, ცხადია, ჩვენთვის, თანამედროვე ეპოქის შვილებისათვისაც, არანაკლებ გასათვალისწინებელი და შესაყვარებელია, ვიდრე ძველბერძნული ეპოქის ადამიანებისთვის.

**კეთილი სურვილებით,**

**დავით მორგოშია**

## ბატონ დურმიშხანს სულითა და გულით ვუსურვებ გონებაშეზღუდულობისგან, უკუნისგან, შარლატანობისგან, ყოვლის დამანგრეველი ფარისევლობისგან თავის დაღწევას

## გახსენება



**5 ოქტომბერს ჩემი სიყრმის მეგობარი ანანია სალუქვაძე 59 წლის გახდებოდა, 2009-ში წამებით რომ არ მოეკლათ გლდანის ციხეში, ჩემი თაობის თბილისელებში ვაჟკაცობით, სამართლიანობით ცნობილი, ფართო საზოგადოებისთვის კი უცნობი ნიჭიერი პოეტი და პროზაიკოსი.**

ერთხელ ჩემს ოჯახში გახურებული ქეიფის დროს ქაღალდი და კალამი მთხოვა, გადაჯდა პატარა მაგიდასთან და ექსპრომტად დამიწერა ლექსი, რომელსაც ანანიას შინაგანი სამყაროს წარმოსაჩენად გთავაზობთ:

**„გაიხსნა ძველი ჭრილობა,**
**ვერ გავუფრთხილდით იარებს.**
**ცრემლი, სისხლი და გოდება**
**შიგ სულში დაატრიალეს.**
**მზე ფითრდებოდა, ქრებოდა,**
**თურმე არწივი კვდებოდა,**
**ყორნებს სვავები მიემხრნენ,**
**გმირი კვლავ მარტო რჩებოდა.**
**არავინ იცის, რა ხდება**
**ან კიდევ რა მოხდებოდა,**
**ჩვენი ცხოვრება ტიალი**
**უკუღმა ტრიალდებოდა.**
**ბავშვი, ქალი და მოხუცი**
**არავის ეცოდებოდა,**
**ვაი, რა ჟამი დაგვიდგა,**
**ძმაკაცი გვენატრებოდა!**
**მამა-პაპათა საფლავი**
**ბალახით იფარებოდა,**
**ნაკადულები მთებიდან**
**სულ სისხლით ფერადდებოდა.**
**„უშიში ვითარც უხორცო“**
**კაცი ბრძოლაში კვდებოდა.**
**ბედის ვარსკვლავი იწვოდა,**
**მთვარე უკუღმა დგებოდა...**
**მზე ფითრდებოდა, ქრებოდა,**
**მყინვარზე თოვლი დნებოდა,**
**ბედი ქართველი კაცისა**
**არავის ედარდებოდა!**

**ღმერთმა ნათელში**
**ამყოფოს შენი**
**ქართული სული!..**

**დავით მხეიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კონსერვირების მეთოდის გამომგონებლად მიიჩნევა ცნობილი ფრანგი მზარეული ნიკოლა აპერი, რომელმაც შეამჩნია, რომ გამოხარშულ ქილებში წვენი დიდხანს არ ფუჭდებოდა და სხვა პროდუქტებზე დაკვირვება განაგრძო. საკვების შენახვის ეს მეთოდი მაშინვე გამოიყენა ნაპოლეონ ბონაპარტემ ჯარის საკვებით მოსამარაგებლად, აპერს კი ამ გამოგონებისთვის დიდი პატივი და კაცობრიობის კეთილისმყოფელის ტიტული ერგო.**

# ზოგი რამ კონსერვებზე

**ბევრი ისე მიეჩვია საზამთროდ კონსერვების მომარაგებას, ვერც კი წარმოუდგენია, მათ გარეშე როგორ უნდა გაიტანოს თავი. კონსერვი მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტია, რომელიც სპეციალური მეთოდით მუშავდება და ჰერმეტულად იფუთება ხანგრძლივი შენახვისთვის გარემოს ზემოქმედებისგან დასაცავად. დამარილებით, ხარშვით ან სტერილიზაციით მარაგად დამზადებული საკვები პროდუქტი ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელშია მოთავსებული.**



**ზეთიან კონსერვებს უნდა ერიდონ პანკრეატიტით, ქოლეცისტიტით დაავადებულები. გარდა ამისა, ზეთი კალორიების წყაროა. ვერც მურაბას ვუწოდებთ სასარგებლო პროდუქტს. ის უხვად შეიცავს შაქარს, რაც იმას ნიშნავს, რომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის და ჭარბწონიანთათვის არასასურველია**

კონსერვის ისტორია ათასობით წელს ითვლის. პირველი კონსერვები ეგვიპტეში აღმოაჩინეს ფარაონ ტუტანხამონის სამარხის გათხრისას. ეს იყო შემწვარი, ზეითუნის ზეთში ჩაწყობილი იხვები თიხის ჯამებით, რომლებიც კუპრით იყო ჰერმეტიზებული. ამ კონსერვებმა მიწაში 3000 წელი გაატარა, მაგრამ საკვები თვისებები შეინარჩუნა.

**კონსერვირების მეთოდის გამომგონებლად მიიჩნევა ცნობილი ფრანგი მზარეული ნიკოლა აპერი, რომელმაც შეამჩნია, რომ გამოხარშულ ქილებში წვენი დიდხანს არ ფუჭდებოდა და სხვა პროდუქტებზე დაკვირვება განაგრძო. საკვების შენახვის ეს მეთოდი მაშინვე გამოიყენა ნაპოლეონ ბონაპარტემ ჯარის საკვებით მოსამარაგებლად, აპერს კი ამ გამოგონებისთვის დიდი პატივი და კაცობრიობის კეთილისმყოფელის ტიტული ერგო.**

თანამედროვე სახე კონსერვებმა მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში მიიღო. კონსერვირებული პროდუქტების მასობრივი წარმოების ცენტრად იქცა ამერიკა.

ხილ-ბოსტნეულის დაკონსერვება ძალზე ეკონომიური საშუალებაა საიმისოდ, რომ ზამთრის ცივ დღეებში ოჯახის წევრებს ხარისხიანი და ყუათიანი საკვებით გავუმასპინძლდეთ. ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, თუ ქალის შრომას არ ჩავთვლით, ხილისა და ბოსტნეულის მომარაგება ოჯახს ორჯერ უფრო ნაკლები უჯდება, ვიდრე კომერციული კონსერვების შეძენა.

ამერიკაში კონსერვირება ისე პოპულარულია, რომ ზემოხსენებულმა სამინისტრომ საკითხის ღრმად შესასწავლად და თანამემამულეთა განათლების მიზნით შინ საკვების დაკონსერვების ეროვნული ცენტრი შექმნა. ეს უკანასკნელი კი გემრიელი და უსაფრთხო კონსერვირების წესების შესახებ ყოველწლიურად სამასგვერდიან სახელმძღვანელოს ამზადებს, როგორც თვითონ ამბობს, მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით. თურმე მრავალი ბოსტნეული მოწყვეტის შემდეგ ვიტამინებს თანდათან კარგავს. სულ რამდენიმე დღეში ოთახის ტემპერატურაზე ვიტამინების მარაგი ნახევრდება. მაცივარში ნადებ მოსავალსაც 1-2 კვირაში ვიტამინების ნახევარი ან უფრო მეტი ეკარგება. მაღალ ტემპერატურაზე კონსერვირებისას, A, C ვიტამინების, თიამინისა და რიბოფლავინის (B1 და B2) მესამედიდან ნახევრამდე იშლება, კონსერვირების შემდეგ კი ამ მგრძნობიარე საკვები ნივთიერებების დანაკარგი წელიწადში 5-დან 20%-მდეა. სამაგიეროდ, დანარჩენი ვიტამინების რაოდენობა კონსერვში ახალი მოსავლისას ოდნავ თუ ჩამოუვარდება.

თუმცა არსებობს გამონაკლისებიც: მაგალითად, **პომიდორი თერმული დამუშავებისას ყველა სასარგებლო თვისებას ინარჩუნებს. მაგნიუმი და კალციუმი კონსერვირების დროს არ იკარგება, ხოლო ანტიოქსიდანტები — ბეტა კაროტინი და ლიკოპინი — გაცხელების შემდეგ უფრო სასარგებლო ხდება.** კონსერვირება გავლენას არ ახდენს ცხიმოვანი მჟავების შემცველობაზე. ისინი განსაკუთრებით ბევრია თევზის კონსერვებში, რომლებიც სასარგებლოა არა მხოლოდ ცხიმოვანი მჟავების, არამედ კალციუმის მაღალი შემცველობის გამოც.

**სამწუხაროდ, საშინაო პირობებში აბსოლუტურად უსაფრთხო კონსერვების მომზადება პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ, თუ მაინც ვამზადებთ, სპეციალისტების ზოგიერთი რჩევის გათვალისწინება გვმართებს.**

დიდი მნიშვნელობა აქვს კონსერვის მჟავიანობას. კონსერვირებული საკვები, რომლის pH (მჟავატუტოვანი წონასწორობა) 4,6 ან მასზე ნაკლებია, მაღალმჟავურ საკვებად ითვლება, ხოლო ის, რომლის pH-იც 4,6-ზე მეტია, — სუსტ მჟავა საკვებად.

მაღალმჟავური პროდუქტებია ხილი და ხილის წვენები, ჯემები, მარინადები, პომიდორი, ტყემალი. ცალკეულ შემთხვევაში მჟავიანობის ასამაღლებლად შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი საშუალებები, როგორიც არის ლიმონმჟავა, ლიმონის წვენი, ძმარი. ასეთი კონსერვების დუღილის ტემპერატურაზე სტერილიზაცია დასაშვებად და ნაკლებ სარისკოდ მიიჩნევა.

**სტერილიზაციასა და მოხუფვას კი თავისი წესები აქვს, რომლებიც ზედმიწევნით უნდა დავიცვათ.** ამერიკელებმა სპეციალური ცხრილებიც კი შეადგინეს ამა თუ იმ ხილისა და ბოსტნეულის სტერილიზაციაზე. საქმე ის არის, რომ, რაც უფრო მაღლა ავდივართ ზღვის დონიდან, მით უფრო ნაკლებ ტემპერატურაზე დუღს წყალი და მეტი დროა საჭირო სტერილიზაციისთვის. დუღილის დროს კონსერვიც და მასა და სახურავს შორის დარჩენილი ჰაერიც ფართოვდება, მოხუფვისა და გაცივების შემდეგ კი კონსერვსა და სახურავს შორის გაიშვიათებული ჰაერი — ვაკუუმი იქმნება, რომელიც პროდუქტს ინახავს, ჟანგბადსა და მიკროორგანიზმებს კი იქ მოხვედრაში ხელს უშლის. ამიტომაც პროდუქტსა და ქილის ხუფს შორის სივრცეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამერიკის სოფლის მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, მურაბებსა და ჯემებში სიცარიელე 6-7 მმ სისქისა მაინც უნდა იყოს, კომპოტებისა და პომიდვრის კონსერვში კი 12-13 მმ. ამავე მიზეზით მოხუფული ქილები აუცილებლად ოთახის ტემპერატურაზე უნდა გავაგრილოთ და არა, ვთქვათ, ცივ წყალში; შენახვა შეძლებისდაგვარად დაბალ ტემპერატურაზე სჯობს.

სუსტი მჟავა პროდუქტები — პარკოსნები, ბადრიჯანი, ხორცი, ფრინველი, თევზი, ნანადირევი ცხოველი – განსაკუთრებით საშიშია და მათი კონსერვირება მაღალი წნევის პირობებში 120XC-ზეა რეკომენდებული, სახლში კი, მოგეხსენებათ, ასეთ პირობებს ვერ შევქმნით.

არ არის რეკომენდებული, ყველამ მიირთვას ყველა სახის კონსერვი, მარილსა და ძმარს უნდა უფრთხილდნენ ისინი, ვისაც თირკმელები, კუჭ-ნაწლავი აწუხებს ან შეშუპებებისადმი მიდრეკილება აქვს.

**ზეთიან კონსერვებს უნდა ერიდონ პანკრეატიტით, ქოლეცისტიტით დაავადებულები. გარდა ამისა, ზეთი კალორიების წყაროა.**



**ვერც მურაბას ვუწოდებთ სასარგებლო პროდუქტს. ის უხვად შეიცავს შაქარს, რაც იმას ნიშნავს, რომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის და ჭარბწონიანთათვის არასასურველია.**

თითქმის ყველა კურკოვანი ხილის კურკა შეიცავს ნივთიერება ამიგდალინს, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას სინილის მჟავად (საშიშ შხამად) გარდაიქმნება. ცოცხალ და ახალდაკონსერვებულ ხილში ამიგდალინი უმნიშვნელო ოდენობითაა, მაგრამ ხანგრძლივი შენახვისას სინილის მჟავის ოდენობა იზრდება, ამიტომ კურკიანი მურაბებისა და კომპოტების ერთ წელიწადზე მეტხანს შენახვა არ შეიძლება, ხოლო 12 წლამდე ასაკის ბავშვებს კურკიანად დაკონსერვებულ ხილს საერთოდ ნუ მისცემთ.

მნიშვნელოვანია დასაკონსერვებელი ხილისა და ბოსტნეულის ხარისხიც. ეცადეთ, გამოიყენოთ მხოლოდ საღი პროდუქტი — შელახული ხილ-ბოსტნეულის დაკონსერვებისას მასში ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებები გამოიყოფა.

კონსერვირებისას ნუ გამოიყენებთ ასპირინს — აცეტილსალიცილის მჟავას. ასპირინი სპობს ბაქტერიებს და კონსერვი დიდხანს არ ფუჭდება, ამიტომ დაკონსერვების ეს მეთოდი პოპულარულია, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ასპირინის ზემოქმედებით კონსერვში წარმოქმნილი ფენოლის ნაერთები ადამიანისთვისაც მომწამვლელია.

ამასთანავე, ასპირინი წამალია, რომელსაც თანამდევი ეფექტებიც აქვს. საკვებდანამატად მისი გამოყენება ზრდის ორგანიზმის მგრძნობელობას სალიცილმჟავას შემცველი პრეპარატების მიმართ. ის არ შეიძლება ალერგიული პირებისთვის, ამიტომ ეცადეთ, საკვები ასპირინის გარეშე დააკონსერვოთ.

კონსერვის შექმნის დღიდან ბჭობენ მის მარგებლობასა თუ მავნებლობაზე. ექიმები მას „მკვდარ“ პროდუქტს უწოდებენ. საქმე ის არის, რომ პროდუქტი, რომელიც ასეთ ინტენსიურ თერმულ დამუშავებას გადის, ფაქტობრივად, კარგავს სასარგებლო თვისებებს. ქარხნული წესით დამზადებულ კონსერვებს წარმოებისას ამატებენ კონსერვანტებს, ემულგატორებს, გემოს გამაძლიერებლებს, სტაბილიზატორებს, რომლებიც ორგანიზმში გროვდება და ნელ-ნელა წამლავს მას.

ერთი შეხედვით, კონსერვი სწორედ იმისთვის მზადდება, რომ დიდხანს შევინახოთ, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებული წესების დაცვით: ცივ, ბნელ და მშრალ ადგილას. ქილა გადასაგდებია, თუ ზამთარში აივანზე ინახებოდა და მისი შიგთავსი გაიყინა; თავსახური ჟანგიანი, დეფორმირებული ან ამობურცულია; შიგ ჰაერის ბუშტუკები ჩანს ან შიგთავსი შემღვრეულია.

შეფუთული სოსისი, ძეხვი, ხორცისა და თევზის ნაჭრები მაცივარში მაქსიმუმ ერთ კვირას შეიძლება შევინახოთ, გახსნილი პაკეტის შენახვა კი მხოლოდ 3-4 დღეა დასაშვები.

კონსერვებისგან მოსალოდნელი უმთავრესი საფრთხე ბოტულიზმია. ბოტულიზმი ინფექციური დაავადებაა, რომელიც აზიანებს ადამინის ნერვულ სისტემას და შეიძლება გამოიწვიოს დამბლა და სიკვდილიც კი. ბოტულიზმს იწვევს ანაერობული მიკრობი, რომელსაც უჟანგბადო გარემოში შეუძლია სოცოცხლე. ხელსაყრელ პირობებში ბაქტერიები იწყებს გამრავლებას, გამოყოფს რა განსაკუთრებით საშიშ ტოქსინს.

ბოტულიზმის ბაქტერიები აქტიურად მრავლდება და ტოქსინებს გამოყოფს უჟანგბადო გარემოში. ბაქტერიები ძალიან მდგრადია.

**ბოტულიზმის კლასიკური სიმპტომებია: მხედველობის გაორება და დაბინდვა; ქუთუთოების დაწევა; ყლაპვის გაძნელება; გაურკვეველი მეტყველება (ბგერების ყლაპვა); პირის სიმშრალე; კუნთების სისუსტე.** საკვებისმიერი ბოტულიზმის პირველი სიმპტომები გამოვლინდება დაბინძურებული საკვების მიღებიდან 18-36 საათის შემდეგ, იშვიათად — უფრო ადრეც — 6 საათში ან უფრო გვიან, 10 დღის შემდეგაც კი. ბოტულიზმმა შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი, რომლის უშუალო მიზეზიც სასუნთქი სისტემის კუნთების დამბლა და სუთქვის უკმარისობაა.

ბოტულიზმისგან განკურნებული პაციენტი, შესაძლოა, რამდენიმე წლის განმავლობაში უჩიოდეს ჰაერის უკმარისობას, დაღლილობას... სრული გამოჯანმრთელებისთვის, შესაძლოა, ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდეს.

აუცილებელია ბოტულიზმზე საეჭვო ყველა ავადმყოფის სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია და მკურნალობის დაუყოვნებლივ, დიაგნოზის დადასტურებამდე დაწყება. ყველას, ვინც საეჭვო პროდუქტი მიიღო, უნდა დაუწესდეს სამედიცინო მეთვალყურეობა 10-12 დღის განმავლობაში. საეჭვო პროდუქტები უნდა განადგურდეს. დაავადების შორს წასული ფორმები, მაგალითად ისეთები, როგორიც არის სასუნთქი კუნთების დამბლა, მოითხოვს რეანიმაციულ ჩარევას — ავადმყოფის ხელოვნური სუნთქვის აპარატზე ჩართვას და სათანადო მოვ- ►



**კონსერვირებისას ბოტულიზმისგან თავის დასაცავად აუცილებელია პროდუქტებისა და კონსერვირებისთვის საჭირო ჭურჭლის ხარისხიანი გარეცხვა. პროდუქტები თერმულად ხანგრძლივად უნდა დამუშავდეს. კონსერვირებისას ნუ გამოიყენებთ გაფუჭებულ ან ძველ პროდუქტს, იგი უნდა იყოს სალი და საუკეთესო ხარისხის.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლას. რამდენიმე ხნის შემდეგ იწყება გაუმჯობესება. ადრეულ სტადიაში დიაგნოსტირებისას სამკურნალოდ გამოიყენება ანტიტოქსინური შრატი, რომელიც ბლოკავს სისხლში მოცირკულირე ტოქსინს. ეს პაციენტს შემდგომი გაუარესებისგან იცავს, თუმცა საბოლოო გამოჯანმრთელებას მაინც რამდენიმე კვირა სჭირდება.

ბევრ დიასახლისს აინტერესებს, იღუპება თუ არა ბოტულიზმის გამომწვევი ბაქტერიები დუღილისას ან კონსერვისთვის ასპირინის დამატება დაგვიცავს თუ არა მისგან.

ბოტულიზმი ბუნებაში ორი ფორმით არსებობს: ვეგეტატიური და სპორის ფორმით. ბოტულიზმის ვეგეტატიური ფორმა იღუპება 100 გრადუსზე 5 წუთით დუღილისას, ხოლო სპორას ფორმა 120 გრადუსზე ნახევარსაათიანი დუღილისას, რაც შეუძლებელია, სახლის პირობებში გაკეთდეს. სპორა მდგრადია მადეზინფიცირებელი საშუალებების მაღალი კონცენტრაციის მიმართ, მათ შორის ასპირინის მიმართაც. სპორა უძლებს გაყინვას, გამოშრობასა და ულტრაიისფერ გამოსხივებას.

ჩვეულებრივი, სალი და ბოტულიზმიანი კონსერვი არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან. ბაქტერიები არანაირად ვლინდება არც შესახედაობით, არც სუნით და არც გემოთი. ტოქსინის არსებობის ზუსტი განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ლაბორატორიული კვლევით.

**კონსერვირებისას ბოტულიზმისგან თავის დასაცავად აუცილებელია პროდუქტებისა და კონსერვირებისთვის საჭირო ჭურჭლის ხარისხიანი გარეცხვა. პროდუქტები თერმულად ხანგრძლივად უნდა დამუშავდეს. კონსერვირებისას ნუ გამოიყენებთ გაფუჭებულ ან ძველ პროდუქტს, იგი უნდა იყოს სალი და საუკეთესო ხარისხის.** უკვე მომზადებული კონსერვები შეინახეთ გრილ და ბნელ ადგილას (4-15 გრადუსამდე). საკვებად არ გამოყენოთ კონსერვი, რომლის სახურავიც ამობურცულია. საკვებად მიღების წინ კონსერვი ადუღეთ 20 წუთით.

საკვებისმიერ ბოტულიზმს უმეტესად შინ მომზადებული კონსერვები იწვევს: მწვანე ლობიოს, ბადრიჯნის, შებოლილი ხორცი... უფრო იშვიათია, თუმცა მაინც გვხვდება ზეთში დაკონსერვებული სოკოთი, წიწაკითა და პომიდვრით შეზავებული პროდუქტით მოწამვლაც.

საკვების მომზადებისას დაშვებული შეცდომები არა მხოლოდ ბოტულიზმის, არამედ სხვა ინფექციური დაავადებების მიზეზადაც შეიძლება იქცეს. რამდენიმე ამგვარი შეცდომა იმდენადაა გავრცელებული, რომ თითქმის ყველა დიასახლისს ახასიათებს პერიოდულად.

ხორცი პათოგენური ბაქტერიებისთვის ნამდვილი სამოთხეა. მათი უვნებელყოფა მხოლოდ მომზადების წესების მკაცრი დაცვით შეიძლება.

**კერძი უვნებელი რომ იყოს, მისი მომზადებისას ტემპერატურამ განსაზღვრულ დონეს უნდა მიაღწიოს: ღორის ხორცის შეწვისას — +70 გრადუსს, ხბოსა და ბატკნის ხორცის შეწვისას + 75-ს, ფრინველის შეწვისას — +80-ს.** ხორცი შემწვარია, როცა ჩანგლით ჩაჩხვლეტისას ოქროსფერი წვენი გამოიყოფა. სისხლნარევი წვენი იმაზე მიუთითებს, რომ ხორცს თერმული დამუშავება აკლია. თევზი არ უნდა ეკრობოდეს ჩანგალს, კიბორჩხალები უნდა ვხარშოთ, ვიდრე კარგად არ გაწითლდება და გამაგრდება.

ქათმისა და სხვა ფრინველების კვერცხი სალმონელებისთვის იდეალური ნიადაგია. ასე რომ, თუ თოხლო კვერცხი გიყვართ, გიჯობთ, გემოვნება შეიცვალოთ და კვერცხი მაგრად მოხარშოთ. ამისთვის დაახლოებით ხუთწუთიანი დუღილია საჭირო. ერბოკვერცხი მაშინ არის მზად, როცა საბოლოოდ გაქრება ცილის გამჭვირვალე ჩანართები, ომლეტის მომზადებას კი 7-8 წუთი სჭირდება.

**თუ უმი ბოსტნეული — კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი, ასევე, ბურღულეული დიდხანს ინახება სიცივის გარეშე, მათგან მომზადებული კერძს გაზქურაზე ნუ დატოვებთ. შეინახეთ მხოლოდ მაცივარში, თანაც თავდახურული ჭურჭლით.**

ზოგადად, ახალი პროდუქტები ყოველთვის სჯობს დაკონსერვებულს. ხორცისა და ხორცის ნაწარმის დაკონსერვება პროდუქტის ბიოლოგიურ ღირებულებას პრაქტიკულად ყოველთვის აუარესებს: სტერილიზაციის დროს 20%-ით მცირდება ცილების ათვისებადობა, იშლება ვიტამინებისა და შეუცვლელი ამინომჟავების ნაწილი.

გარდა ამისა, როგორც წესი, კონსერვებში არის საკვებდანამატები, რომლებიც მიკრობების გამრავლებას უშლის ხელს და ანელებს პროდუქტის დაჟანგვა-დაძველებას. როგორც წესი, ეს ნივთიერებები ადამიანისთვის არ არის სასარგებლო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნიტრატები, რომლებიც ხორცთან ურთიერთქმედების შედეგად კანცეროგენულ ნივთიერებებს — ნიტროზამინებს წარმოქმნიან, ამიტომ სასურველია, ხორცის კონსერვები დიდი ოდენობით არ მიირთვათ.

ხორცის კონსერვის უვნებლობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ჭურჭელი, რომელშიც ის არის მოთავსებული. გამოიყენება მეტალის, პოლიმერული მასალის ან მინის ქილები. მეტალის ქილა (აგრეთვე, მინის ქილის ხუფები) უნდა იყოს ორმხრივად მოკალული და სპეციალური საფარით დაფარული, რათა კონსერვის შიგთავსი ლითონს არ შეეხოს. განსაკუთრებით კოროზიისუნარიანია ბოსტნეულთან (მაგალითად, პომიდორთან) ერთად მომზადებული ხორცის კონსერვი, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ჭურჭელი, რომელშიც ის არის მოთავსებული, არ იყოს დაზიანებული.

**ყველაზე მოკლე შენახვის ვადა აქვს პასტერიზებულ კონსერვებს — ისინი სულ 6 თვე ინახება. მხოლოდ 12 თვე ინახება კონსერვები, რომლებმაც დაბალტემპერატურული სტერილიზება გაიარეს. ასევე 12 თვე ინახება ჰერმეტულ ჭურჭელში მოთავსებული შებოლილი ხორცპროდუქტები.**

ხორცის ბოსტნეულთან ან ბურღულეულთან ნარევის სტერილიზებული კონსერვი ლითონის ქილაში 1-2 წელი ინახება, შუშის ქილაში — 2-3 წელი;

ხორცის სტერილიზებული კონსერვი ბოსტნეულ-ბურღულეულის გარეშე ალუმინის ქილებში 4 წელი ინახება, მოკალულ ლითონის ქილებში — 5 წელი.



**მას შემდეგ, რაც გაარკვევთ, რომ ვადა დაცულია, კარგად დაათვალიერეთ კონსერვის ქილა. დააკვირდით, რომ მეტალის ნაწილები არ იყოს დაჟანგული, მეტალის ან პოლიმერული მასალის ნაწილები არ იყოს არაბუნებრივად გამობერილი, ლითონის ქილა არ იყოს დაბრეცილი ან დაზიანებული, მინისა — დაბზარული**



ცნობილია, აგრეთვე, ტროპიკული ქვეყნებისთვის სპეციალური ტექნოლოგიით დამზადებული კონსერვები, რომლებიც +40 გრადუს ტემპერატურაზე შენახვის დროსაც კი 1 წლის განმავლობაში ინარჩუნებს თვისებებს.

**კონსერვის შეძენისას ყურადღება უნდა მიაქციოთ ორ მაჩვენებელს: ხომ არ გასულა მისი შენახვის ვადა და ხომ არ არის დაზიანებული ჭურჭელი, რომელშიც კონსერვია მოთავსებული.**

**მას შემდეგ, რაც გაარკვევთ, რომ ვადა დაცულია, კარგად დაათვალიერეთ კონსერვის ქილა. დააკვირდით, რომ მეტალის ნაწილები არ იყოს დაჟანგული, მეტალის ან პოლიმერული მასალის ნაწილები არ იყოს არაბუნებრივად გამობერილი, ლითონის ქილა არ იყოს დაბრეცილი ან დაზიანებული, მინისა — დაბზარული.**

გარე დათვალიერება, შესაძლოა, საკმარისი არ აღმოჩნდეს, ზოგჯერ ქილას ან ხუფს აქვს მიკრობზარები, რომლებიც თვალით არ შეიმჩნევა. საშიშროებაა, არის შემთხვევები, როცა კონსერვები დაძველებული ნედლეულისგან მზადდება ან ირღვევა დაკონსერვების, კონსერვის ქილის დამზადების ან მოხუფვის ტექნოლოგია. შესაძლოა, დარღვეული იყოს კონსერვის შენახვის პირობებიც, მაგალითად, კონსერვი მაღაზიის დახლზე თაკარა მზის ქვეშ იდოს. ამიტომ გახსნის შემდეგ დააკვირდით ქილისა და ხუფის შიგა კედლებს და კონსერვის შიგთავსს. არ მიირთვათ ხორცის კონსერვი, თუკი ქილის ან ხუფის შიგა კედლებზე ლითონი სხვადასხვა ფერისაა ან აქვს ჟანგის ლაქები ან ზოლები, თუ კონსერვის შიგთავსს აქვს უჩვეული სუნი, შეიმჩნევა ობის, დუღილის ან ლორწოს ნიშნები, თუკი ხორცი კონსერვში ძლიერ მოშვებულია ან აქვს ლითონის გემო.

კონსერვი პრაქტიკული მოსახმარია იმით, რომ დიდი ხნის განმავლობაში არ გასდის ვადა, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ მას მარტო სტიქიური მოვლენების დროს ან საომარ პირობებში არ იყენებენ. კონსერვი არ კარგავს თავის პოპულარობას უკვე ორასი წლის განმავლობაში. მხოლოდ საბჭოთა კავშირში კონსერვის 600-მდე სახეობა გამოდიოდა. დღეს კი შეგვიძლია არა მხოლოდ ხელმისაწვდომი მწვანე ბარდის ან ძროხის ხორცის კონსერვის ყიდვა, არამედ ისეთი კონსერვებისაც, რომლებიც ფასითაც და გემოთიც განსაკუთრებულია.

**შავი ხიზილალა ითვლება ყველაზე ელიტურ დელიკატესად, ასევე, ის ყველაზე ძვირი კონსერვირებული პროდუქტია მსოფლიოში. ევროპელები ერთ კილოგრამ შავ ხიზილალაში 5000 ევრომდე იხდიან.**

აბალონი ზღვის მოლუსკის სახელწოდებაა, რომელიც კალიფორნიის, მექსიკისა და იაპონიის წყლებში ბინადრობს. აბალონის ნიჟარა წააგავს ადამიანის ყურს, რის გამოც მოლუსკის ამ სახეობას იშვიათად ყურისასაც კი უწოდებენ. მოლუსკის ხორცი ითვლება დელიკატესად, მას მიირთმევენ როგორც უმს, ასევე კონსერვირებულ მდგომარეობაში. მისი მირთმევა ძვირი სიამოვნებაა. იმის მიუხედავად, რომ მას, როგორც ბუნებრივად, ასევე ხელოვნურადაც ამრავლებენ. დელიკატესის ფასი შეადგენს 119 აშშ დოლარს, ქილაში სამი მოლუსკია, რომელთა საერთო წონა 500 გრამამდეა.

**ტრიუფელის ხსენებისას ბევრი შოკოლადის კანფეტს წარმოიდგენს, მაგრამ ნამდვილმა გურმანებმა იციან ამ დელიკატესის შესახებ, რომლის ფასსაც ზოგ შემთხვევაში შეუძლია, კონკურენცია გაუწიოს ოქროს ფასსაც კი.** მსოფლიოში არის ტრიუფელის მხოლოდ რამდენიმე სახეობა. ყველაზე ხელმისაწვდომი ფასი აქვს შავ ჩინურ ტრიუფელს — 64 დოლარი. ეს იმითაა განპირობებული, რომ ჩინეთში ტრიუფელების დიდი მოსავალი მოდის და არა მისი ხარისხის გამო. ჩინური ტრიუფელი გააქვთ ევროპაში, აგრეთვე, მისგან ამზადებენ კონსერვებს. ნედლი ტრიუფელის ყიდვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, ის უფრო კონსერვის სახით იყიდება.

**ქონიანი ღვიძლი** არც თუ ისე გემრიელად „ისმის", მაგრამ ზუსტად ასე ითარგმნება ფრანგულიდან სახელგანთქმული დელიკატესი foie gras. ამ პროდუქტის მთავარი მწარმოებლებიცა და მომხმარებლები ფრანგები არიან. ერთი ქილა 50 ფუნტი სტერლინგი ღირს. სინამდვილეში ეს დელიკატესი ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში მოიგონეს. ფუა-გრა გვაგონებს პაშტეტს, მაგრამ განსხვავდება იმით, რომ მომზადების სხვა წესი აქვს და უფრო ნაზი გემო. ფუა-გრა გაყიდვაში ხშირად კონსერვირებული სახით გვხვდება. დელიკატესს მიირთმევენ ცივად ცოტატი შემთბარ პურთან ერთად.

ფრანგების ერთ-ერთ უსაყვარლეს დელიკატესად ითვლება ყურძნის ლოკოკინებისგან დამზადებული კონსერვი, ერთი ქილა 60 დოლარი ღირს. ზოგი ფრანგი ამჯობინებს წვიმის შემდეგ შეაგროვოს ლოკოკინები თავისივე ბაღში. ლოკოკინების ჭამა ანტიკური ეპოქიდან დაიწყეს. შუა საუკუნეებში მას მიირთმევდნენ მარხვის დროს, დღეს კი დელიკატესად ითვლება, რომელსაც დღესასწაულებზე მიირთმევენ. ესკარგოს მომზადება სახლის პირობებში ძალიან ძნელია. ლოკოკინას თავისი ნიჟარისგან აცალკევებენ. ნიჟარას ავსებენ მწვანილითა და სანელებლებით და ისევ ათავსებენ ლოკოკინის ნიჟარაში.

**ევროპაში წაბლის კონსერვი 30-მდე დოლარი ღირს. წაბლთან ერთად კონსერვებში ამატებენ ტკბილ სიროფს ან სულაც ბრენდს. ასევე, იყიდება წაბლის პიურეც.**

ევროპელებს მორიელის ხსენებისას შიში იპყრობს, აზიაში კი მორიელი დელიკატესად ითვლება და ძალიან პოპულარულია. მათ ამზადებენ ორთქლზე ან სულაც მისგან ამზადებენ მწვადს და ბოსტნეულის გარნირთან ერთად მიირთმევენ. რამდენიმე ხნის წინათ კი გაჩნდა შემწვარი მორიელის კონსერვი, რომელშიც, რა თქმა უნდა, შხამი ნეიტრალიზებულია. კონსერვი 5-6 დოლარი ღირს.

1980 წლებამდე ტაილანდში მწერებს იყენებდნენ, როგორც სანელებელს, მაგრამ კალიების მასობრივი შეტევის შემდეგ ფერმერები მათ წვავდნენ და ისე მიირთმევდნენ. ტაილანდში უფრო და უფრო პოპულარული გახდა მწერების დელიკატესები, მათგან ყველაზე პოპულარული კი არის ბამბუკის ჭიანჭველა. შემწვარ მწერებს პაკეტებში აწყობენ, როგორც ჩიფსებს, თითო პაკეტი კი 3 ფუნტი სტერლინგი ღირს.

ცოტა ხნის წინათ მაღაზიის დახლებზე გამოჩნდა კონსერვირებული ნიანგის ხორცი, მისი ფასი 10 ფუნტი სტერლინგია, ხოლო გველის კონსერვის ღირებულება 14 დოლარს უტოლდება.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მაგლევის მატარებელი

**მოგეხსენებათ, იაპონელები მუდმივად ავითარებენ საკუთარ თუ სხვათა ტექნოლოგიურ მიღწევებს.** ამჯერად მათ გამოიგონეს მატარებელი, რომელიც 600 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს. ნამდვილად გამაოგნებელია, როცა 3-საათიან გზას 40-45 წუთში გაივლი, მაგრამ საიდან ამხელა ძრავი სამოგზაურო მატარებელში? პასუხი მაგნიტია. მატარებელი მოთავსებულია სპეციალურ რელსებზე, რომელთაც ქვემოთ მაგნიტი უყენია. ძირში მაგნიტი უყენია მატარებელსაც. მაგნიტები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მოძრაობს და მატარებელი რელსებზე მიცურავს, მისი რელსებიდან გადასვლის შანსი კი 0%-ია.



# მსოფლიოს შვიდი უჩვეულო მიკროსახელმწიფო

**მიკროსახელმწიფო პატარა, სუვერენული სახელმწიფოა. ისინი მსოფლიოში რამდენიმე მიზეზით ჩნდებიან — სახუმაროდ, ხელოვნების ერთგვარი ნიმუშის სახით, პროტესტის მიზნით, პოლიტიკური ან კანონიერი ექსპერიმენტისა და კრიმინალური საქმიანობისთვის. ზოგიერთი ასეთი მიკროსახელმწიფო ძალიან სახალისოა, ზოგი საინტერესო, თუმცა ყველა მათგანი თავისთავად უჩვეულო და უნიკალურია.**



## სილენდის სათავადო

**ტერიტორია: 0,001 კვ.კმ.**
**მოსახლეობა: 3 ადამიანი.**
**სახელმწიფოს მეთაური – მაიკლ ბეითსი.**

სილენდი ყველაზე ცნობილი მიკროსახელმწიფოა და მას სახელი შექმნის უცნაურმა და მიმზიდველმა ისტორიამ მოუხვეჭა. სილენდი დიდი ბრიტანეთის სანაპიროდან დაახლოებით 10 კმ-ში მდებარეობს და თავდაპირველად, მეორე მსოფლიო ომის დროს, ის იყო საზღვაო პორტი, რომელსაც გერმანული საჰაერო ძალების თავდასხმების მოგერიება ევალებოდა. 1967 წელს საზღვაო პორტი პედდი როი ბეითსმა დაიკავა და მეკობრული რადიოსადგურის ასამუშავებლად გამოიყენა. მან და მისმა ოჯახმა ეს ტერიტორია დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარეს, მათ შორის, პასპორტების გაცემის პირობით.

ბეითსი ამტკიცებდა, რომ სილენდმა დე ფაქტო სახელმწიფოებრიობა მაშინ მოიპოვა, როდესაც გერმანიამ აქ დიპლომატი გამოგზავნა, 1968 წელს კი დიდი ბრიტანეთის სასამართლომ დაადგინა, რომ, საერთაშორისო წყლებში მისი მდგომარეობის გამო, ტერიტორია დიდი ბრიტანეთის იურისდიქციაში არ შედიოდა.

1978 წელს აქ ისტორიული მოვლენა მოხდა: ვიდრე ბეითსი სილენდში არ იმყოფებოდა, ქვეყნის პრემიერმინისტრმა ალექსანდ აჰენბახმა ობიექტი შეიარაღებული ძალის გამოყენებით დაიპყრო და ბეითსის შვილი, მაიკლი, ტყვედ აიყვანა, რომელმაც მძევლის როლში რამდენიმე დღე გაატარა და შემდეგ ნიდერლანდებში გაამგზავრეს. მოგვიანებით ბეითსმა პუტჩის უცხოელი მონაწილეები გაათავისუფლა, აჰენბახი კი, რომელსაც სილენდის პასპორტი ჰქონდა, მიკროსახელმწიფოს სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულეს.

1990 წელს სილენდიდან დაცხრილეს ბრიტანული ხომალდი, რადგან ის სილენდის საზღვაო წყლებში შეიჭრა.








## ჰათ-რივერის სათავადო

**ტერიტორია: 75 კვ.კმ.**
**მოსახლეობა: დაახლოებით 20 მუდმივი მცხოვრები და 13-დან 18 ათასამდე უცხოელი.**
**სახელმწიფოს მეთაური — თავადი ლეონარდ I**

ჰათ-რივერის სათავადო (ყოფილი პროვინცია ჰათ-რივერი) დააარსა ლეონარდ ქასლმა 1970 წელს. მიკროსახელმწიფო ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც ჰათ-რივერის რაიონში მდებარე ფერმების მფლობელი ხუთი ოჯახი ჩაერთო დასავლეთ ავსტრალიის მთავრობასთან სამართლებრივ დავაში ხორბლის მოყვანის კვოტების თაობაზე. ამ ოჯახებმა მოიყვანეს კანონით დაშვებულზე ბევრად მეტი ხორბალი, კერძოდ, ათასჯერ მეტი იმ რაოდენობაზე, ვიდრე გაყიდვის უფლება ჰქონდათ.

გუბერნატორთან მიმოწერისას ქასლი საკუთარ თავს პროვინცია ჰათ-რივერის გუბერნატორს უწოდებდა, შემდეგ კი სახელი შეიცვალა და დაირქვა „მისი სამეფო უდიდებულესობა პრინცი ლეონარდ I“, რათა ესარგებლა ძველი კანონით, რომლის მიხედვითაც, ვინც სამეფო ხელისუფლებას შეეხებოდა, მას სახელმწიფოს ღალატი დაედებოდა ბრალად. ეს ღონისძიება ავსტრალიისგან მისი გამოყოფის გასამართლებლად იქნა გატარებული. 1976 წელს ავსტრალიის საფოსტო კორპორაციამ მიკროსახელმწიფოს საფოსტო მომსახურებაზე უარი თქვა, თავად ჰათ-რივერის პროვინციის მცხოვრებლებმა კი სახელმწიფოსგან გადასახადების გადახდის მოთხოვნით არაერთი გაფრთხილება მიიღეს. ქასლმა ავსტრალიას ომი გამოუცხადა, რაც ბოლოს ფოსტის ამუშავებით დასრულდა.



## სამეფო «სხვა სამყარო»

**ტერიტორია: 0,02 კვ.კმ.**
**მოსახლეობა: ცვალებადი.**
**სახელმწიფოს მეთაური — მისი სამეფო უდიდებულესობა დედოფალი პატრიცია I.**

სამეფო „სხვა სამყარო“ შეიქმნა მას შემდეგ, რაც ჩეხეთის რესპუბლიკაში ქალის დომინირების კულტურამ თავი სუვერენულ სახელმწიფოდ გამოაცხადა. აქ დამყარებულია მატრიარქატი, რაც ნიშნავს, რომ ქალები მამაკაცებზე ბატონობენ, დედოფალი კი აბსოლუტური მონარქია. მიზანი, რომელიც ამ მიკროსახელმწიფომ ხმამაღლა განაცხადა, იყო „უმაღლესი ქალის სამბრძანებლოში იმ რაოდენობის მამრის შეგროვება, რამდენსაც ტერიტორია დაიტევს“.

მიკროსახელმწიფოში არსებობს მამაკაცების რამდენიმე კლასი, რომელთაგანაც უმდაბლესია მონათა კლასი. ეს კლასი „ნორმალური სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის დონეზე“ განიხილება. მიუხედავად მცირე ტერიტორიისა, მიკროსახელმწიფოში არის რამდენიმე შენობა და ღია მოედანი, მათ შორის, საწამებელი კამერაც. სამეფო „სხვა სამყაროს“ აქვს საკუთარი პასპორტები, ვალუტა, პოლიცია, სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი.




## მოლოსიის რესპუბლიკა

**ტერიტორია: 0,055 კვ.კმ.**
**მოსახლეობა: 7 ადამიანი**
**სახელმწიფოს მეთაური — ქევინ ბო.**

მოლოსია აშშ-ში, ნევადის შტატის ქალაქ დეიტონის საზღვრებს გარეთ მდებარეობს და შედგება პრეზიდენტის — ქევინ ბოს სახლის, წინა და უკანა ეზოებისა და მიწის ორი ნაკვეთისგან, რომლებიც ბომ პენსილვანიისა და კალიფორნიის შტატებში შეიძინა. თავად პრეზიდენტი თავის მიკროსახელმწიფოს „უმაღლესი დონის ჰობის“ უწოდებს. იგი ასევე პრეტენზიებს აცხადებს ტერიტორიაზე წყნარ ოკეანეში და 130 ათას კვ/კმ-ზე ვენერაზე.

მოლოსიის რესპუბლიკა აშშ-ის მთავრობას გადასახადებს უხდის, თუმცა ოფიციალურად ამ თანხებს „უცხოეთის სახელმწიფოების დახმარებას“ ეძახის. მოლოსიაში უამრავი უცნაური აკრძალვა არსებობს, მათ შორის იარაღზე, ლოქოზე, ხახვზე, ბოსტნეულზე და საერთოდ ყველაფერზე, რაც ტეხასთან არის დაკავშირებული.

ამ სახელმწიფოს ჰყავს შეიარაღებული ძალები და ფლოტი, ატარებს ოლიმპიურ თამაშებს... ის 1977 წელს „დაარსდა“ მეფე ჯეიმს I-ს (ჯეიმს სპილმანი) და პრემიერმინისტრის — ქევის ბოს მიერ. მაშინ ვულდშტეინის დიადი რესპუბლიკა ეწოდებოდა.

ახლა სახელმწიფოს ტერიტორიაზე 7 ადამიანი ცხოვრობს — კევინ ბო, მისი მეორე მეუღლე ედრიანი, კევინის ორი ვაჟი, რომლებიც პირველი ქორწინებიდან ჰყავს, და ედრიანის სამი შვილი მისი პირველი ქორწინებიდან. სახელმწიფოში ცხოვრების ბედნიერება წილად ხვდათ, აგრეთვე, სამ ძაღლს, ერთ კატას და ერთ კურდღელს.



## ვეივლანდი (ტალღების ქვეყანა)

**ტერიტორია: 784 კვ.კმ.**
**მოსახლეობა: 0.**
**სახელმწიფოს მეთაური — გრინფისი.**

ვეივლანდი (ტალღების ქვეყანა) დიდი ბრიტანეთის ახლოს მდებარე კლდიანი, დაუსახლებელი კუნძულია. მისი საკუთრების უფლებაზე დიდი ბრიტანეთი, ისლანდია, ირლანდია და დანია ედავება ერთმანეთს. 1997 წელს გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ გრინფისმა კუნძული ამ ოლქში ნავთობის ჭაბურღილების თხრის საპროტესტოდ დაიკავა, ის ახალ სუვერენულ სახელმწიფოდ გამოაცხადა და ყველას, ვინც ფიცს დადებდა, ვეივლანდის მოქალაქეობა შესთავაზა.

დიდი ბრიტანეთი აცხადებს, რომ კუნძული მისი საკუთარი ტერიტორიაა, ორგანიზაცია გრინფისს კი თავისუფლად შეუძლია დიდ ბრიტანეთში მუშაობა და გადაადგილება, ამიტომაც დიდი ბრიტანეთის მთავრობას გრინფისის ქმედებებისადმი პროტესტი არ გამოუთქვამს და უბრალოდ იგნორირებას უკეთებდა მას. პროტესტი 1999 წლამდე გაგრძელდა, როდესაც პროექტის ფინანსური მხარდამჭერი ორგანიზაცია თავადაც არასტაბილური გახდა. დღეს ერთადერთი, რაც ვეივლენდიდან დარჩა, მზის ბატარეებზე მომუშავე შუქურაა, რომელიც ხომალდებს კლდეებთან შეტაკების თავიდან არიდებაში ეხმარება.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ავსტრალიაში უცნაური ცხვარი იპოვეს

**კრისი, რომლის მატყლიც ძვირად ფასობს, 2010 წელს დაიკარგა და ახლახან, 5 წლის შემდეგ გამოჩნდა.** ის არავის გაუკრიჭავს და დიდი რაოდენობის მატყლის გამო მხედველობის უნარი დაკარგული ჰქონდა. საბოლოოდ მისი მატყლის წონა 50 კილოგრამი აღმოჩნდა. კრისის მატყლი მუზეუმს გადაეცა.



## ვესტარქტიკის დიდი სათავადო

**ტერიტორია: 1 610 000 კვ. კმ.**
**მოსახლეობა: 0.**
**სახელმწიფოს მეთაური — ტრევის მაკჰენრი.**

ვესტარქტიკა დასავლეთ ანტაქტიდის ველური ნაწილია. ეს ტერიტორია არავის სჭირდებოდა 2001 წლამდე, სანამ ამერიკელმა ტრევის მაკჰენრიმ აქ სახელმწიფო არ დააარსა. მაკჰენრიმ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ანტარქტიდისადმი დამოკიდებულების შესახებ დადებულ შეთანხმებებში არსებული „ნაპრალით“ ისარგებლა.

ანტარქტიდის შესახებ შეთანხმებაში ქვეყნებს ეკრძალებათ დასავლეთ ანდარქტიდის ტერიტორიაზე უფლების განცხადება, თუმცა ამ აკრძალვაში კერძო პირები არ არიან მოხსენიებულნი. მაკჰენრიმ ტერიტორიაზე პრეტენზია გამოაცხადა და ქვეყანა დააარსა. სხვა მიკროსახელმწიფოების ლიდერთა მსგავსად, მან სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს წერილები გაუგზავნა, თუმცა სრული იგნორირება მიიღო პასუხად.

ვესტარქტიკას არ ჰყავს მუდმივი მაცხოვრებლები, ისევე, როგორც ანდარქტიდაში არ არის ადგილობრივი მოსახლეობა.

მიკროსახელმწიფოს ტერიტორიაზე არის რამდენიმე კვლევითი ცენტრი, სახელმწიფო კი უშვებს საფოსტო მარკებს და შტამპავს მონეტებს, რომლებსაც შემდეგ კოლექციონერები ყიდულობენ. 2005 წელს მაკჰენრიმ სცადა, მიკროსახელმწიფოს ტერიტორიის გაზრდის მიზნით ვესტარქტიკისთვის ბალენისა და პეტრე I კუნძულებიც მიეერთებინა, მაგრამ მისი საქციელი სერიოზულად არავის აღუქვამს, რადგან ეს ტერიტორიები უკვე ეკუთვნის ახალ ზელანდიასა და ნორვეგიას.




## ტალოსის სამეფო

**ტერიტორია: 13 კვ.კმ.**
**მოსახლეობა: 120 ადამიანი.**
**სახელმწიფოს მეთაური — მეფე ჯორჯ I.**

1979 წელს 14 წლის ვისკონსინელმა ბიჭმა რობერტ მედისონმა დააარსა ტალოსის სამეფო, რომელიც თავიდან მხოლოდ მისი ოთახის ტერიტორიას მოიცავდა. წლების მატებასთან ერთად მისი ტერიტორიული „პრეტენზიები“ გაიზარდა და თანდათან სამეფოში ქალაქ მილუოკის ისტ-საიდის დიდი ნაწილი და ანტარქტიდასა და საფრანგეთში მდებარე ორი კუნძულიც მოექცა.

მიკროსახელმწიფო ტალოსის არსებობის შესახებ მედისონის მოზარდობის ხანაში არავინ იცოდა. მოგვიანებით კი მთელი მსოფლიოს გაზეთებსა და ჟურნალებში დაიწყეს ამ თემაზე წერა, რის შემდეგაც ტალოსს ინტერნეტგვერდიც გაუჩნდა, სადაც დაახლოებით 20 მოქალაქეა რეგისტრირებული.



ბოლოს და ბოლოს ტალოსის ზოგიერთ მოქალაქეს ხელმწიფემ იმედი გაუცრუა. ის დიქტატორად და აუტანელ ადამიანად მიიჩნიეს. რამდენიმე ათეული მოქალაქე გამოვიდა ამ მიკროსახელმწიფოდან და თავიანთი მიკროსახელმწიფოს — რესპუბლიკა ტალოსის დაარსების შესახებ განაცხადა. მისი ლიდერი ჯონ ვული გახდა.

# მარსის ზედაპირზე წყალი ჩუხჩუხებს

**NASA-ს აღმოჩენით, მარსზე ზაფხულში წყალი კრატერის კედლებსა და კანიონებში მიედინება. აღმოჩენა მარსზე სიცოცხლის არსებობის ალბათობას ზრდის. მდინარის წყალი მარსზე გარკვეულ ნაკვალევს ტოვებს, შემოდგომაზე კი იყინება. NASA-ს წარმომადგენლები ჯერ ვერ ამბობენ, თუ საიდან გაჩნდა მარსის ზედაპირზე წყალი. აღმოჩენით ცნობილი ხდება, რომ პლანეტის ზედაპირის გარკვეული მონაკვეთი ნოტიოა.**

NASA-ს წამყვანი მეცნიერი მაიკლ მეიერი ადასტურებს, რომ ორბიტიდან გადაღებულ ფოტოებზე მართლაც თხევადი წყალია გამოსახული. მარსზე წყლის არსებობა NASA-სთვის და სხვა კოსმოსური საagენტოებისთვის ამ პლანეტის მომავალი ათვისებისთვის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს, რადგანაც იქ ადამიანის შედარებით გრძელვადიანი მისიის მომზადებაც შეიძლება გახდეს შესაძლებელი.

მარსზე წყლის სავარაუდო არსებობის შესახებ მონაცემები გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ვრცელდებოდა. NASA-მ წელს გაავრცელა ინფორმაცია წარსულში წითელი პლანეტის ზედაპირზე ოკეანის სავარაუდო არსებობის შესახებ.



# ადამიანის ცნობიერება სიკვდილის შემდეგ

**ის, თუ რა ემართება ადამიანის სულს და ცნობიერებას სიკვდილის შემდეგ, არაერთხელ ყოფილა ფილოსოფოსებისა და სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლების განსჯის საგანი.**

მეცნიერთა ჯგუფმა საუთგემტონის უნივერსიტეტიდან (დიდი ბრიტანეთი) ცოტა ხნის წინათ დოქტორ სემ პარნიას ხელმძღვანელობით ჩაატარა ექსპერიმენტი, რათა მეცნიერულად დაესაბუთებინა, რომ ადამიანის ცნობიერება სიკვდილის მომენტის დადგომის შემდეგაც ფუნქციონირებს.

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 2000-ზე მეტმა ადამიანმა დიდი ბრიტანეთიდან, შეერთებული შტატებიდან და ავსტრიიდან, რომელთაც გულის გაჩერება ხანმოკლე დროით დაუდგინდათ. მათ შორის 40%-მა, რომელთა რეანიმირებაც მოხერხდა, განაცხადეს, რომ მათი ცნობიერება კლინიკური სიკვდილის დროს ფუნქციონირებდა.

მეცნიერებმა ასევე აღნიშნეს, რომ იმ ადამიანთა ცნობიერება, რომელთა გადარჩენაც ექიმებმა ვერ მოახერხეს, რამდენიმე წუთის მანძილზე განაგრძობდა მოქმედებას.

**„ჩვენ ვიცით, რომ ტვინს არ შეუძლია ფუნქციონირება — ითიშება 20-30 წამში, როდესაც გული ჩერდება, თუმცა დავადგინეთ ცნობიერების მოქმედების ხანგრძლივობა 3 წუთის მანძილზე“,** — განაცხადა ექიმმა პარნიამ.



მეცნიერებმა გაანალიზეს 2060 პაციენტის რეაქცია, რომლებსაც გული გაუჩერდა. ამათგან 330 გადარჩა, 140 პაციენტი კი ყვებოდა, რომ მათ ახსოვდათ და აცნობიერებდნენ, თუ როგორ ხდებოდა მათი რეანიმირება. ექსპერიმენტამდე ფიქრობდნენ, რომ, თუ კლინიკური სიკვდილის მერე ადამიანს ახსოვს ეს ყველაფერი, სინამდვილეში ეს მათი ცნობიერება კი არა, ჰალუცინაციებია. ამ კვლევამ კი დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის.

# ფანქრის ხელოვნება



**სამხრეთ აფრიკელი დიზაინერი ჯენიფერ მაესტრე ფერადი ფანქრებისგან ულამაზეს ნაკეთობებს ქმნის.**

ჯენიფერის ყოველი ნამუშევარი ორიგინალური და ნამდვილად გამაოგნებელია. მან ფანქრებისგან ისეთი სკულპტურების შექმნა მოახერხა, რომ მათში ნებისმიერი აღმოაჩენს რაიმე საინტერესოს. მით უმეტეს, რომ ზოგჯერ ვერც კი იტყვი, კონკრეტულად რას გამოხატავს ესა თუ ის პროექტი.

მაესტრეს ნამუშევართა შორის შეიძლება იპოვო კუს ან ზღარბის მსგასი ცხოველი, ყვავილები, მცენარეები, ზღვის ვარსკვლავები ან სულაც უფორმო, მაგრამ არანაკლებ ჯადოსნური ნამუშევრები.

ფანქრის სკულპტურების შექმნის პროცესი საკმაოდ შრომატევადია და დიდი დროც სჭირდება, მაგრამ შედეგი ისეთია, რომ ყველანაირ შრომას ანაზღაურებს.

ჯენიფერი ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს და საქმიანობს. მას საკუთარი სტუდია აქვს. ფანქრის სკულპტურები ხელოვანის შემოსავლის მთავარი წყაროა — მათი ფასი 1000-დან 8000 დოლარამდე მერყეობს.

**„გარდა ამისა, ვამზადებ სხვადასხვა საიუველირო ნაწარმს და ონლაინმაღაზიებში**



**ვყიდი, მათი ღირებულება გაცილებით დაბალია — 32-დან 200 დოლარამდე“,** — ამბობს ჯენიფერი. **„არ ვიცი, რომელ სტილში ჯდება ჩემი ნამუშევრები – ამ სტილისთვის ჯერ სახელი არ დამირქმევია. ალბათ, ეს არის რაღაც ორგანული, ბუნებრივი და ცოტა გიჟურიც“,** — აღნიშნავს მაესტრე.







მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# ირლანდია — ბერნარდ შოუს, ოსკარ უაილდის, ჯეიმს ჯოისისა და «რივერდანსის» სამშობლო

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

ირლანდია (ოფიციალურად — რესპუბლიკა ირლანდია) ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოა, რომელსაც კუნძულ ირლანდიის უდიდესი ნაწილი (5/6) უკავია. ჩრდილოეთით ესაზღვრება დიდ ბრიტანეთს; აღმოსავლეთით აქვს სანაპირო ზოლი ირლანდიის ზღვაზე; დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან კი გარს ერტყმის ატლანტიკის ოკეანე.

ირლანდია ჩვ.წ.აღ-მდე IX საუკუნეში იყო დასახლებული, კელტები კი აქ ჩვ.წ.აღ-მდე I ათასწლეულში გამოჩნდნენ.

დამოუკიდებლობის დღე — **1922 წლის 6 დეკემბერი** (დიდი ბრიტანეთისგან).

**კლიმატი.** ირლანდიის დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო გოლფსტრიმის გავლენას განიცდის, ამიტომ კლიმატი აქ თბილი და ტენიანია. ზამთარში საშუალო ტემპერატურა პლუს 7-9 გრადუსია, ზაფხულში — პლუს 18-20 გრადუსი.

**ფლორა.** ქვეყნის ტერიტორიის 20% ტორფული ჭაობია, დანარჩენი — ველები. ირლანდიას მწვანე საფარის გამო „ზურმუხტოვან კუნძულს" უწოდებენ. ხარობს მუხა, ფიჭვი, არყის ხე, ტირიფი, იფანი.

**ფაუნა.** ბინადრობს მგელი, მელა, კურდღელი, ზღარბი, ტახი, ზღვის ფრინველის უამრავი სახეობა. მეცხოველეობის განვითარებამ გარეული ცხოველების ბევრი ჯიშის გადაშენება გამოიწვია, ამიტომ იშვიათი სახეობის ცხოველების დასაცავად შეიქმნა ნაციონალური პარკები — ბურნვინსენტი, ფენიქსი და კარა.

ირლანდიის უმაღლესი წერტილია მთა **კარანტუილი — 1041 მ.**

**უდიდესი მდინარეები: შანონი (386 კმ)** და **ბაროუ (190 კმ).**

ირლანდიის **ტერიტორია 70 273 კვ.კმ-ია** (117-ე მსოფლიოში).

**დედაქალაქი** — **დუბლინი (506 ათასი, გარეუბნებით — 1,8 მლნ).**

**უდიდესი ქალაქები: დუბლინი, კორკი (200 ათასი), ლიმერიკი (96 ათასი).**


დუბლინი

**მოსახლეობა:** 2013 წლის შეფასებით, ირლანდიაში **4,59 მლნ კაცი ცხოვრობს** (121-ე). მათი 88,6% ირლანდიელია, 2,7% — ბრიტანელი. ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ ემიგრანტები ევროპიდან, აზიიდან და აფრიკიდან: პოლონელები (1,5%); ლიტველები (0,6%); ნიგერიელები (0,4%); ლატვიელები (0,3%); ამერიკელები (0,29%); ჩინელები (0,27%) და სხვ.

**ოფიციალური ენები: ირლანდიური** და **ინგლისური.**

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ირლანდია საპარლამენტო რესპუბლიკაა, რომლის მთავრობა ანგარიშვალდებულია არა პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის წინაშე.

უზენაესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი. მის შემადგენლობაში შედის პრეზიდენტი და ორი პალატა — წარმომადგენლობითი და სენატი. ამჟამად ირლანდიის პრეზიდენტია **მაიკლ დ. ჰიგინსი,** პრემიერმინისტრი — **ენდა კენი.**

ირლანდია დაყოფილია 31 ადგილობრივ სახელმწიფო მმართველობად — საგრაფოებისა და ქალაქების (დუბლინი, გოლუეი, კორკი) საბჭოებად.

**რელიგია.** ირლანდიიის მოსახლეობის 86,8% კათოლიკეა, 4% — პროტესტანტი. ქვეყანაში, აგრეთვე, ცხოვრობენ მუსლიმანები, მართლმადიდებლები, ბუდისტები, კრიშნაიტები, იუდეველები და სხვ.


წმ.პატრიკის ტაძარი დუბლინში




ბლარნის კოშკის კედელი

## ირლანდიური რაგუ

**ინგრედიენტები:**
* საქონლის ხორცი — 1,5 კგ
* ნიორი — 6 კბ.
* მუქი ლუდი — 400 მლ
* ბულიონი — 3 ჭიქა
* ტომატი — 300 გრ
* შაქარი — 1 ს/კ
* დაფნა — 2 ფოთოლი
* კარაქი — 2 ს/კ
* ზეითუნის ზეთი — 50 გრ
* კარტოფილი — 1,5 კგ
* სტაფილო — 2 ც
* ხახვი — 2 ცავი
* მარილი — გემოვნებით
* პილპილი — გემოვნებით
* ოხრახული — 50 გრ
* სოიის სოუსი — 1 ს/კ

**მომზადება:**

*** ხორცს მარილი მოაყარეთ, პატარა ულუფებად დაჭერით და გაცხელებულ ტაფაზე შეწვით.**

*** ხახვი, სტაფილო და ნიახურის ფესვები წვრილად დაჭერით და ცალკე ტაფაზე გადაიტანეთ, როგორც ბოსტნეული დარბილდება, დაუმატეთ ტომატი, სოიის სოუსი და ნიორი.**

*** მიღებულ მასას დაუმატეთ შემწვარი ხორცი, ცხელი ბულიონი და ცხელი ლუდი. მოაყარეთ მარილი, პილპილი, შაქარი და დაუმატეთ დაფნის ფოთლები.**

*** რაგუ ნელ ცეცხლზე გააჩერეთ დაახლოებით 2 სთ. შემდეგ კი დაუმატეთ შემწვარი ან მოშუშული კარტოფილი.**

**მაგიდაზე მიტანამდე მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში.**

## ეკონომიკა

ირლანდიის ეკონომიკის ძირითადი დარგებია ფარმაცევტიკა, სამედიცინო მოწყობილობების წარმოება, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მანქანათმშენებლობა და კვების მრეწველობა.

ირლანდიის რამდენიმე კომპანია მსოფლიოში წამყვან პოზიციებზე მეცხოველეობისა და რძის პროდუქტების მისაღებად საჭირო მოწყობილობების წარმოების მხრივ.

ქვეყანაში ტრადიციულად აწარმოებენ ლუდს (ლუდსახარში „გინესი"), ვისკის, ხორცპროდუქტებს, ფქვილს, თამბაქოს ნაწარმს, რომელთა ექსპორტსაც ეწევიან.

მოიპოვებენ თუთიას, ტყვიას, ვერცხლს, ბარიტს, სპილენძს, ოქროს, ქვანახშირს, ტორფს. განვითარებულია მეცხოველეობა და მეთევზეობა. ირლანდიის **მთლიანი შიგა პროდუქტი არის 172,5 მლრდ დოლარი (55-ე), მოსახლეობის ერთ სულზე — 39 009 დოლარი.**

**ვალუტა: ევრო.**
**ინტერნეტდომენი: ie**
**სატელეფონო კოდი: +353**
**საათობრივი სარტყელი: UTC 0**

## კულტურა

ირლანდიელმა მუსიკოსებმა ჯერ კიდევ XII საუკუნეში გაითქვეს სახელი ევროპაში. მათ შორის ყველაზე პოპულარული იყო ბრმა არფისტი **ტორლა ო'კაროლანი,** რომლის ნაწარმოებებსაც დღესაც ასრულებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერალია **შინეიდ ო'კანორი,** პოპულარულია, აგრეთვე, **ჯგუფი U2** მოცეკვავეთა ანსამბლი **მაიკლ ფლეტლის** ხელმძღვანელობით.

სახელგანთქმული ინგლისელი მწერლები: **ჯონათან სვიფტი, რიჩარდ შერიდანი, ბერნარდ შოუ** და **ოსკარ უაილდი** წარმოშობით ირლანდიელები არიან.

ირლანდიელია, აგრეთვე, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში **ჯეიმს ჯოისი.**

**ღირსშესანიშნაობები:** დუბლინში — ნაციონალური მუზეუმი ძველი ქრისტიანული ექსპონატებით, ნაციონალური გალერეა, წმინდა პატრიკის ტაძარი, მე-12 საუკუნის ციხესიმაგრე, გოთიკური ეკლესია. ლუდ „გინესის" მუზეუმი. ბრინჯაოს ხანაში აგებული ქვების წრე დრომბერგი — ქალაქ გლანდორთან. კორკში — ბლარნის კოშკი. ლეგენდის თანახმად, ვინც ამ კოშკის კედლის ქვას აკოცებს, მჭევრმეტყველი გახდება. ირლანდიელები ამბობენ, რომ მრავალთაგან ერთ-ერთი, ვინც ამ კედელს აკოცა, იყო უინსტონ ჩერჩილი.

## სამზარეულო

ირლანდიური კერძების ძირითადი ინგრედიენტებია ხორცი, კარტოფილი და ზღვის პროდუქტები. ქვეყანაში ძალიან პოპულარულია ირლანდიური რაგუ, კოდლი (სოსისები და ბეკონი, მოშუშულ კარტოფილთან და ხახვთან ერთად) და ირლანდიური საუზმე ბოქსტი. მსოფლიოში პოპულარულია ირლანდიური ლუდი და ვისკი.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

13 ოქტომბერს ახალმთვარეობაა — რთული პერიოდი მგრძნობიარე ადამიანებისთვის. ემოციებისგან თავშეუკავებლობამ შეიძლება კონფლიქტი გააღვივოს. სასიკეთო პერიოდია სასწორისა და მერწყულის ნიშნებით დაბადებულთათვის.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

7 - 13 ოქტომბ. ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

ფული ეკონომიურად ხარჯეთ და მეტი იფიქრეთ თქვენი ბიუჯეტის შევსებაზე.

ინფორმაცია, რომელიც ამ პერიოდში შეიძლება მიიღოთ, დიდ გავლენას იქონიებს თქვენს მომავალზე — შეიძლება შეიცვალოთ საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილი.

ინტუიციის წყალობით, საყვარელი ადამიანის ბევრ სურვილს ამოიცნობთ და თუ მათგან რამდენიმეს მაინც შეუსრულებთ, თქვენი ურთიერთობა კიდევ უფრო საინტერესო გახდება.

კუჭი, ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი ახლა ყველაზე მგრძნობიარე ორგანოებია, ამიტომ, თუ რომელიმე მათგანი დაავადებული გქონდათ, სასწრაფოდ ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 7 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 ოქტომბერი.**

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

გარშემო მყოფთა პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა ქანცს გაგაცლით და თქვენი გეგმების განსახორციელებლად, შესაძლოა, დრო აღარც დაგრჩეთ. შეეცადეთ, ოქროს შუალედი იპოვოთ და დრო ყველა პრობლემის მოსაგვარებლად იკმაროთ, თუმცა დაპირებებს გულუხვად ნუ გასცემთ.

ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან დამოკიდებული იქნება თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე, ამიტომ შეეცადეთ, პირველ რიგში, თქვენი ბიუჯეტის შევსებაზე იზრუნოთ.

ამ პერიოდში მაღალია საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 7 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 10 ოქტომბერი.**

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

თუ რამე ავანტიურაში ჩართვას გადაწყვეტთ, გახსოვდეთ, რომ უფრო მეტს დაკარგავთ, ვიდრე მოიპოვებთ. არავითარ შემთხვევაში არ დაიჭიროთ საქმე უპასუხისმგებლო ადამიანებთან, მათ შეიძლება ცუდ ამბავში ჩაგითრიონ და შემდეგ ყველაზე საჭირო მომენტში მიგატოვონ.

მეტისმეტ მოთხოვნებს ნუ წაუყენებთ საყვარელ ადამიანს, ამან შეიძლება მისი განაწყენება გამოიწვიოს.

კარგი პერიოდია ჭარბი წონის მოსაშორებლად, კვების რეჟიმის დაცვა და ფიზიკური დატვირთვა სასურველ შედეგს მოგიტანთ.

**დადებითი დღე: 12 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 7 ოქტომბერი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

მნიშვნელოვანი პერიოდია — ყურადღებით გააანალიზეთ მოვლენები, რომლებიც გარშემო განვითარდება, რადგან ეს მოვლენები თქვენს მომავალზე დიდ გავლენას იქონიებს.

მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით — ხანდაზმულებს.

მარტოხელა კირჩხიბებს რომანტიკული თავგადასავალი ელით.

მაღალია საკვებით მოწამვლის ალბათობა, ამიტომ დაიცავით კვების რეჟიმი და უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელზე.

**დადებითი დღე: 9 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ოქტომბერი.**

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

შეიძლება ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რომ სწორი გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდეთ, რადგან სხვის ნაცვლად პასუხისმგებლობის დაკისრებას არ მოისურვებთ.

სამსახურში ხელმძღვანელობის დავალების შესრულებას „ხვალისთვის“ ნუ გადადებთ, ამით რეპუტაცია შეგელახებათ. გარდა ამისა, მოერიდეთ თანამშრომლების დაუსაბუთებლად გაკრიტიკებას — ეს კონფლიქტს გამოიწვევს.

მწარე გაკვეთილი, რომელსაც ცხოვრებისგან მიიღებთ, მიგახვედრებთ, რომ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას ძალიან უნდა გაუფრთხილდეთ.

ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები ინფექციური დაავადების თავიდან ასაცილებლად.

**დადებითი დღე: 7 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 ოქტომბერი.**

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

ნელ-ნელა დაგიბრუნდებათ სულიერი წონასწორობა, რადგან სამსახურშიც და ოჯახშიც ვითარება შეიცვლება და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში სიმშვიდე და ჰარმონია სუფევს, საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ, რადგან დიდია ალბათობა იმისა, რომ უყურადღებობის გამო გაგინაწყენდეთ.

შესაძლოა, დაგიქვეითდეთ იმუნიტეტი, შესაბამისად მოიმატებს ვირუსებით დაავადების საფრთხე, ამიტომ ჩაიტარეთ ვიტამინოთერაპია.

**დადებითი დღე: 9 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 11 ოქტომბერი.**

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

მიუხედავად იმისა, რომ ფორტუნა გწყალობთ, რამდენიმე საქმეს ერთდროულად ნუ შეეჭიდებით. სჯობს, ძალისხმევა მთავარი საქმისკენ მიმართოთ და წარმატებით დაასრულოთ.

კარგი პერიოდია ოჯახის წევრებთან წარმოქმნილი უთანხმოების მოსაგვარებლად. ამისთვის კი შეეცადეთ, ყველა ჩართოთ საოჯახო საქმეებში.

ფაციფუცითა და წინდაუხედაობით, შესაძლოა, საწარმოო ტრავმა მიიღოთ — საქმე მშვიდად აკეთეთ, არსად გაგექცევათ.

**დადებითი დღე: 9 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 ოქტომბერი.**

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

თქვენი მთავარი ამოცანა საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა და ახლობლებისა და კოლეგების კეთილგანწყობის მოპოვება იქნება. ამას კი იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ სხვის ინტერესებსაც გაითვალისწინებთ.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას მიიპყრობთ. ამან შესაძლოა, თქვენი ცხოვრების თანამგზავრი გაალიზიანოს.

ბევრი მუშაობის გამო თქვენი ნერვული სისტემა დაძაბულია, ამიტომ თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 9 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 ოქტომბერი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ თქვენი პოზიციების დასაცავად. პრობლემების მოგვარებას მხოლოდ შეუპოვრობითა და რადიკალური მოქმედებებით შეძლებთ.

გაუმჯობესდება თქვენი ფინანსური მდგომარეობა, მაგრამ ფული ეკონომიურად ხარჯეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალის აღება დაგჭირდებათ.

საყვარელ ადამიანთან უთანხმოების მოგვარებას მხოლოდ შეცდომების გულწრფელი მონანიებით შეძლებთ. გამოიჩინეთ მის მიმართ მეტი გულისხმიერება, მზრუნველობა და ურთიერთობაც გაუმჯობესდება.

თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, თვითმკურნალობას ნუ დაიწყებთ — აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

**დადებითი დღე: 11 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 ოქტომბერი.**

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

გადახედეთ თქვენს დამოკიდებულებას ადამიანებთან და კარგად გააანალიზეთ თქვენი როლი ცხოვრებაში. თუ არაფერს შეცვლით, შესაძლოა, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეთ.

ვიდრე იეჭვიანებთ და საყვარელ ადამიანს საყვედურებით აავსებთ, კარგად დაფიქრდით — არის კი საფუძვლიანი თქვენი პრეტენზიები?

დაიცავით კვების რეჟიმი. რაციონში შეამცირეთ ცხიმიანი კერძები და ტკბილეული, წინააღმდეგ შემთხვევაში ჭარბი წონის პრობლემა შეგექმნებათ.

**დადებითი დღე: 10 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 ოქტომბერი.**

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

წარმატებას მიაღწევენ მერწყულები, რომლებიც ინტელექტუალური შრომით არიან დაკავებული — მეცნიერები, მსახიობები, ჟურნალისტები. კოლეგებს პატივისცემით მოეპყარით, წინააღმდეგ შემთხვევაში უთანხმოებას ვერ ასცდებით და ამით რეპუტაციაც შეგელახებათ.

მარტოხელა მერწყულებს ელით მოულოდნელი შეხვედრა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან, რომელსაც თავიანთ მომავალ ცხოვრებას დაუკავშირებენ.

ნერვული სისტემა რომ დაიმშვიდოთ, უფრო მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 11 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 ოქტომბერი.**

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

ამ პერიოდში რეკომენდებული არ არის ახალი საქმის დაწყება, ხელშეკრულებების გაფორმება და მოგზაურობა უცხოეთში. თუ არჩევანის წინაშე დადგებით, გადაწყვეტილება ინტუიციის კარნახით მიიღეთ.

მარტოხელა თევზებს ელით რომანტიკული თავგადასავალი საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან.

დიდია ტრამვირების ალბათობა, განსაკუთრებით — ფეხების. ყურადღებით მართეთ ავტომობილი!

**დადებითი დღე: 10 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 ოქტომბერი.**

## დაუვიწყარი წინაპრების აჩრდილები

# ჯარისკაცის მამის სიკვდილს ჯარისკაცები მისამძიმრებდნენ

## 46 წლის წინანდელი საუბარი სერგო ზაქარიაძესთან



**1969 წლის ზაფხულია. მე, ახალგაზრდა ჟურნალისტი, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთ „საქართველოს კინემატოგრაფისტში“ ვმუშაობ.**
**— ე, ბიჭო, გაიქეცი ერთი ქუთაისში, რუსთაველის თეატრი ხომ იქაა საგასტროლოდ... სერგო ზაქარიაძე 60 წლის გახდა და ჩვენ არ აღვნიშნოთ? — მეუბნება ერთ დღეს გაზეთის რედაქტორი, ჩემი უნივერსიტეტელი ძმა და მეგობარი ვასიკო მჭედლიშვილი (დღეს ცოცხალი აღარ არის, აცხონოს ღმერთმა)... ჩადი, ესაუბრე... თან შენიანები მოინახულე მაღლაკში, — მაქეზებს ვასო.**



რად მინდა წაქეზება, ხვალ დილით უკვე იქ ვიქნები!..

მართლაც, მეორე დღეს ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში ვარ. მითხრეს, ბატონი სერგო ქალაქშია გასული და საცაა, მოვაო... გამოვდივარ შენობიდან, თეატრის წინ ვდგავარ და, ვხედავ, ისიც მოდის... თითქოს, ოდნავ მოხრილია ბეჭებში... არა, ეს შეიძლება უცებ მოჩვენებოდა კაცს. ბეჭებში მოხრილი კი არა, წინ იყო გადახრილი მთელი ტანით, საოცრად მყარად ადგამდა ფეხს და, გეგონებოდათ, რაღაცაზე ან ვიღაცაზე, ჯიქურ მიდიოდა... ბოლო დროს სვანურ ქუდს არ იცილებდა... ასე მოსიარულე მინახავს იგი ხშირად, ასე მოდიოდა ახლაც...

მიცნო, მოვიდა, ხელი ჩამომართვა, — აქაც მომაგენით ხომ ჟურნალისტებმა!.. შევიდეთ შიგნით... ხვალ-ზეგ დავამთავრებდით გასტროლებს და გვესაუბრა მერე თბილისში, დაწყნარებულად...

**— ისედაც დავაგვიანეთ, ბატონო სერგო...**

— ჰო, კაი... აგერ ჩამოვსხდეთ და დავიწყოთ...

* * *

**— ბატონო სერგო, ამ საიუბილეო დღეებში, უკვე ცხოვრების ნაშუადღევი რომ გიდგათ, რისი და ვისი გახსენება განიჭებთ სიამოვნებას?**

— ქუთაისში ყოფნამ საშუალება მომცა, ამ ზაფხულზე, მესამოცე ზაფხულზე მშობლიური სიმონეთი მომენახულებინა, მისი სიახლოვე მეგრძნო. მისი ყოველი ხე და შარა ჩემს ბავშვობას მახსენებს ხოლმე, მისი ცისა და მზის ღიმილი კი — დედაჩემის ღიმილსა და სათნოებას.

**— საინტერესოა, ახლა რომ ცხოვრების გზას ირჩევდეთ, ისევ სამსახიობო ხელოვნებას მიანიჭებდით უპირატესობას?**

— მე ვერავინ გადამიყვანდა იმ გზიდან, რომელსაც ერთხელ დავადექი დიდი სურვილითა და სიყვარულით.

**— მაშ, გვიამბეთ ამ გზის დასაწყისზე...**

— ეს იყო 1916 წელს ბაქოში. ქართველ სცენისმოყვარეთა ჯგუფმა დადგა ეგნატე ნინოშვილის „ტარიელ მკლავაძე“, პიესაში ბავშვები სჭირდებოდათ. ჩვენ მაშინ იქვე ვცხოვრობდით და მე, 7 წლისა, სხვებთან ერთად გამიყვანეს სცენაზე. შემდეგ, უკვე მოზრდილმა, ზესტაფონში ვითამაშე რამდენიმე პიესაში. იქ ზაფხულობით ჩამოდიოდნენ **ვასო აბაშიძე, უშანგი ჩხეიძე, ვასო არაბიძე, ცაცა ამირეჯიბი** და სხვები. ამ ადამიანებმა საბოლოოდ დამმუხტეს სცენის სიყვარულით. მოგეხსენებათ, 1928 წელს თბილისში გაიხსნა თეატრი, რომელიც დღეს მარჯანიშვილის სახელს ატარებს. აქ უკვე პროფესიონალმა მსახიობმა ერთ-ერთი ეპიზოდი ვითამაშე ტოლერის პიესაში „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“. პიესა რამდენიმე ადგილზე კადრებით მიდიოდა და პირველად სწორედ მაშინ მომიხდა აპარატის წინ დგომა. ეს იმიტომ აღვნიშნე, რომ ამ პიესაში კინომსახიობადაც მოვინათლე. რახან კინოც ვახსენე, გეტყვით, რომ იმავე წელს კოტე მარჯანიშვილი იღებდა „კომუნარის ჩიბუხს“ და ამ ფილმში მეც მქონდა ეპიზოდური როლი.

...აი, ასე შეიძლება მოიხაზოს ჩემი შემოქმედების სათავე. შემდგომი გზა, ასე თუ ისე, ცნობილია. მხოლოდ ერთს დავუმატებ: თეატრის სცენაზე მითამაშია ასზე მეტი, ხოლო კინოში — ოცამდე როლი.

## «სცენაზე კოტე მარჯანიშვილმა ამადგმევინა ფეხი, ჩემი საყვარელი რეჟისორიც ის არის... სიკო დოლიძის ბევრ ფილმში მიმიღია მონაწილეობა... ბოლო წლებში შემოქმედებითად ძალზე დავმეგობრდით მე და რეზო ჩხეიძე. ასე რომ, ვგონებ, გასაგებია»

**— როგორც ამბობენ, თქვენ და რეჟისორები კარგად უგებთ ერთმანეთს, ზოგიერთი დიდი მსახიობისგან განსხვავებით, თქვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზედმეტს არ ჭირვეულობთ... მართალია?**

— ნაღდი შემოქმედება მხოლოდ და მხოლოდ იქ იბადება, სადაც მსახიობისა და რეჟისორის ურთიერთგაგებაა... სხვაგვარად არაფერი გამოვა, თუ გამოვა — შემთხვევით.

**— ბატონო სერგო, იმასაც ამბობენ, თუ რა გულმოდგინებით მუშაობთ თითოეულ როლზე... გვიამბეთ თქვენი მუშაობის სტილზე და, საერთოდ, იმაზე, როგორ უნდა მუშაობდეს ჭეშმარიტი ხელოვანი.**

— როლზე მუშაობის კანონი არ არსებობს. მას თვითონ იმუშავებს ინდივიდი. ერთია მხოლოდ: თუ შემოქმედს ესა თუ ის სახე ხიბლავს, აწუხებს, არა მგონია, სხვა რაიმეთი იყოს დაკავებული მისი გონება. რა თქმა უნდა, თუ ის ჭეშმარიტი შემოქმედია... მეც ასე ვმუშაობ...

**— რომელია თქვენი საყვარელი ქართველი რეჟისორი თეატრში, კინოში?**

— მე სცენაზე კოტე მარჯანიშვილმა ამადგმევინა ფეხი, ჩემი საყვარელი რეჟისორიც ის არის... სიკო დოლიძის ბევრ ფილმში მიმიღია მონაწილეობა... ბოლო წლებში შემოქმედებითად ძალზე დავმეგობრდით მე და რეზო ჩხეიძე. ასე რომ, ვგონებ, გასაგებია...

**— შესრულებული როლებიდან, რომელს გამოარჩევთ?**

— მე ყოველი სახისადმი ერთნაირად ვარ განწყობილი. ხომ არის როლები, რომლებიც არ გამოვიდა? მე ისინიც მიყვარს. უფრო მეტიც: იმ როლებმა შემაქმნევინეს უფრო ფასეული და დიდი. ჩემი როლები შვილებად მყავს წარმოდგენილი. დედას ხომ არ შეუძლია, რომელიმე მათგანს დააკლოს სითბო და ზრუნვა... ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე არ მითამაშია როლი, რომელზეც ღამეები არ მითენებია, და თუ რომელიმე მათგანი უდღეური აღმოჩნდა, ისინი მაინც ღვიძლია, რადგან მათ უდღეურობაში მე უფრო მიმიძღვის წვლილი, ამიტომ მიყვარს ყველა ერთნაირად.

**— გიორგი მახარაშვილი თქვენი შესაძლებლობების ზღვრად ერთი წუთითაც არ შეიძლება ჩაითვალოს. როგორი როლის შესრულებაზე ოცნებობთ?**

— ვოცნებობ ისეთ როლზე, რომელშიც ჩემს ფიქრსა და წუხილს ჩავაქსოვ. ეს ფიქრი და წუხილი კი უფრო საზოგადოებრივია, ვიდრე პირადული.

**— რას იტყვით ქართული თეატრისა და კინოს ახალგაზრდა მსახიობებზე?**

— მთლად ცუდად არ არის საქმე, მაგრამ მათგან მეტს მოველით.

**— სად უფრო გსიამოვნებთ მუშაობა — თეატრში თუ კინოში?**

— თეატრში. კინოში მუშაობა ტანჯვაა...

**— საინტერესოა. სხვა რა საქმიანობა გიტაცებთ?**

— თუ დასვენების დროს საქმიანობას გულისხმობთ, ოც წელზე მეტია, ერთი წუთითაც არ დამისვენია. მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ავად გავხდი ცოტა ხნის წინათ და მაშინ „ვისვენებდი“ საწოლზე. ისე კი, წუთშესვენების დროს, შვილიშვილებთან ვერთობი ხოლმე.

**— იქნებ, გაიხსენოთ რაიმე კურიოზული შემთხვევა თქვენი შემოქმედებიდან?**

— კურიოზული შემთხვევა ის იყო, რომ რამდენჯერმე გადავრჩი სიკვდილს გადაღების დროს... ერთხელ პალიასტომის ტბაში ვიხრჩობოდი. „ჯარისკაცის მამაზე“ მუშაობისას კინაღამ ტანკმა გამიტანა... და ასე კიდევ რამდენჯერ...

**— ბატონო სერგო, თქვენ ერთ დროს ფეხბურთელიც იყავით, თუმცა არა ისე ცნობილი, როგორც მსახიობი. რას იტყვით ჩვენს ფეხბურთელებზე, ხართ თუ არა მათი გულშემატკივარი?**

— ფეხბურთმა გარკვეული როლი ითამაშა ჩემს შემოქმედებაში. გამომიმუშავა ნებისყოფა, გამძლეობა, შემაჩვია შრომას. ზუსტად ეს თვისებები აკლიათ, ჩემი აზრით, ქართველ ფეხბურთელებს...

**— როგორია თქვენი აზრი ქუთაისში ოპერის თეატრის გახსნის თაობაზე?**

— შეიძლება ითქვას, ეს ამბავი დაგვიანებულიც იყო. ყველა პატრიოტი მამულიშვილი კმაყოფილი უნდა იყოს ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენით.

* * *

გეგმებზეც მესაუბრა, დიდ და საინტერესო ჩანაფიქრებზე. ზოგი შეასრულა კიდეც. ბევრი ვერ მოასწრო... რავიცოდი, რომ ეს ჩემი ბოლო შეხვედრა იყო დიდ მსახიობთან. მალე სამხედრო სამსახურში გამიწვიეს და იქ შევიტყვე მისი უეცარი სიკვდილი. იქ ერთხელ კიდევ დავინახე, როგორ უყვარდათ ზაქარიაძე ჯარისკაცებს... იმ დღეს თითქმის ყველა ჩუმად და უხალისოდ იყო — რუსი და უკრაინელი, უზბეკი და მოლდაველი... ბიჭები მე მისამძიმრებდნენ, როგორც ქართველს, და ისეთი თვალებით მიყურებდნენ, თითქოს მათაც ახლობელი ადამიანი დააკლდათ. სერგო ზაქარიაძე ხომ ყველა ჯარისკაცის მამა იყო.

**ვილენ მარდალეიშვილი**



## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციევ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894